პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეების დღის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- ჰამბურგში აკრძალეს კომპარტიისა და წითელ-ფრონტელთა დემონსტრაცია.
- დოკერების გაფიცვა ავსტრალიაში გრძელდება.
- დაიწყო საფრანგეთის რევოლიუციონურ მემაღაროთა ყრილობა.
- დაპატიმრებანი უნგრეთის რევოლიუციონურ ახალგაზრდობის შორის.
- პილსუდსკი ბუქარესტიდან ვარშავაში გაემგზავრა.
- საბჭ. კავშ. წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. დავთიანი მოსკოვიდან თეირანში გაემგზავრა.
- მზადება „კრასინის“ საზეიმო შეხვედრისათვის ლენინგრადში.

ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 230 (2273)

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

უდიდესი კამპანიის მოლოდინში

ჩვენ მხედველობაში გვაქვს საბჭოების ხელახალი არჩევნები, რისთვის მოსამზადებელი მუშაობა უნდა დაიწყოს ა. წ. დეკემბრიდან, ხოლო თვით არჩევნები უნდა ჩატარდეს მომავალ წლის თებერვალ-მარტში. საკმაო დროა დარჩენილი საარჩევნო კამპანიამდე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის სირთულეს და უაღრეს მნიშვნელობას, ცხადი გახდება, რომ ამ საკითხს აქედანვე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

პირველ ყოვლისა საჭიროა მშრომელ მოსახლეობის ცოცხალი დაინტერესება არჩევნებით. ამ მიზნით დროზე უნდა განვავითაროთ წინასწარი საგიტაციო კამპანია არჩევნების მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოების საანგარიშო კამპანიაში და თვით არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ამომრჩეველთა რაც შეიძლება მეტმა მასამ.

ეს მონაწილეობა, აშკარაა, უნდა იყოს აქტიური, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიის და თვითკრიტიკის მტკიცედ და ფართოდ გატარების ნიადაგზე. თვითკრიტიკა წარმოადგენს პარტიისა და ხელისუფლების უდიდეს ლოზუნგს, რომლის განხორციელება ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა მასების საზოგადოებრივი აქტივობის ასაწევად, მათ ჩასაბმელად სოციალისტურ მშენებლობის და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მმართვის საქმეში და ჩვენი მუშაობის და სახელმწიფოებრივ თუ სხვა აპარატის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საარჩევნო კამპანია საუკეთესო შემთხვევაა, როცა მაქსიმალურად შეიძლება თვითკრიტიკის გაშლა და გამოყენება. თვითკრიტიკის გატარება არჩევნების დროს სავსებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და ამისათვის უნდა შევქმნათ ხელსაყრელი პირობები.

თვითკრიტიკა, რა თქმა უნდა, იწარმოებს უმთავრესად ადგილობრივ საბჭოების მუშაობის გარშემო და მთავრობის სხვადასხვა ღონისძიებათა შესრულების შემოწმების სახით. ამომრჩეველთათვის ანგარიშების ჩაბარების დროს საბჭოებმა სრულიად მიუდგომლად, სინამდვილის შელამაზების ყოველგვარ ცდის გარეშე, უნდა გააშუქონ თავისი საქმიანობა, მისი არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი მხარეებიც. მოხსენება უნდა იყოს კონკრეტული ხასიათის, იქ უნდა იყოს აღნუსხული, თუ რა გააკეთეს საბჭოებმა წარსულ არჩევნების დროს მათთვის ამომრჩეველების მიერ მიცემულ დავალებათა გასატარებლად. ამავე დროს, რა თქმა უნდა, განმარტებულ უნდა იქნეს პარტიისა და ხელისუფლების საერთო პოლიტიკა და მათი ღონისძიებები სხვადასხვა დარგში და ის, თუ როგორ ტარდებოდა ეს პოლიტიკა და ღონისძიებები ადგილობრივ. ანგარიშების გარშემო უნდა გაიშალოს ფართე კამათი საანგარიშო კრებებზე, რომლებზედაც უნდა მივიზიდოთ შეძლებისდაგვარად ყველა მშრომელნი. ამ კრებების მიზანშეწონილ ორგანიზაციას, რომ მათზე დასწრების შესაძლებლობა მიეცეს ყველა მშრომელს, კრებების ისე ხელმძღვანელობას და ჩატარებას, რომ მათ მონაწილეებმა გამოიჩინონ საჭირო აქტივობა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი საარჩევნო კამპანიის შედეგებისათვის.

საბჭოთა დემოკრატიის და თვითკრიტიკის ლოზუნგების განხორციელება ასწევს არა მარტო მშრომელთა აქტივობას, არამედ, ეჭვს გარეშეა, ამ ლოზუნგების გამოყენებას თავისი კლასიური მიზნებისათვის შეეცდებიან კულაკური, ნეპმანური და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები. ჩვენ დღეს ვაწარმოებთ ფართე და ენერგიულ შეტევას სახალხო მეურნეობის კაპიტალისტურ სექტორზე, რაც, რა თქმა უნდა, იწვევს არამშრომელ ელემენტების გაბოროტებას. ისინი ყოველნაირად მოიწადინებენ, აშკარად თუ ფარულად, ხშირად მშრომელ ხალხის „მეგობართა“ ქურქში გახვეულნი, მუშურ-გლეხურ ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილების შექმნას მასებში. ასეთი გამოსვლები განსაკუთრებით მოსალოდნელია სოფლად.

ჩვენ შეუბრალებლად უნდა ვამხილოთ კულაკურ და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების ფარული ზრახვები. კერძოდ, ჩვენ უნდა მივაღწიოთ მოჯამაგირე და ღარიბ გლეხობის კავშირის განმტკიცებას საშუალო გლეხობასთან და არჩევნებში მათ გაერთიანებულ გამოსვლას კულაკების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ კულაკები მთელ თავის იმედებს ამყარებენ ღარიბ და საშუალო გლეხობის გათიშვაზე და უკანასკნელის მიმხრობაზე. ამიტომ, ღარიბ-საშუალო გლეხობის ბლოკის გამაგრების გზით კულაკების სრული იზოლიაცია — ეს საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

ამისათვის კი პირველ რიგში აუცილებელია მუშაობის გაძლიერება გლეხთა შორის. მიუხედავად ამ დარგში არსებულ უდავო მიღწევებისა, ცხადი ფაქტია, რომ გასაკეთებელი უამრავია. ღარიბ გლეხობის შეკავშირება და აქტივობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ამასთან, აქა-იქ ადგილი აქვს არა სწორ მიდგომას საშუალო გლეხობისადმი, რაც ასუსტებს მის კავშირს სოფლის ღარიბ ფენებთან. ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ღარიბთა შორის მუშაობის გაძლიერება-გაუმჯობესებით უზრუნველ უნდა ვყოთ მათი აქტიური მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში და მასთან საშუალო გლეხობის კავშირის სიმტკიცე.

ყველაფერ ამან გამოხატულება უნდა ჰპოვოს თვით არჩევნების ჩატარების დროსაც. უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საბჭოებისა და მათ ხელმძღვანელ ორგანოებში ღარიბ გლეხთა და მათთან ახლო მდგომ საშუალო გლეხთა სათანადო პროცენტის გაყვანა.

საერთოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალ კანდიდატების შერჩევას. საბჭოებში, ცხადია, კვლავ არ უნდა მოხვდნენ ისეთი პირები, რომელთაც ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლეს.

საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, როგორც აღვნიშნეთ, დრო საკმაო გვაქვს. ამიტომ ჩვენ სრული საშუალება გვაქვს მისთვის ჯეროვნად მოვემზადოთ, თუ საჭირო შეგნებას და ენერგიას გამოვიჩენთ. ამასთან, ეს დრო უნდა გამოვიყენოთ საბჭოების მუშაობის გასაცხოველებლად, ყველა შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომ საბჭოებმა შესძლონ ამომრჩევლთა წინაშე პირნათლად წარსდგომა.

მზადება საყოველთაო კენჭის ყრისათვის გერმანიაში

ვაშინგტონში მიღებულია საბჭ. კავშირის ნოტა კელოგის პაქტზე ხელის მოწერის შესახებ

დაიწყო ფრანგ ფეიქართა გაფიცვა.--მთავრობა ჟანდარმერიას უყრის თავს გაფიცვის რაიონში

კამპანია საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოდ

ბერლინი, 3 ოქტომბერი. დღეს დაიწყება ოფიციალური ჩაწერა იმ მოქალაქეთა, რომელნიც მხარს უჭერენ გერმანიის კომპარტიის წინადადებას საყოველთაო კენჭის ყრის მოწყობის შესახებ ჯავშნოსანის აგების საკითხის თაობაზე. იმისათვის, რომ საყოველთაო კენჭის ყრა მოხდეს, გერმანიის კონსტიტუციით, საჭიროა, რომ მის გამართვის წინადადებას მხარს უჭერდეს ამომრჩეველთა არა ნაკლებ ერთმეათედისა, ე. ი. დაახლოებით 4.100.000 ამომრჩეველი. ჩაწერა ორ კვირეს გაგრძელდება. გუშინ, ჩაწერის გამოცხადებასთან დაკავშირებით, გაიმართა მრავალი მასიური დემონსტრაცია ბერლინის 21 რაიონში. მთელი ბურჟუაზიული პრესა მოუწოდებს მოსახლეობას არ მიიღონ ჩაწერაში მონაწილეობა. (ადს).

საბჭოთა კავშირი და კელოგის პაქტი

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული ცნობით, ის აქტი, რომლითაც საბჭოთა კავშირი კელოგის პაქტს შეუერთდა, საფრანგეთის საელჩომ ვაშინგტონში 27 სექტემბერს გადასცა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს. (ადს).

იტალია--საფრანგეთის წინააღმდეგ

პარიზი, 2 ოქტომბერი. გაზეთი „ერ ნუველ“-ი, ეკამათება-რა მემარჯვენე პრესას, რომელსაც პირზე მუდამ გერმანიის საფრთხე აკერია, მოუწოდებს ამ პრესას ყურადღება მიაქციოს იმ საფრთხეს, რომელიც საფრანგეთს მოელის იტალიის ეხლანდელი პოლიტიკის გამო.

გაზეთის სიტყვით, **იტალია მიზნად ისახავს შექმნას კავშირი იტალიასა**, უნგრეთსა, ავსტრიასა და ბულგარეთს შორის. გაზეთი სწერს, რომ ეს საფრთხე შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ ლოკარნოს ბლოკით, ე. ი. საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის ბლოკით, რომელიც დამყარებული იქნება გერმანიასთან სრულს შეთანხმებაზე და მიმართული იქნება **„იტალიის“ ზრახვების** წინააღმდეგ. (ადს).

ავსტრიელი მენშევიკები ზრუნავენ

ფაშისტური დემონსტრაციის „უინციდენტოდ“ ჩატარებაზე

შეუთანხმებელთა მოლაპარაკება

ვენა, 2 ოქტომბერი. 7 ოქტომბრისათვის ვინერ ნეუშტადტში დანიშნული ს.-დემოკრ. დემონსტრაციის აკრძალვის შემდეგ, კვლავ დაიწყო მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებსა და ქვემო-ავსტრიის მთავრობის თავმჯდომარის ურემს შორის. გადაწყდა, მთავრობამ კვლავ განიხილოს დემონსტრაციის საკითხი. საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დამოკიდებულია ავსტრიის საერთო-საკავშირო მთავრობაზე.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს „არბეიტერ ცეიტუნგ“-ს იმედი აქვს, რომ კონფლიქტი კომპრომისით დამთავრდება.

1-ლ ოქტომბერს შესდგა ვენის მუშათა პალატის სხდომა. კომუნისტებმა შეიტანეს სასწრაფო წინადადება იმის შესახებ, რომ პალატამ დაუყოვნებლივ განაცხადოს, თუ როგორ უყურებს იგი იმ დემონსტრაციას, რომელსაც აწყობს ჰეიმვერი. კომუნისტების წინადადება უარჰყვეს სოციალ-დემოკრატებისა და ქრისტიან-სოციალისტთა ხმებით.

უკანასკნელი ცნობებით, სოციალ-დემოკრატებსა და ქვემო ავსტრიის საოლქო მთავრობის შორის გამართულმა მოლაპარაკებამ დადებითი შედეგი გამოიღო. ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება „სადემარკაციო ხაზის“ დადგენის შესახებ სოციალ-დემოკრატებისა და ჰეიმვერის დემონსტრანტებს შორის. მთავრობის წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ დემონსტრაციების დროს რაიმე შეტაკებას ადგილი არ ექნება. (ადს).

საბერძნეთი და სამხრეთ-სლავია

პარიზი, 2 ოქტომბერი. ბრიანთან შეხვედრის შემდეგ სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ესაუბრა პარიზის გაზეთების „პტი პარიზიენ“-სა და „ექსცელსიორ“-ის თანამშრომლებს.

მარინკოვიჩმა უარჰყო ცნობა, ვითომ სამხრეთ-სლავიამ არ მიიღო ვენიზელოსის წინადადება საბერძნეთ-სამხრეთ-სლავიის კავშირის შესახებ. მარინკოვიჩმა განაცხადა, რომ სამხრეთ-სლავია ყოველთვის მზად არის დასდოს საბერძნეთთან სამეგობრო ხელშეკრულება. (ადს).

გერმანიის სახელმწიფო ბანკის პრეზიდენტი

ბერლინი, 2 ოქტომბერი. გერმანიის რეიხსბანკის გენერალურმა საბჭომ ხელახლად აირჩია ოთხი წლით რეიხსბანკის პრეზიდენტი შახტი.

გენერალური საბჭო დაარსებულია დაუესის გეგმის თანახმად და შესდგება 14 წევრისაგან. ამ წევრთა ერთ ნახევარს შეადგენენ გერმანიის მოქალაქენი, ხოლო მეორე ნახევარს—უცხოელები: ინგლისელი, იტალიელი, ბელგიელი, ფრანგი, ჰოლანდიელი, შვეიცარიელი და ამერიკანელი. რეიხსბანკის პრეზიდენტს ამტკიცებს გერმანიის პრეზიდენტი. (ადს).

საფრანგეთის ფეიქართა გაფიცვა

პარიზი, 2 ოქტომბერი. 3 ოქტომბერს ვადა გასდის იმ ულტიმატუმს, რომელიც ლილის ფეიქრებმა (უნიტარებმა) დამქირავებლებს წარუდგინეს. **2 ოქტომბერს ლილის ზოგიერთ ფაბრიკაზე მუშებს ნაწილმა უკვე შესწყვიტა მუშაობა.** როგორც გაზეთი „ჰუმანიტე“ იუწყება, **უნიტარების მიერ მოწყობილი საგაფიცვო მიტინგები დიდის წარმატებით მიმდინარეობენ.**

ალუენში, აკრძალვის მიუხედავად, გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 3.000 გაფიცული ფეიქარი.

კაშენი „ჰუმანიტე“-ში მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს — დაეხმარონ გაფიცულებს და სწერს: „მთავრობამ ჩრდილოეთში დიდძალ პოლიციას მოუყარა თავი. იგი ახალ-ახალ რაზმებს გზავნის საფრანგეთის ცენტრიდან. ყოველ დღე პარიზის სადგურებით ჩრდილოეთისაკენ მიდიან მატარებლები ჟანდარმებით. ხელისუფლება, რომელსაც ეშინია გაფიცვის გაფართოება, მუშების შესაშინებლად ბრძანებებს გზავნის სასტიკი ზომების მიღების შესახებ. ნაბრძანებია — უსათუოდ ჩააქრონ გაფიცვა“.

შრომის საყოველთაო რეფორმისტული ფედერაციის ნაციონალურმა საბჭომ, მოისმინა რა მოხსენება ფეიქართა გაფიცვის შესახებ, მიიღო რეზოლიუცია. რეზოლიუცია მოითხოვს ისეთი კანონის გამომუშავებას, რომელიც სავალდებულოს გახდის შემარიგებელ პროცედურას მუშებსა და დამქირავებლებს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტების დროს. (ადს).

საფრანგეთის რევოლიუციონურ მემაღაროთა ყრილობა

პარიზი, 2 ოქტომბერი. საფრანგეთის მემაღაროელთა კავშირის უნიტარული ფედერაციის ყრილობის საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია უცხოელ მუშათა შორის პროპაგანდის გაძლიერების შესახებ. შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც კაპიტალისტური რაციონალიზაციის საწინააღმდეგოდ მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღეს, ხელფასის გადიდებას და ზედმეტ საათებში მუშაობის აკრძალვას.

ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რომ საბჭოთა კავშირში გაიგზავნოს დელეგაცია შრომის პირობების გასაცნობად (ადს).

საზღვაო ტრანსპორტის მუშათა კავშირის კონფერენცია

ლონდონი, 2 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო მელბურნიდან იუწყება: „სატრანსპორტო მუშების სექციის მეზღვაურთა კავშირის კონფერენციის **უმრავლესობამ უარჰყო რეზოლიუცია მუშაობის განახლების შესახებ.** კონფერენციის ქვე-კომისიას გადაეცა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს გაფიცვის გაფართოებას და რომელიც უკრძალავს პროფკავშირის წევრებს, საერთო არაფერი იქონიონ შტრეიკბრეხერების მიერ გადმოტვირთულ საქონელთან. **რეზოლიუცია მოუწოდებს ელექტრონისა და გაზის წარმოებათა მუშებს —, მზად იყვნენ სამოქმედოდ. ფიქრობენ, რომ უახლოესი კვირის განმავლობაში შეჩერდება შორი ნაოსნობის ყველა გემი.** (ადს).

ბრიანის მოხსენება

ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 2 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ბრიანმა გააკეთა მოხსენება ინგლისის მთავრობასთან ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ გამართულ მოლაპარაკებაზე.

ბრიანმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა შეთანხმებას გამოქვეყნების წინააღმდეგია, როგორც ეტყობა მანამდე, სანამ არ მოვა პასუხი იაპონიისა და იტალიისაგან. ბრიანი ცდილობდა დაემტკიცებია ინგლისის მთავრობისათვის შეთანხმების გამოქვეყნების დაჩქარების აუცილებლობა, რომ ამით გაქარწყლებულ იქნეს შეერთებულ შტატებთან მომხდარი გაუგებრობა“. როგორც სჩანს, ბრიანი დაკმაყოფილდება იმით, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში შემავალ ექსპერტებს დაეკისრებს განაახლონ დისკუსია სასურველ მომენტში. (ადს).

დრაგნევის გამორიცხვა საპარლამენტო ფრაქციიდან

ვენა, 2 ოქტომბერი. სოფიის გაზეთების ცნობით, გლეხთა კავშირის მემარცხენე ფრთის დეპუტატმა დრაგნევმა არ შეასრულა გლეხთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციის მოთხოვნილება—მიეცა წერილობითი განცხადება იმის შესახებ, რომ მას კავშირი არა აქვს არც ლეგალურ კომუნისტურ ორგანიზაციებთან და არ თანამშრომლობს გლეხთა მემარცხენე ორგანოში „მიწათმოქმედების ალორძინება“.

საპარლამენტო ფრაქციამ გამორიცხა თავის რიგებიდან დრაგნევი, რომელსაც განზრახული აქვს მოაწყოს გლეხთა კავშირის დეპუტატების დამოუკიდებელი საპარლამენტო ჯგუფი. (ადს).

სოფლისათვის საქონლის მიწოდების პრობლემები

სოფლისათვის საქონლის მიწოდების საკითხები შეუძლებელია ამჟამად ჩვენი პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანოების ყურადღების ცენტრში არ იყვნენ მოქცეული. სწორედ ამ საკითხების მოწესრიგება უზრუნველჰყოფს სოციალისტური პოზიციების გამტკიცებას სოფლის მეურნეობის დარგში. სოფლის წესიერი მომარაგება საქონლით—ის რგოლია, რომელიც გადაბმულია პურის დამზადების სათანადო განვითარებასთან, სოფლის მეურნეობის საბაზრო პროდუქციის გაძლიერებასთან და ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცებასთან.

ახალი სამეურნეო წლის პირობებში სოფლისათვის საქონლის მიწოდების საკითხებს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხასიათი აქვთ და ისინი მოითხოვენ უაღრესად მოქნილ მოქმედებას. ამასთანავე ამ საკითხების გადაჭრას ახლა, 1928 წლის შემოდგომაზე, სპეციფიური მნიშვნელობა ენიჭება იმ სხვადასხვა ახალი ცვლილებების წყალობით, რომელნიც ახასიათებს საწარმოო ურთიერთობას სოფლად.

მაგრამ ვიდრე შევეხებოდეთ მიმდინარე მომენტისათვის დამახასიათებელ ამ სპეციალურ საკითხებს, შევჩერდეთ სოფლისათვის საქონლის მიწოდების რამდენიმე ზოგად წინასწარ პირობაზე და მივმართოთ ჩვენი პარტიის მე-XV ყრილობის პერიოდს, რომელიც [illegible] შორის, შეჩერდა აგრეთვე საქონლით მომარაგების პრობლემაზედაც.

მე-XV ყრილობაზე საკმაოდ ნათლად იქნა აღნიშნული ის გარემოება, რომ სოფლის მომარაგება მრეწველობის საქონლით, ისევე, როგორც ქალაქების ფართე მასების მომარაგება, ხდება საქონლის დეფიციტის პირობებში.

ამხ. სტალინმა შემდეგნაირად განსაზღვრა ამ პრობლემის მნიშვნელობა: „არა, ამხანაგებო, ჩვენში ყველაფერი რიგზე და წესზე არ არის. არსებობენ მაგალითად, საქონლის სიმცირის ელემენტები. ეს მინუსია ჩვენი მეურნეობისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მინუსები ჯერჯერობით აუცილებელია ვინაიდან ფაქტია, რომ ჩვენ წარმოების საშუალებათა იარაღების წარმოებას უფრო სწრაფის ტემპით ვანვითარებთ ვიდრე მსუბუქ მრეწველობას. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ჩვენში უახლოესი წლების განმავლობაში კიდევ იქნება საქონლის სიმცირის ელემენტები. მაგრამ ჩვენ სხვანაირად ვერ მოვიქცევით თუ გვსურს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმის წინ წაწევა“.

ანალოგიურად ახასიათებს საქონლის სიმცირის პრობლემას ამხ. ბუხარინი მოსკოვის მე-XVI კონფერენციაზე თავის მოხსენებაში პარტიის მე-V ყრილობის შესახებ.

ის ამბობს: „პურის „რიგებს“ ჩვენი ეკონომიკის ნამდვილ დამახასიათებელ მოვლენად ვერ ჩავთვლით. ეს არის წმინდა კონიუნქტურული მოვ- [illegible] ლებთ, და, უეჭველია, მალე განვთავისუფლდებით მისგან. მაგრამ ჩვენ თავიდან ვერ ავიცილეთ საქონლის სიმცირის საერთო პრობლემა. მე პირადად იმ შეხედულებისა ვარ, რომ ჩვენში მიწოდება ყოველთვის უკან ჩამორჩება მოთხოვნილებას, ვინაიდან ჩვენს სამეურნეო სტრუქტურაში ჩარჩენილია მოთხოვნილებათა ისეთი ზრდა, რომელიც აიძულებს, ჩვენს მრეწველობას. რომ იგი განვითარდეს. მაგრამ ჩვენში არსებობს საქონლის სიმცირეც, რომელიც უნდა დავძლიოთ ძირითადი კაპიტალის რაციონალიზაციისა, განახლებისა და გაფართოების საშუალებით. ამ საქმისათვის ახალს ვერაფერს გამონახავ“.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილ გამოსვლებში აღიარებულია საქონლის სიმცირის ელემენტების არსებობა უახლოესი პერიოდის განმავლობაში. ამ ელემენტების დაძლევის საჭიროება ძირითადი კაპიტალის გაფართოებით, რაციონალიზაციით და სხვ. პრობლემის სირთულეს შეადგენს ის, რომ ჩვენი საწარმოო ბაზისის გაფართოების პროცესი საკმაო სისწრაფით არ სწარმოებს. ამიტომ მთელი ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩვენს მძიმე მრეწველობას, რამაც უნდა უზრუნველჰყოს მთელი ჩვენი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სათანადო ტემპი და გაძლიერება.

ასე დასვა საკითხი ჩვენი პარტიის მე-XV ყრილობამ.

ტროცკისტებმა რომ „ზეინდუსტრიალიზაციის“ ლოზუნგები წამოაყენეს და ამით ანგარიში არ გაუწიეს რეალურ რესურსებს, პირველ ყოვლისა, ის შედეგი ჩაიდინეს, რომ ცდილობდენ ინდუსტრიალიზაციის ფორმულის ჩამოყალიბებას მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების გარეშე, აცალკევებდენ პრობლემას, ეთამაშებოდნენ მილიარდებს და სოფელს უდგებოდნენ, როგორც თავისებურ საბჭოთა კოლონიას. ამით ისინი არამც თუ დაეშვენ ტუგან-ბარანოვსკის ვულგარულ მოძღვრებამდე, არამედ არსებითად პრაქტიკულად ვერ მიუდგენ საკითხის გადაჭრას ინდუსტრიალიზაციის პრობლემის რომელიმე აქტუალური გადაწ- [illegible]

ეს არის მთელი ჩვენი მეურნეობის აშკარა დეზორგანიზაციის გზა, სხვათაშორის, საქონლით მომარაგებისაც, გზა, რომელიც ბოლოსა და ბოლოს, აშკარად სახელს უტეხს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის იდეას და სულ სხვა საწინააღმდეგო შედეგებს იწვევს.

პარტიამ უკუაგდო ტროცკისტული დემაგოგია და გადაჭრით მხარი დაუჭირა ქვეყნის რეალურ ინდუსტრიალიზაციას, კაპიტალური ხარჯების შესაძლებელ უმაღლეს დონეს დაცვას, მიღწეული ტემპის შენარჩუნებას და სხვ.

ამიტომ, არსებითად სწორე არ არის აგრეთვე საკითხის გადაჭრის ცდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის შეცვლის გზით და ცდა საქონლის სიმცირის პრობლემის გადაჭრის იმ მხრით, რომ შეიცვალოს წინასწარ დასახული ტემპი, გადათვალიერებულ იქნას მე-XV ყრილობის და შემდგომი პლენუმების დირექტივები და ყურადღება მიექცეს მხოლოდ კონიუნქტურულ მომენტებს და სხვ.

ამიტომ ჩვენთვის სრულიად ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენ სწორედ მიუდგებით სოფლის საჭიროების დაკმაყოფილებას სამრეწველო საქონლით მხოლოდ წარმოების რაციონალიზაციისა და როგორც ძირითადი, ისე მსუბუქი ინდუსტრიის ძირითადი კაპიტალის განახლებისა და გაფართოვების საფუძველზე.

ძირითად ამოცანას, რომელიც ამჟამად მთელი თავისი სიმწვავით ისახება, შეადგენს მთელი ჩვენი მრეწველობის—შეძლებისამებრ მაქსიმალურად განვითარება, ახალი კაპიტალური მშენებლობის დაჩქარება და განვითარება.

სოფლისათვის საქონლის მიწოდება მხოლოდ ჩითით არ ამოიწურება. ჩითის პრობლემა მნიშვნელოვანია, ჩვენ ყოველგვარ ზომებს ვიღებთ და კვლავაც მივიღებთ, რომ სოფლის მოთხოვნილება ამ მხრით შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს. მაგრამ ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ სოფლის საწარმოო საჭიროებათა დაკმაყოფილება. უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება ჯერ კიდევ ძლიან [illegible] ნასკნელ ხანებში აშკარად და დიდად გაიზარდა საწარმოო საჭიროებანი.

ამიტომ ახლა ასეთი დიდი და აქტუალური მნიშვნელობა აქვს სოფლის შეძლებისამებრ სრულ უზრუნველყოფას საწარმოო ხასიათის საგნებით. ამ საგნების მოთხოვნილების ზრდა იმას გვიჩვენებს, რომ დაწყებულია სოფლის ინდუსტრიალიზაციის ფართო პროცესი. ეს პროცესი მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო გადაჭრით იწარმოებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და რაც უფრო ფართოდ განვითარდება საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა.

ჩვენმა მომწესრიგებელმა ორგანოებმა გადაჭრით დასვეს საკითხი (და სამართლიანადაც) იმის შესახებ, რომ მაქსიმალურად გადიდდეს სამრეწველო საქონლის გასაღების პროცენტი სოფლად. მაგალითად, პირველ კვარტალისათვის განრახულია ბამბის ქსოვილების შეტანა სოფლად 70 პროცენტის ფარგლებში, მაუდისა და მატყლის საქონლისა—70,8 პროც., ტყავისა—81,4 პროც., ფეხსაცმელებისა—40 პროც., ფანჯრების მინებისა—80 პროც. და ლითონის ნაწარმოებთა 90 პროც.

გარდა ამისა, საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა, რომ საქონელმა მიაღწიოს ფართო მომხმარებელს.

ამ მიმართულებით სასწრაფო ზომების მიღების საჭიროებას გვიკარნახებენ პურის დამზადებისა და ნედლეულის კამპანიის უკეთესად უზრუნველყოფის ინტერესები. საქონლით მომარაგების წარმატებით ჩატარების საქმეში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება კოოპერაციას.

ჩვენ უნდა ვეცადოთ სოფლისათვის საქონლის მიწოდების მოწესრიგებას და ყოველნაირად უნდა დავაკმაყოფილოთ როგორც მისი სამომხმარებლო, ისე საწარმოო საჭიროებანი. ამ საქმეში ჩვენს ამოცანას უნდა შეადგენდეს ხელის შეწყობა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და სოფლის საერთო ინდუსტრიალიზაციის სწორი გზების უზრუნველყოფა.

„პრავდა“, 3 ოქტომბერი.

რესპუბლიკანური დროშის კავშირის ყრილობა

ბერლინი, 2 ოქტომბერი. ჰანოვერში გაიხსნა ყრილობა რესპუბლიკანური დროშის კავშირისა, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოციალ-დემოკრატები. კავშირის ხელმძღვანელმა სოციალ-დემოკრატმა ხერზინგმა გალაშქრა ჯავშნოსანის გამო საყოველთაო კენჭის ყრის წინააღმდეგ. (ადს).

პროფ. როსოლიმოს დაკრძალვა

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. დაკრძალეს ცნობილი ნევრო-პატოლოგი პროფ. როსოლიმო. განსვენებულთან უკანასკნელი ვალის მოსახდელად გამოცხადდენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო, მოსკოვის პროფესორო—მედიკები, განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ვიშნესკი და აკადემიკოსი ამხ. კოლცოვი. (ადს).

კაფარდიევის საქმე

ვენა, 2 ოქტომბერი. გაზეთ „აბენდი“-ს ცნობით, ბულგარელი პოლიტიკური ემიგრანტი კაფარდიევი, რომელმაც ყალბი პასპორტის სარგებლობისათვის დიდი ხანია მოიხადა სასჯელის ვადა—ერთი თვით საპყრობილეში ჯდომა, ვადის გასვლის შემდეგ ისევ საპყრობილეში ჰყავთ. ავსტრიის მთავრობა ამას იმითი ხსნის, რომ კაფარდიევმა მიითვისა სახელი ივანე კოსტოვისა, რომლის გაცემასაც მოითხოვს უნგრეთის მთავრობა ვითომ მას მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის.

კაფარდიევი გადაჭრით უარჰყოფს, რომ იგი კოსტოვია და ამბობს, რომ მან ეს გვარი ალალბედზე აირჩია. (ადს).

როსის გატაცება

ბერლინი, 2 ოქტომბერი. ბერნიდან მიღებული ცნობებით, შვეიცარიის ნაციონალური საბჭო ისევ იხილავდა იტალიის პოლიციის აგენტების მიერ შვეიცარიის ტერიტორიიდან ცნობილი იტალიელი ემიგრანტის როსის გატაცების საკითხს.

სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა გრაბერმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მთავრობისაგან ახსნა-განმარტებას ფაშისტების აგენტების მოქმედების შესახებ შვეიცარიაში, აგრეთვე იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია ამ მუშაობის წინააღმდეგ. გრაბერის რეზოლიუცია უარჰყვეს. (ადს).

დაპატიმრებანი უნგრეთში

ვენა, 3 ოქტომბერი. უნგრეთის გაზეთების ცნობით, ბუდაპეშტის პოლიციამ აღმოაჩინა არალეგალური სტამბა, რომელიც თითქოს უნგრეთის არალეგალურ კომპარტიას ეკუთვნოდეს. სტამბაში კონფისკაცია უყვეს დიდძალ საპროპაგანდო ლიტერატურას, რომელსაც თითქოს სცემდეს უნგრეთის კომკავშირი. პოლიციამ დააპატიმრა ბევრი ახალგაზრდა. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ავსტრალიელი დოკერების გაფიცვა

ლონდონი, 2 ოქტომბერი. ავსტრალიის დოკერების გაფიცვა გრძელდება, მაგრამ აშკარად საგრძნობია ხელმძღვანელობის სისუსტე. მემარჯვენე ფრთა მოითხოვს, რომ მუშები დასთანხმდნენ მთავრობის ახალ კანონზე, რომლის მიხედვითაც შემოღებული იქნება სპეციალური მოწმობების და სამუშაოზე გასვლის ნებართვის გაცემა.

მელბურნში გაფიცული დოკერები თავს დაესხნენ შტრეიკბრეხერებს. რამდენიმე შტრეიკბრეხერი დაიჭრა. დაპატიმრებულია რამდენიმე გაფიცული. (ადს)

დასრულდა პეკინის გაფიცვა

პეკინი, 2 ოქტომბერი. დასრულდა გაფიცვა პეკინის ფოსტის 2.000 მოხელისა, მას შემდეგ, რაც ფოსტის კომისარმა აღუთქვა თავის მოადგილის ლიუ იაო-ტინის დათხოვნა. (ადს)

მუშათა პარტიის ფინანსიური მდგომარეობა

ლონდონი, 3 ოქტომბერი. მუშათა პარტიის ყრილობის დახურულ სხდომაზე ბირმინგამში ჰენდერსონმა გააკეთა მოხსენება პარტიის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. როგორც სჩანს მოხსენებიდან, პარტიის ფინანსიური მდგომარეობა ძლიერ შეარყია 1927 წელში გამოცემულმა კანონმა პროფკავშირების შესახებ, ვინაიდან მან შეზღუდა ფულის აკრეფა პროფკავშირის წევრებისაგან „პოლიტიკურ მიზნებისათვის“. მუშათა პარტიის სალაროს შემოსავალი შემცირდა 40 პროცენტით. დასასრულ ჰენდერსონმა განაცხადა, რომ საჭიროა „პარტია დაჩქარებით გამოეხმაუროს მოწოდებას საარჩევნო კამპანიისათვის ფონდის შექმნის შესახებ (100.000 გირ. სტ. რაოდენობით).“ (ადს).

საფრანგეთის ავიაციის მინისტრის განცხადება

პარიზი, 3 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ავიაციის მინისტრმა ეინაკმა პრესის წარმომადგენლებთან გამართულ საუბრის დროს განაცხადა, რომ იგი აპირებს მოაწყოს საჰაერო საფოსტო და სავაჭრო მიმოსვლა პარიზსა და ყველა დედა-ქალაქს შორის. სხვათა შორის, მან ხაზი გაუსვა თავის განზრახვას გააგრძელოს ხაზი პარიზი-ბერლინი-ვარშავა-მოსკოვამდე. (ადს).

დემონსტრაციის აკრძალვა

ბერლინი, 2 ოქტომბერი. ჰამბურგის სენატმა აკრძალა კომპარტიისა და წითელფრონტელთა კავშირის დემონსტრაცია, რომელიც 3 ოქტომბერს უნდა გამართულიყო. დემონსტრაცია დანიშნული იყო პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ რესპუბლიკანური დროშის კავშირის წევრებმა მოახდინეს სისხლისმღვრელი თავდასხმა წითელფრონტელებზე. დემონსტრაციის მიზანი იყო ხელი შეეწყო მოძრაობისათვის საყოველთაო კენჭის ყრის დანიშვნის სასარგებლოდ ჯავშნოსანის აგების საკითხის გარშემო. (ადს).

ვ. ი. ნარბუტის გამორიცხვა კომპარტიიდან

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება:

„იმის გამო, რომ ვლადიმერ ივანეს ძე ნარბუტმა, როგორც 1919 წელში, როდესაც იგი როსტოვის საპყრობილედან გამოსვლის შემდეგ შევიდა ორგანიზაციაში, ისე შემდეგაც, როდესაც მისი საქმე ირჩეოდა ცენტრალურ დენიკინის კონტრდაზვერვისათვის მიცემული ჩვენება, რომელიც სახელს უტეხს პარტიას და არ შეეფერება პარტიის წევრის ღირსებას, — იგი გამორიცხული იქნას საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) რიგებიდან.

საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის მდივანი შკირიატოვი.

ამხ. დავთიანის გამგზავრება თეირანში

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. დავთიანი გაემგზავრა თეირანში. (ადს).

საკავშირო ცაკის მე-4 სესია

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესია მოიწვიოს 1 დეკემბერს.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: საბჭოთა კავშირის 1928-29 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი, საბჭოთა კავშირის 1926-27 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მიწათმოწყობისა და მიწის სარგებლობის საერთო პრინციპები საბჭოთა კავშირში, მოხსენება საბჭოების არჩევნების შესახებ 1928-29 წელში, საბჭოთა კავშირისა და საკავშირო რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების დებულება, უზბეკისტანის ს.ს.რ-ის მთავრობის მოხსენება. (ადს).

ამხ. კალინინის მიმართვა

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. კულტურულ ლაშქრობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია ამხ. კალინინის მიმართვა „დაიწყო ლენინური ახალგაზრდობის და „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა“-ს საზოგადოების წევრების დიდი კულტურული ლაშქრობა“.

მიმართვაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „მრავალი ათასი კომკავშირელი და ქალაქისა და სოფლის კულტურული მუშაკი ეკვეთა ჩვენს კულტურულ ჩამორჩენილობას. ომი, ულმობელი ომი გამოეცხადა უმეცრებას, წერა-კითხვის უცოდინარობას, ლოთობას, სიბინძურეს და სიზარმაცეს. ომი, სასტიკი ომი—თვითნებობას, ბიუროკრატიზმს და ჩვენი ძველი ყოფა-ცხოვრების წყლულებს. დღითი-დღე იზრდება და მაგრდება დიადი საბჭოთა მშენებლობა. მაგრამ ამას წინ ეღობება მშრომელთა წერა-კითხვის უცოდინარობა. მრავალი მილიონი მუშა და გლეხი ოქტომბრიდან 11 წლის გასვლის შემდეგ კიდევ ვერ კითხულობს ლენინს. კულტურული ლაშქრობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაიწყო, ტყუილად არ არის მიმართული უმთავრესად ძველი ცხოვრების ნაშთის—მუშათა და გლეხთა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდია, რომ კულტურული ლაშქრობა დამთავრდება საკავშირო შაბათობით სკოლის დასახმარებლად. ამ საკავშირო შაბათობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ, მთელმა საბჭოთა ინტელიგენციამ, მოსწავლეებმა და „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა“-ს საზოგადოების ყველა წევრმა. (ადს).

მზადება „კრასინი“-ს შესახვედრათ

მისასალმებელი დეპეშები

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. ყინულისმჭრელის „კრასინ“-ის ახლო მომავალში ლენინგრადში დაბრუნების გამო, ხრ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ყინულისმჭრელის მეზღვაურებს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა. (ადს).

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. წყლის ტრანსპორტის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კავშირის 170.000 წევრის სახელით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ყინულისმჭრელის „კრასინ“-ის მეზღვაურებს, რომელთაც გმირულად შეასრულეს დაკისრებული ამოცანა „იტალია“-ს მონაწილეთა გადარჩენის საქმეში. (ადს).

დელეგაციის გამგზავრება ლენინგრადში

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. ყინულისმჭრელი „კრასინ“-ის შესახვედრად მოსკოვიდან ლენინგრადში მიემგზავრება წყალზე მომუშავეთა კავშირის ც. კ.-ის დელეგაცია. (ადს).

„კრასინ“-ის ექსპედიციისა და მეთაურთა შემადგენლობა

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. „კრასინ“-ის დაბრუნებასთან დაკავშირებით, მოგვყავს ცნობები ყინულისმჭრელის ექსპედიციისა და მეთაურთა შემადგენლობის შესახებ. სამოილოვიჩი—ექსპედიციის უფროსი, ორასი—ექსპედიციის უფროსის მოადგილე, ჩუხნოვსკი—თვითმფრინავის მეთაური, სტრაუბე—მეორე პილოტი, ალექსეევი—მფრინავი—მეთვალყურე, შელაგინი—ბორტ-მექანიკოსი, ფედოროვი—ბორტ-მექანიკოსი, ბერიოზკინი—ჰიდროლოგ-სინოპტიკოსი, ივანოვი — ექსპედიციის მდივანი, დობროვოლსკი—რადიოტი—მოკლე ტალღაზე გადამცემი, ყინულისმჭრელის ეკიპაჟი შეიცავს 118 კაცს, მათ რიცხვში ყინულისმჭრელის მეთაურს პონომაროვს (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პლებისციტი უნდა შესდგეს.

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი ა. კაიტი იტყობინება:

ბერლინში გამოკრულია ქალაქის მმართველობის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია-ნებადართულია ხელის მოწერის შეკრება იმისათვის, რომ დანიშნულ იქნას საყოველთაო კენჭის ყრა ჯავშნოსანის აგების შესახებ. ხელის მოწერის შეკრების ნება მთავრობამ დართო მას შემდეგ, რაც ეს დაჟინებით მოითხოვა გერმანიის კომუნისტურ პარტიამ და ამ პარტიის მიმდევარ მთელ რიგ მუშათა რაიონებმა.

მიმდინარე წლის სამ ოქტომბრიდან თექვსმეტ ოქტომრამდე მთელ გერმანიაში იწარმოებს ხელის მოწერის შეკრება იმის შესახებ, რომ უნდა ჩატარდეს საყოველთაო კენჭის ყრა ჯავშნოსანის აგების საკითხის გადასაწყვეტად.

წარსულ კვირას მრავალ ადგილას შესდგა სააგიტაციო კრება. ბერლინის ქუჩები ამ დღეს მოგაგონდებათ რეიხსტაგის არჩევნების დღეებს. კომპარტიის მოწოდება ჯავშნოსანის აგების შესახებ დიდ გამოძახილს ჰპოვებს სოციალ-დემოკრატ მუშებშიც კი.

პოლონელ რეფორმისტების მოჩვენებითი მთლიანობა

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი ბრატინი გადმოგვცემს შემდეგს:

დისკუსია პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მთავარ საბჭოში იმის შესახებ, თუ ვის უნდა დარჩენოდა პარტიის ხელმძღვანელობა, შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. გაიმარჯვა ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ოპოზიციაში ჩაუდგეს მთავრობაში. პილსუდსკის მომხრეთა რეზოლიუციამ უმნიშვნელო რაოდენობის ხმა მიიღო.

ვარშავის პრესა ფართე კომენტარიებს უკეთებს პოლონეთის სოციალისტური პარტიის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ მთლიანობა, რომელსაც თითქოს მიაღწია ამ პარტიამ, მოჩვენებითი ხასიათისაა.

ახალი დებულება საკავშირო შრომის კომისარიატის შესახებ.

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. საკავშირო ცაკმა დაამტკიცა ახალი დებულება საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ.

თქვენს კორესპონდენტებთან საუბარში, საკავშირო შრომის სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ტოლსტოპიატოვმა განაცხადა, რომ ახალი დებულება დიდ საპასუხისმგებლო ამოცანას აკისრებს შრომის სახალხო კომისარიატს. კერძოთ დებულების თანახმად შრომის სახალხო კომისარიატს ევალება მეტი ყურადღება დაუთმოს მუშათა საბინაო მშენებლობას.

ახალგაზრდა მხატვრების ნაშრომის გამოფენა.

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. გაზეთ „პრავდა“-ს რეცენზენტი ამხ. ტუგენხოლდი ეხება მოსკოვის უმაღლეს სამხატვრო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა სურათების გამოფენას და აღნიშნავს, თბილისის სამხატვრო აკადემიის ყოფილ სტუდენტ ქალის თამარა თავაძის უდიდეს დეკორატიულ ნიჭს.

საბჭოთა-პარტიული პრესის მორიგი ამოცანები

რეზოლიუცია ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო

მიღებული რედაქტორთა სრულიად საკავშირო თათბირზე

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. გაზეთების რედაქტორთა საკავშირო თათბირზე სავსებით იწონებს ამხ. მოლოტოვის მოხსენების დებულებებს.

სოციალიზმის პრაქტიკული მშენებლობის შემდგომი წარმატება, კულაკურ-ბურჟუაზიული ელემენტების შემოტევის ცდების მოგერიება, პარტიის ძირითადი ხაზის განხორციელება (მტკიცედ გატარება პარტიის მიერ მიღებული კურსისა: ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარება და გლეხთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესება, სოფლის მასიური კოლექტივიზაცია და კოპერატიულად შეკავშირება, გაძლიერებული დახმარების გაწევა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის, კულტურული რევოლიუციის ჩატარება და შეუდრეკელი ბრძოლა მასებზე მეშჩანურ-წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ, პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის კავშირის გაძლიერება გლეხობის ძირითად ფენებთან) შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკულად განხორციელებული იქნება მუშათა მასების და მშრომელი გლეხების განსაკუთრებით, ღარიბი გლეხების, ჩაბმა მშენებლობის ყველა დარგში და თუ უფრო ფართოდ იქნება გაშლილი მუშათა დემოკრატია, პირველ რიგში კი—შინაპარტიული დემოკრატია. ამასთან დაკავშირებით, პრესის წინაშე ერთხელ კიდევ ისმება ამოცანა—დარაზმოს და შეაკავშიროს პარტიის გარშემო უპარტიოესი მასები. ამასთანავე საბჭოების გადარჩევის კამპანია, რომელიც მომავალ ზამთარში უნდა ჩატარდეს და რომელშიაც მშრომელთა ფართო ფენები იქნებიან ჩაბმულნი, უნდა მოექცეს საბჭოთა და პარტიული პრესის ყურადღების ცენტრში, უნდა გადაიქცეს მასების აქტივობის მობილიზაციის კამპანიად სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ამოცანების ირგვლივ და უნდა ჩატარდეს საბჭოების შემდგომი კიდევ უფრო გადამჭრელი გამოცოცხლების ლოზუნგით.

მასების ჩაბმა მშენებლობაში, ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის და ამასთან დაკავშირებით, გაძლიერებული ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, მასების პროლეტარულ-კლასობრივი აღზრდა აქტივის გაძლიერების საფუძველზე,—ეს ამოცანები მოითხოვენ თვითკრიტიკის ლოზუნგის განუხრელად და უფრო ენერგიულად განხორციელებას, ვიდრე ეს დღემდე იყო, ხოლო ამ ლოზუნგის განხორციელებაში პირველ რიგში მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა მასებმა. პრესამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა ბიუროკრატიულ გადამახინჯებებთან ჩვენი ორგანოების მუშაობაში და ამავე დროს სისტემატიურად უნდა დახშოს ყოველი ცდა, რომელიც მიმართული იქნება თვითკრიტიკის შემდგომი თანამიმდევრობითი განვითარების წინააღმდეგ პრაქტიკულ მუშაობაში.

საჭიროა თვითკრიტიკის გაშლა არა მარტო სამეურნეო, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანოების მიმართ, არამედ კიდევ უფრო, ვიდრე დღემდე, პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული დეფექტების გამოსააშკარავებლად.

პროლეტარიატის ყოვლადებითი წინსვლა სოციალისტური მშენებლობის გზაზე, რაც, ისეთ ქვეყანაში, სადაც გლეხური მოსახლეობა სჭარბობს, დაკავშირებულია გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობათა და სიძნელეთა დაძლევასთან, მოითხოვს თვითეული პარტიული ორგანიზაციისაგან, თვითეული კომუნისტისაგან გაძაფრებულ პრაქტიკულ მუშაობას პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, გარკვეული პარტიული ხაზის გასატარებლად და ბრძოლას ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ და პარტიის ხაზიდან გადახრებისადმი ლმობიერ დამოკიდებულებასთან, რაც შეუთავსებელია ლენინიზმთან.

საჭიროა გაძლიერებული იქნას იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა ტროცკიზმის გამოცოცხლების ცდების წინააღმდეგ. ამავე დროს საჭიროა დაწყებულ იქნას უფრო გადამჭრელი ბრძოლა პარტიული ხაზის სხვა ოპორტუნისტულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ, რომელთა შესახებაც ლაპარაკია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის რეზოლიუციაში. ბრძოლა აშკარა და ნახევრად ფარულ ოპორტუნისტულ მერყეობათა წინააღმდეგ უნდა მიჩნეულ იქნას მთავარ ამოცანად, თანახმად კომინტერნის მე-6 კონგრესის დირექტივისა მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. პრესის წინაშე ეხლანდელ პირობებში განსაკუთრებული სიმწვავით დაისახა ამოცანა—გააძლიეროს კომუნისტების ფართო მასის და აგრეთვე, საერთოდ, მუშათა კლასის ფართო კადრების იდეური ბოლშევიკური აღზრდა.

რედაქტორების თათბირი აღნიშნავს, რომ საბჭოთა და პარტიული პრესის მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება, ხოლო მისი მუშაობის პირობების თანდათან გართულება მოითხოვს, რომ პარტიამ ყოველმხრივ გააძლიეროს და გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა პარტიის მიმართ. ამასთან ერთად საჭიროა პრესის ყოველმხრივ გაძლიერება კვალიფიციური, მასებთან დაკავშირებული და ნამდვილად ბოლშევიკურად გამობრძმედილი მუშაკების ახალი კადრებით.

თბილისის კომკავშირის აქტივზე

სახელმწიფო ოპერის დარბაზი ვერ იტევს მოზღვავებულ ახალგაზრდობას და ბევრი კომკავშირელი გულდაწყვეტილი ბრუნდება უკან. ყველა მოუთმენლად ელის სხდომის გახსნას, მოელის ნახოს ძვირფასი სტუმრები—ახალგაზრდობის მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის გენერალური შტაბის წარმომადგენლები.

სხდომას ხსნის ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. აზარაშვილი.

ახალგაზრდათა კომ. ინტერნაციონალის მე-5 კონგრესის შედეგების შესახებ სიტყვას იღებს ახ. კომ. ინტ. გენერალური მდივანი ამხ. ხითაროვი, რომლის გამოჩენას აუდიტორია მქუხარე ოვაციით ხვდება.

ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესის შედეგები

(ამხ. ხითაროვის მოხსენება)

„ამხანაგებო მე არ შემიძლიან ჩემს მოხსენებაში შევეხო მე-5 კონგრესის მუშაობას ყველა დეტალებს—იწყებს ამხ. ხითაროვი,—მე შევეცდები გაგაცნოთ კონგრესის მხოლოდ ძირითადი გადაწყვეტილებანი. კონგრესმა განიხილა ჩვენი ორგანიზაციების ყველა მტკივნეული საკითხები და აღნიშნა, რომ ჩვენ მეტად რთულ პირობებში გვიხდება მუშაობა. თუ ჩვენ ვერ შევსძელით მსოფლიო ახალგაზრდობის მასიური ორგანიზაციის შექმნა, ამას თავისი მიზეზები აქვს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია სდევნის კომკავშირის ორგანიზაციებს; ფაშისტური ტერორი მძვინვარებს ყოველგვარ რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

გარდა ამისა ბურჟუაზია ცდილობს იდეოლოგიურად დაიმორჩილოს ახალგაზრდობა. პრესა, ეკლესია, სკოლა სწორედ ახალგაზრდათა იდეოლოგიური დაპყრობისაკენ არის მიმართული.

ბურჟუაზია ბავშვებს ზრდის ფაშისტურ პრინციპებზე მოწყობილ საბავშვო ორგანიზაციაში. შემდეგში მათ ძალად ერეკებიან სტუდენტთა ფაშისტურ კავშირებში.

მეორე მხრივ უნდა აღვნიშნოთ სუბიექტიური მიზეზებიც, ე. ი. ის მიზეზები, რომლებიც უშუალოდ ჩვენგან გამომდინარეობენ.

დღემდე ჩვენი მუშაობის მეთოდები ვერ არის შეგუებული ახალგაზრდობის მოთხოვნილებებთან. ჩვენი მუშაობა ჯერ კიდევ უმეტესად აგიტაციის ხასიათს ატარებს. საჭიროა გადავიდეთ არსებითი ხასიათის მოქმედებაზე, გავშალოთ მასიური მუშაობა, რაც ახალგაზრდობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ უნდა იქნეს მიმართული..

მე-5 კონგრესმა ხაზი გაუსვა აგრეთვე მთელ რიგ მიღწევებს. შესამჩნევად გაიზარდა ჩინეთის კომკავშირის ორგანიზაცია, რომელიც დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ჩინეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში, რომელიც დღეს ჩინეთში არის, მართლაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს კომკავშირის ორგანიზაციის მოღვაწეობა.

შესამჩნევად გაიზარდა ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი კადრები. სამოქმედო ასპარეზზე გამოდის კომკავშირის ახალი აქტივი, რასაც მოწმობს უკვე დასრულებულ კონგრესზე გამოგზავნილ დელეგაციის შემადგენლობის სიახლე. ამას უნდა მიუმატოთ კიდევ იმ აქტიურ კომკავშირელთა რიცხვი, რომელიც პარტიას გადავეცით.

წინა კონგრესებზე გამოტანილი იქნა დადგენილება, რომლის ძალით ჩვენ უარს ვამბობდით ე. წ. დამხმარე ორგანიზაციებზე, სინამდვილემ გვიჩვენა, რომ ასეთი მდგომარეობა არ არის სწორი, მე-5 კონგრესმა შეასწორა დადგენილების ეს პუნქტი. რასაკვირველია, ჩვენს ძირითად მებრძოლ პოლიტიკურ ორგანიზაციად ისევ კომკავშირი რჩება, მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვჭირია დამხმარე ორგანიზაციებიც, როგორიც არის გერმანიის წითელ ფრონტელები, პროფკავშირების ახალგაზრ. სექციები და კომისიები. მათი საშუალებით ჩვენ ნელ-ნელა ჩავაბამთ ახალგაზრდობას კომკავშირის რიგებში.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ მე-5 კონგრესმა გააკეთა უდიდესი მნიშვნელობის საქმე, მან მიიღო პროგრამა.

ახ. კომ. ინტ. ხელმძღვანელობის ქვეშ ჩვენ შევსძლებთ გავაძლიეროთ ახ. კომ. ინტერნაციონალის ყველა სექციებში და ვაწარმოოთ მედგარი ბრძოლა მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. კონგრესის მიერ დასახული ამოცანების ცხოვრებაში გატარებით შევსძლებთ გადავლახოთ ყველა ის სიძნელე, რაც ხელს უშლის ჩვენს ნაყოფიერ მუშაობას.

უცხოელი ამხანაგების მისალმება

უცხოელი ამხანაგები ესალმებიან აქტივს

კრება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა კონგრესის დელეგატებს, რომლებიც ამხ. ხითაროვის მოხსენების დროს შემოვიდნენ სცენაზე.

დელეგატები მიესალმნენ აქტივს.

ამხ. ლევერა (იტალია)

ამხანაგებო! ნება მომეცით გადმოგცეთ მხურვალე სალამი იტალიის კომკავშირის სახელით. ჩვენმა ორგანიზაციამ შესძლო ეწარმოებინა უდიდესი მუშაობა, მძაფრ ფაშისტურ ტერორის პირობებში. მე-5 კონგრესმა გამოიმუშავა ახალი მეთოდები, რომლებიც უფრო გააღვივებენ ჩვენს მუშაობას. იტალიის ფაშიზმი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების ინიციატორია. ჩვენი ორგანიზაცია მუდამ მზად იქნება მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს მუსოლინის ზრახვებს.

ამხ. ლინჩი (ინგლისი)

ინგლისის კომკავშირის სახელით ძმური რევოლიუციონური სალამი თბილისის კომკავშირელებს. ბრიტანეთის ბურჟუაზია მეთაურობს კაპიტალისტურ ქვეყნებს და ცდილობს დაამხოს პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო, ჩვენი ორგანიზაცია მედგრად იბრძოლებს ამ ცდის წინააღმდეგ.

ჩვენ ყოველ მომენტისათვის მზად ვართ საბჭოთა კავშირის დასაცავად.

გაუმარჯოს ა.-კავკასიის ხალხთა ერთიანობას.

გაუმარჯოს ახალგ. კომინტერნს.

ამხ. ფილიპსი (ამერიკელი ზანგი)

კაპიტალიზმი შოვინიზმს ანთებს შავი რასის წინააღმდეგ, ყოველგვარ დამცირებას და ჩაგვრას აყენებს ჩაგრულ ერებს. ამიტომაც ჩვენ დაბეჩავებულ ხალხების მშრომელი ახალგაზრდობა უფრო მეტის სიმტკიცით გაერთიანდებით ახ. კომინტერნის დროშის ქვეშ, რომ თქვენთან ერთად პასუხი გავცეთ მსოფლიო იმპერიალიზმს.

ამხ. მაჰმუდი (ინდოეთი)

ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტები ათასგვარ ხმებს ავრცელებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კონგრესის დამთავრების შემდეგ საშუალება მოგვეცა დაგვეთვალიერებინა თქვენი აღმშენებლობა, ფაბრიკა-ქარხნები, ელექტრო-სადგურები. ყველაფერი რაც ვნახეთ მოწმობს დიდ სოციალისტურ აღმშენებლობას. დაბრუნებისას, ჩვენ უამბობთ ჩვენი ქვეყნის მუშებს საბჭოთა კავშირის სინამდვილეს და გავფანტავთ კლასობრივი მტრის მიერ შეთხზულ ჭორებს.

კრებას მიესალმნენ აგრეთვე ამხ. ანდრე (საფრანგეთი) და ამხ. ვებერი (საქ. ა. ლ. კომკავშირის საშეფო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

—:—

დასასრულ საპასუხო სიტყვით გამოვიდა **ამხ. ჯავახიძე**.

ამხანაგებო! ნება მომეცით ახ. კომინტერნის წარმომადგენლებს მხურვალე, ძმური რევოლიუციონური სალამი ვუძღვნა საქ. კომკავშირის სახელით!

ყველა ის პრაქტიკული მითითებანი, რომელიც მე-5 კონგრესმა დასახა, სავალდებულოა თვითეულ რევოლიუციონერისათვის და საერთოდ მთელ მუშურ - გლეხური ახალგაზრდობისათვის. არ შეგვიძლია არ გაუწიოთ ანგარიში იმ ბრძოლას, რომელსაც კომკავშირი აწარმოებს მსოფლიო მასშტაბით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში კომკავშირის მუშაობა გამძვინვარებულ ტერორის ქვეშ მიმდინარეობს.

ასეთ პირობებში საბჭ. კავშირის თვითეულ კომკავშირელის მოვალეობაა აქტიური მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ფრონტზე. საბჭოთა კავშირის მეურნეობის განმტკიცებით, საუკეთესო დახმარებას გაუწევთ მოძმე ორგანიზაციებს.

აქტივის კრებამ მიღებულ რეზოლიუციაში მოიწონა ახ. კომ. ინტერნაციონალის კონგრესის ყველა დადგენილება და მოუწოდა კომკავშირელებს გულდასმით შეისწავლონ იგი.

დასასრულ სტუმრების პატივსაცემად გაიმართა კონცერტი.

ტერნაწილები მანევრებზე

შეხვედრითი ბრძოლა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ქარელიდან გასვლის შემდეგ „წითლების" რაზმი დაბანაკდა სოფ. არადეთ - სალოლაშენის მიდამოებში და შეუდგა მზადებას შეხვედრითი ბრძოლისათვის. აქ შესდგა მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის საერთო კრება არმიის სარდლის ამხ. ლევანდოვსკის თანდასწრებით, რომელზედაც განხილულ იქნა ყველა საკითხები, დაკავშირებულნი მომავალ ბრძოლასთან.

„ლურჯების" რაზმი დაბანაკებული იყო სოფ. ურბნისის მიდამოებში.

2 ოქტომბერს დღის 11 საათზე „წითლებმა" და „ლურჯებმა" დასტოვეს თავისი ბანაკები და გამოგზავნეს მაძიებელთა რაზმები, რომლებსაც უნდა დაეზვერათ მიდამოები და შეეტყოთ მოწინააღმდეგე მხარის მოახლოება და მათი ძალები.

„წითლების" რაზმში შედიოდა 2 ლეგიონი და ორი ბატარეია, „ლურჯების" რაზმი შესდგებოდა ერთი ლეგიონიდან ლეგიონში შემავალ არტილერიით.

„წითლები" მოძრაობდნენ ორი კოლონით: მარჯვენა კოლონაში შედიოდა მე-4-ე ლეგიონი და 1 ბატარეია, მარცხენაში — მე-6-ე ლეგიონი და 1 ბატარეია.

მზვერავებად წინასწარ გაგზავნილი იქნა ერთი ათასეული, რომელსაც მისდევდა მოთავე რაზმი ბატარეით, შემდეგ კი მოდიოდნენ დანარჩენი რაზმები.

დღის 2 საათზე სოფ. რუისის მიდამოებში „წითლების" და „ლურჯების" მზვერავნი შეხვდნენ ერთმანეთს და მოუხდათ შეტაკება. ამავე დროს გაჩაღდა „ბრძოლა" ორივე მხარის შორის.

„წითლები" ცდილობდნენ დაეკავებინათ რუისის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობები — მალხაზის წვერი, რომელზედაც იმყოფებოდნენ „ლურჯები", „ლურჯები" თავისი მხრივ, ცდილობდნენ უკუეგდოთ „წითლები".

„ბრძოლა" გაგრძელდა სამ საათს. ორთავე მხარე მოქმედებდა საუკეთესოდ, ყოველივე საჭირო ზომების დაცვით.

„ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდა არტილერია, ჯავშნოსანი ავტომობილები და ქიმიური ნაწილები.

შუადღის 4-ზე გამოირკვა, რომ „წითლებმა" ხელთ იგდეს „ბრძოლის" ინიციატივა, მათ აიძულეს „ლურჯები" დაეხიათ უკან ურბნისის მიმართულებით.

ჩატარებულმა შეხვედრითმა ბრძოლამ ნათელყო, რომ ტერიტორიალური ნაწილების მიერ კარგათ არის შეთვისებული სამხედრო ხელოვნების ძირითადი საფუძვლები.

ქვეითი ჯარის და არტილერიის მოქმედება შეფარდებულ იქნა ერთი მეორესთან, არტილერია დროზე ეხმარებოდა ქვეითთ ჯარს და იცავდა მას.

წითელი არმიელები ნათლად იყვნენ გარკვეულნი თავისი ერთეულების ამოცანებში. ამიტომ მათი მოქმედება იყო მიზანშეწონილი. მეთაურის ყოველი განკარგულება და ბრძანება სრულდებოდა დროულათ და სწორედ.

შეხვედრითი ბრძოლის შემდეგ „ლურჯებმა" დაიხიეს უკან და დაბანაკდნენ ურბნისთან, „წითლებიც" დაბრუნდნენ რუისში და აქ ელოდნენ შემდეგ განკარგულებას მთავარ ხელმძღვანელ აპარატისაგან.

ძ. ხუციშვილი.

ურბნისი
3 ოქტომბერი.

ღამით გზაში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან).

შეჯავშნული ავტომობილები ნელა, ფრთხილი ნაბიჯით მიგოგავენ მთვარის შუქით განათებულ გზაზე.

ფარნები ჩამქრალია. ეს ზომა საჭიროა იმისათვის, რომ „მოწინააღმდეგემ" არ შენიშნოს ჯავშან-ავტომობილები და არ გადაუჭრას გზა.

ბანაკამდის დარჩენილია საკმაო მანძილი. მაგრამ ჩქარი მოძრაობა არ შეიძლება, რადგან გზა გაფუჭებულია და ხშირად გვიხდება ტალახში სიარული.

მზვერავი მოტოციკლეტით ასრულებს გამყოლის როლს. ერთ და იმავე დროს იგი ათვალიერებს გზას და ზვერავს არე-მარეს — ეძებს მოწინააღმდეგის ნაწილებს.

— ფრთხილად! გზა გაფუჭებულია! — მოისმა მზვერავის ხმა. ჯავშნოსნებმა უკლეს სიარულს და გაჩერდნენ ჩანგრეულ ბოგირთან.

წითელ არმიელნი სასწრაფოდ შეუდგნენ ბოგირის აღდგენას. მუშაობენ გამალებით და თან ბრაზობენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და გლეხობა გულგრილად უყურებს გზების ასეთ უნუგეშო მდგომარეობას.

ბოგირი აღდგენილ იქნა დიდის წვალებით. ჯავშნოსნები და საბარგო ავტომობილი, რომელსაც თან დააქვს საწვავი მასალა და იარაღი, ფრთხილად გადავიდნენ ზედ.

გაუდექით გზას.

მოვდივართ ტრიალ მინდორზე იშვიათად გვხვდება ხე, ან ბუჩქი.

გარშემო სიჩუმეა, რომელსაც დრო გამოშვებით არღვევს ძაღლის ყეფა შორი სოფლიდან, ან ცხენების თქარა-თქური.

შორს, ჩრდილოეთით მოსჩანან კავკასიონის ქედის რამოდენიმე მწვერვალი, შელესილნი ახლად მოსული თოვლით.

მიუახლოვდით ძველ შარა გზას, რომელიც გაჭიმულია ლარივით რუისიდან არადეთამდე. ვიცვალეთ მიმართულება და გავსწიეთ დასავლეთისაკენ.

მთვარე უახლოვდება თრიალეთის ქედს; იგი მალე ჩაესვენება ქედის გადაღმა და არემარე გაეხვევა სიბნელეში. საჭიროა აჩქარება, რომ ბანაკამდის მივიდეთ სინათლით.

— აჩქარდით! — გაისმა განკარგულება, ჯავშნოსნებმა უმატეს სიარულს, მაგრამ გზა დაკავებული აღმოჩნდა ურმების ქარავნით, რომლებსაც მიჰქონდა ბანაკში სურსათ-სანოვაგე და ფურაჟი.

ძალა-უნებურად ჯავშნოსნები მიჰყვნენ ურმებს ნელი ნაბიჯით.

კიდევ ახალი დაბრკოლება: გზა ღრმად არის ჩახრამული წყლის მიერ, საჭიროა მისი ამოვსება, ისე ავტომობილი ვერ გაივლის.

შეუდექით მუშაობას, ვეზიდებით მიწას, ქვებს, ქვიშას. დავასრულეთ მუშაობა, მანქანები ამუშავდნენ, შოფერებმა მიაშურეს საჭეებს.

— წინ! — გაისმა განკარგულება.

არ გაგვევლო ოციოდე საჟენი, რომ მოისმა თოფის ხშირი სროლა. დაირღვა სიჩუმე. ძალა-უნებურად ტანში ჟრუანტელი გვივლის: არ იცი რა ხდება, არ იცი ვინ ისვრის — „მტერი" თუ მოყვარე.

დაზვერვაზე

—:—

— ალბად დაეცნენ ქარავანს — იძახის მოტოციკლეტზე მჯდომი არმიელი.

— პირველი ჯავშნოსანი წინ, მეორე მომყვეს უკან — გასცა განკარგულება უფროსმა და წინა ჯავშნოსანი გაექანა იქითკენ, საიდანაც ისმოდა სროლა.

დამცემთა რაზმმა ალბად დროზე შენიშნა ჯავშნოსნის მიახლოვება. სროლა შესწყდა და მოისმა ცხენების ფეხის ხმა.

— მოჰკუსლეს!

— დადევნებაც ძნელია, ბაღებს შეაფარეს თავი.

— ძაან კი გარბიან, ფეხის ხმა აღარ ისმის.

— დააფრთხო ჯავშნოსანმა, — იძახიან ჯავშნოსანზე მომუშავე არმიელები.

ქარავანმა დაგვითმო გზა.

მზვერავმა არმიელმა გააქანა მოტოციკლეტი გზის დასაზვერათ.

მალე გამოჩნდა სოფ. არადეთი.

— რადგან მშვიდობით მოვედით სოფლამდის, ამიტომ გვეკუთვნის ერთი ჯერი ტკბილი ძილი — მეუბნება ჩემი თანამგზავრი, რომელიც აღჭურვილია ფოტო-აპარატით და სხვა მრავალი ფოტო-ხელსაწყოებით.

მოვძებნეთ თავისუფალი საბძელი, ჩავძვერით ბზეში და მალე დავიძინეთ ტკბილის ძილით.

ე. ხუციშვილი.

ს. რუისი.
3 ოქტომბერი.

მანევრების დღიური

მანევრების მორიგი ამოცანა.

შეხვედრითი ბრძოლისა და ნახევარი დღის დასვენების შემდეგ, ტერიტორიალური ნაწილები გავიდნენ მანევრების მორიგი ამოცანის შესასრულებლად.

დღეს, 4 ოქტომბერს, ჩატარდება „წითლებისა" და „ლურჯების" მიახლოვება ერთმანეთთან და შეტევა წინასწარ გამაგრებულ „მტრის" წინააღმდეგ.

მანევრების ეს მორიგი ამოცანა შესრულებულ იქნება ს. ურბნისის ჩრდილოეთით გაშლილ მინდორზე.

რადიო - მოყვარულნი მანევრებზე

მანევრებში მონაწილეობას იღებს 20-მდე რადიო - მოყვარული ახალგაზრდა, რომელნიც მიმაგრებულნი არიან რადიო - ნაწილზე.

რადიო - მოყვარულნი მანევრებზე გაეცნობიან რადიოს გამოყენებას ომის დროს.

კოოპერაცია მანევრებზე

სამხედრო კოოპერაცია მანევრებზე მუშაობს საუკეთესოდ.

სურსათ - სანოვაგის და სხვა საჭირო საგნების მიწოდება არმიელებისათვის და მეთაურებისათვის დაყენებულია ჩინებულად.

სამხედრო კოოპერაციას მოწყობილი აქვს საველე სასადილო და ბუფეტი. აქვს აგრეთვე საველე ფურგონები და სამზარეულო რომელნიც თან დაჰყვებიან ნაწილებს.

საღამო სოფ. რუისში

შეხვედრითი ბრძოლის შემდეგ დაბრუნებულმა ნაწილებმა სოფ. რუისში მოაწყვეს დიდი საღამო.

მუშაობდა სამი კინო - აპარატი, კინოსეანსებს დაესწრო მთელი სოფელი.

მოეწყო რადიო - სეანსი. მოსმენილ იქნა კონცერტი თბილისიდან და ბერლინიდან და მოხსენება ქართულ ენაზე.

კინო და რადიო სეანსების შემდეგ გაიმართა ცეკვა - თამაში მუსიკით.

არმიელნი და გლეხობა

სოფ. ურბნისში დაბანაკებულმა ცხენოსან ლეგიონის არმიელები დასვენების დროს რამოდენიმე საათის განმავლობაში ეხმარებოდნენ გლეხებს სიმინდის გარჩევაში.

მთელ სოფელში გაისმოდა არმიელების მხიარული სიმღერა მუშაობის დროს.

გლეხები დიდათ ემადლიერებიან არმიელებს დახმარებისათვის.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მე-7 ყრილობა

მერვე დღე

ა.-კ. რკ.-გზელთა დამზღვევ სალაროს საქმიანობა

ამხ. დიკის მოხსენება

სოციალური დაზღვევის განვითარება დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. რკინისგზელთა მე-6 ყრილობამ მოგვცა დირექტივა ცხოვრებაში გაგვეტარებია მთელი რიგი ღონისძიებები დაზღვევის გაუმჯობესების საქმეში. ეს იყო საფინანსო, ორგანიზაციული, ჯანმრთელობის და სხვა. მე-7 ყრილობის დროს ეს დირექტივები განხორციელებულია.

პირველ ყოვლისა შეუდექით აპარატის რაციონალიზაციის გატარებას. ეს მუშაობა დავიწყეთ 1926 წლიდან და ჯერ სავსებით დასრულებული თითქმის არ არის. 1927 წელში დამზღვევ სალაროში მუდმივი თანამშრომლები გვყავდა 41, ამჟამად გვყავს 26. საუბნო სალაროების თანამშრომელთა კვალიფილად ამჟამად გვყავს — 81 თანამშრომელი. ხელისუფლების დირექტივა ხარჯების 30 პროცენტით შემცირების შესახებ გატარებულია ცხოვრებაში გადაჭარბებით. ადმინისტრატიული აპარატის შესანახი ხარჯები აჟამად თვითეულ დაზღვეულზე უდრის 2 მან. 61 კაპ.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საუბნო სალაროების თანამშრომელთა კვალიფიკაცია დაბალია, მათ შესაფერისად არ ესმით სოციალური კანონმდებლობა, რის გამო იქმნება საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი. ამ სენის წინააღმდეგ და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭიროა სათანადო ღონისძიებების მიღება.

თუ როგორია დამზღვევ სალაროს მიერ გაწეული დახმარება, ამას ნათელყოფენ ქვემოთ მოყვანილი ციფრები: დროებით შრომის უნარის დაკარგვის დროს დაზღვეულებს თბილისში, ბაქოში, ჭიათურაში, ბათომში და ერევანში ეძლევათ უმაღლესი განაკვეთი 180 მანეთის რაოდენობით, ხოლო დანარჩენ უბნებში — 150 მანეთი თვეში.

ავადმყოფობის შემთხვევა თვითეულ 1000 დაზღვეულზე 26-27 წელში უდრიდა 120 კაცს, 27-28 წელში — 106-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი აქვს დაზღვეულთა შორის ავადმყოფობის მოგონებასაც. ასეთების რიცხვი 26-27 წელში უდრიდა 12,6 პროცენტს, 27-28 წელში — 10-25 პროცენტს.

თანდათანობით იზრდება პენსიონერთა რიცხვი. 1923 წელში პენსია ეძლეოდა 2322 შრომის ინვალიდს, ამჟამად მათი რიცხვი 4919 უდრის. 23-24 წელში შრომის ინვალიდებს ეძლეოდათ საშუალოდ 7 მ. 84 კ. 26-27 წელში — 29 მან. 32 კაპ., 27-28 წ. — 31 მ. 31 კაპ. გაუმჯობესდა პენსიების დარიგების საქმეც. ამჟამად პენსიონერებს თბილისში — თავიანთი პენსია ეგზავნებათ ფოსტით.

უმუშევართა დაზღვევის საქმის გასაუმჯობესებლად მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებები. 1926 წლის 1-ლ ოქტომბრის დახმარებას იღებდა 780 დაზღვეული უმუშევარი. ამჟამად დახმარება ეძლევა — 2666 კაცს.

საკურორტო დახმარების საქმეც დიდათ გაუმჯობესებულია. ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე გაიხსნა ლიბანის სანატორიუმი, რომლის აგება დაჯდა — 1.468.527 მანეთი. მიმდინარე წელში ლიბანის სანატორიუმში გაიგზავნა 832 ავადმყოფი. მაგრამ ამ რიცხვიდან ამიერ - კავკასიის რკინისგზელები იყო — 307, სხვა გზებიდან — 227, ხოლო სამასი საწოლი იჯარით აიღო ბაქოს მუშებისათვის სოცდაზღვევის მთავარ სამმართველომ. სანატორიუმში თითო ავადმყოფის შენახვაზე იხარჯებოდა 148 მანეთი, შემდეგში ეს თანხა რამოდენიმედ შემცირდა. გარდა ამისა ლენინაკანში ავაგეთ ტალახით სამკურნალო.

ქლექით ავადმყოფთა სამკურნალოდ თვენახევარი არაა საკმაო. ამ მიმართულებით უნდა გამოინახოს სხვა საშუალება.

დასასვენებელ სახლებში 1926 წელში გაიგზავნა — 1477 დაზღვეული, 28 წელში — 1828. ამ რიცხვში არ შედის წყალტუბოში გაგზავნილები. გადაწყვეტილი გვაქვს ავაგოთ დაზღვეულთათვის მთლიანი დასასვენებელი სახლი. ამ მიზნით გადადებულია — 241 ათასი მანეთი.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო რკინის გზის დამზღვევ სალაროს გაერთიანების საკითხს საქალაქო დამზღვევ სალაროსთან და განაცხადა, რომ გაერთიანება მიზანშეუწონელია, რომელიც ზარალის მეტს არავითარ დადებით ნაყოფს არ გამოიღებს.

სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო ხნის განმავლობაში დამზღვევ სალაროს შემოსავალი ქონია — 11.398.549 მ. 24 კაპ. ხოლო გასავალი — 12.823.100 მ. 22 კაპ. გადახარჯვა უდრის — 1.424.550 მ. 90 კ. მაგრამ ეს თანხა, გარდა 3.314 მ. 20 კაპ. დაფარულია სხვადასხვა შემოსავლებიდან.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ გაიხსნა კამათი.

მეცხრე დღე

ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ჯანმრთელობის განყოფილების და დამზღვევ სალაროს მუშაობის შესახებ. კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. შავერდოვმა და დიკმა, რის შემდეგ ყრილობამ დამაკმაყოფილებლად სცნო ორივე ორგანიზაციის მუშაობა და პრაქტიკული წინადადებების გამომუშავება მიანდო სათანადო სექციას.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

საღამოს სხდომაზე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მამია ორახელაშვილმა, რომლის გამოჩენას ტრიბუნაზე დელეგატები დიდი ოვაციებით შეხვდა.

რკინისგზელთა ყრილობამ,—ამბობს ამხ. ორახელაშვილი,—რა საკითხებიც არ უნდა განიხილოს, ის გვერდს ვერ აუვლის საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებას. ამიტომ ჩვენი ყრილობები ყოველთვის იწყება ან თავდება საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენების გაკეთებით. ამ საკითხზე ჩვენ უნდა გვქონდეს ნათელი წარმოდგენა.

ცვლილებები საერთაშორისო მდგომარეობაში

ამ ცოტა ხნის წინად ჩვენ მოწამენი ვიყავით კომინტერნის მე-6 მსოფ. კონგრესის მუშაობის. ეს იყო სარკე საერთაშორისო საკითხებს გაშუქების საქმეში. საერთაშორისო მდგომარეობაში ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში მოხდა საგრძნობი ცვლილებები: კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია უდავო ფაქტია; კაპიტალიზმმა შესძლო ომის წინდროინდელი მდგომარეობის აღდგენა, რაციონალიზაციის განხორციელება. მაგრამ ეს მოხდა მუშების გაყვლეფის გზით, რაც იწვევს მუშათა კლასის გამემარცხენებას, რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებას.

კაპიტალიზმის უკურნებელი სენი

კაპიტალიზმის სტაბილიზაციას თან დაჰყვა ერთი უკურნებელი სენი—ეს არის მსოფლიო ომის შემდეგ გამსაღებელი ბაზრების შემცირება. ბურჟუაზიას არ ძალუძს თავის ნაწარმოებთა გასაღება და ეს აძლიერებს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მეტოქეობას, ქმნის ახალი ომის საფრთხეს. ბურჟუაზია ცდილობს პაციფისტურ სამოსელში გახვევას, რითაც სურს მშრომელი მასების მოტყუება. ამ მიზნით იმპერიალისტებმა დიდი ზეიმით მოაწერეს ხელი ეგრედ წოდებულ კელოგის პაქტს. მაგრამ ყველა ჩვენთაგანისათვის ცხადია, თუ რა ფასი აქვს ასეთ ხელშეკრულებებს. ჩვენ მოწმენი ვიყავით მრავალი ასეთი ხელშეკრულებებისა წარსულშიაც, მაგრამ ისინი ბურჟუაზიამ ნაფლეთ ქაღალდათ აქცია. ამიტომ კელოგის პაქტმა მუშათა კლასი შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს.

ბრძოლა ორ ფრონტზე

ბაზრების სიცოტავით შევიწროვებული კაპიტალიზმი შეტევას აწარმოებს ორ ფრონტზე: ერთის მხრივ ის თავს ესხმის კოლონიებში გაჩაღებულ ეროვნ.-განთავისუფლ. მოძრაობას, მეორეს მხრით კი იბრძვის შინაური კლასიური მოწინააღმდეგის,—მუშათა კლასის —რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ. ბურჟუაზიას დღეს ყველგან ელანდება რევოლიუციონური საფრთხე. არ არის ისეთი ქვეყანა, რომელშიაც არ სწარმოებდეს გააფთრებული თავდასხმა პროლეტარიატზე და მის ავანგარდ—კომუნისტურ პარტიაზე. მაგრამ რამდენადაც ძლიერდება ფაშისტური ბურჟუაზიის შემოტევა, იმდენად ვითარდება მუშათა მოძრაობა. მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

სოციალ-დემოკრატების როლი

ამ გამემარცხენებას ხელს უწყობს აგრეთვე მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის აშკარა გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე. სოციალ-დემოკრატია კარგა ხანია აღარ არის მუშათა კლასის პარტია, ის გადაიქცა ბურჟუაზიის მესამე პარტიად—კაპიტალიზმის განმტკიცების ხელის შემწყობ პარტიად. კიდევ მეტი, ბალკანეთის ქვეყნების სოც.-დემ. პარტიები არაფრით არ განსხვავდებიან ფაშისტებისაგან. სხვა ქვეყნების სოც.-დემოკრატია კი შედის კოალიციონურ მთავრობაში ბურჟუაზიასთან ერთად და ამაგრებს კაპიტალიზმს. ეს არის არა აგიტაცია, არამედ ნამდვილი ფაქტი.

სოციალ-დემოკრატია ეურდნობა მუშათა არისტოკრატიას, რომლის საშუალებით სურს თავის გავლენა გაავრცელოს მუშათა მასებზე.

სოციალ-დემოკრატიის აშკარა გაშიშვლება, მისი გადასვლა ბურჟუაზიის ბანაკში ნოყიერ ნიადაგს ქმნის კომპარტიების მიერ მუშათა მასების დასაპყრობათ,—ნიღაბახდილი მტერის დამარცხება უფრო ადვილია.

საბჭოთა კავშირი და იმპერიალისტები

იმპერიალისტები ცდილობენ ომის გამოწვევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გვიქმნიან ეკონომიურ და ფინანსიურ დაბრკოლებებს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ. ისინი იძულებული ხდებიან ჩვენთან სხვა ენით დაუწყოთ ლაპარაკი. მაგ., გერმანიის ბურჟუაზია, რომელმაც ჩაშალა საბჭოთა კავშირთან ეკონომიური მოლაპარაკება, იძულებული ხდება კვლავ განაახლოს ეს მოლაპარაკება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ერთის წუთითაც არ უნდა შევანელოთ თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებისათვის მუშაობა. ჩვენთვის საჭიროა ხანგრძლივი მშვიდობიანობა, რომ ცხოვრებაში გავატაროთ მე-15 პარტყრილობის დადგენილება დაქსაქსულ სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნის საქმეში. საბჭოთა კავშირში 25 მილიონი წვრილი საგლეხო მეურნეობაა. ამ მეურნეობათა გამსხვილება, მათი სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა იქნება არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის გამარჯვება.

რკინის გზის პროლეტარიატის მოვალეობა

რკინის გზის პროლეტარიატს ამ ამოცანის განხორციელების საქმეში ევალება უდიდესი ამოცანა. მან უნდა იმუშაოს არა მარტო ტრანსპორტის გაჯანსაღებისათვის, არამედ მივიდეს ჩამორჩენილ გლეხობასთან და აუხსნას მას სოციალისტური მეურნეობის უპირატესობა, საშეფო ორგანიზაციებს, შვებულებაში მავალ რკინისგზელთ ამ მხრივ დიდი მუშაობის ჩატარება მართებთ.

ამიერ-კავკასია, რომელიც საბჭოთა კავშირის განაპირა კუთხედ ითვლება, მაგრამ ამავე დროს დამაკავშირებელი ხიდია ევროპასა და აზიას შორის, რკინისგზელი პროლეტარიატის დახმარებით, მისი აქტიური მონაწილეობით სოციალისტურ მშენებლობაში შესძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა.

—:—

რეზოლიუციის მიღება

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები საგზაო კომიტეტის, ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობის, სატრანსპორტო კოოპერაციის („ზაკტპო") რკინის გზების ჯანმრთელობის განყოფილების და რკინის გზების დამზღვევ სალაროს საქმიანობათა მოხსენებების შესახებ.

საგზაო კომიტეტის შემადგენლობა

საგზაო კომიტეტში აირჩიეს ამხ. აკიმოვი, ალიევი, არუთინოვი, ა. ასლანოვი, ბაირამოვი, ბაჯელიძე, ბუაძე, გალუმოვი, გახანოკი, გვაზავა, გოგილაშვილი, გრიბენკოვი, გრიგორიანი, დვარცოვოი, ჯავრიშვილი, დიკი, ზაგორუსკი, კაპანაძე, კალაძე, კანდელაკი, ქიტიაშვილი, კოხტონი, კულიშოვი, ა. კულიევი, ლაკომბი, ლეკვეიშვილი, ლიჩნოვი, მახმუდოვი, მაჩიტაძე, მელაძე, მოსინოვი, პაჭიაშვილი, ფანცულაია, პეტროსიანი, პოზდეევი, რაზმაძე, საბაშვილი, სადიხ ბაირამოვი, სართანია, სულავა, თავზავაძე, უსტიაშვილი, ფედოროვი, ხანჯანოვი, ხოჯიაშვილი, შაფათავა და ჩაჩუა.

კანდიდატები

აბაკულიევი, აბდულ აგემკი, ბერეჟნოი, ლოლაძე, გორბუნოვი, ბეჟვა, მამედოვი, კოსტენოვი, მაისურაძე, როსტიაშვილი, თუმასიანი, უნგიაძე, ჩხაიძე და შავერდოვი.

—:—

საგზაო კომიტეტის არჩევის შემდეგ ყრილობის მუშაობა დამთავრდა.

როგორ ემალებიან გადასახადს შეძლებული გლეხები

ამ დღეებში საქ. სახ. კომისართა საბჭომ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში შეემოწმებია, თუ რამდენათ სწორედ იყო აღრიცხული სასოფლო სამეურნეო საგადასახადო ობიექტები და მემინდვრეობის შემოსავლის გამოანგარიშების წესი.

კომისიის დანიშვნა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ზემოაღნიშნულმა მაზრებმა აღძრეს შუამდგომლობა 1928-29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის შესახებ არა ნათესების, არამედ სახნავი მიწების სივრცის მიხედვით, რადგან საგადასახადო ობიექტების აღრიცხვამ მეტად მცირე რაოდენობის ნათესების სივრცე გამოააშკარავა. ამ მაზრებში სახნავი მიწებისა და ნათესების შესახებ არსებული მასალების გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ ფინსახკომის და სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს ცნობები სახნავებისა და ნათესების შესახებ საგრძნობლად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. სახკომსაბჭოში წარმოდგენილი ცნობები ასეთ სურათს იძლევიან (დესეტინობით):

	სახნავ მიწები		ნათესები	
	ფინგ. ცნობებით	სტატ. სამ. ცნობით	ფინსახკ. ცნობებით	სტატ. სამ. ცნობით
სენაკის მაზრა	55.068	51.600	32.664	48.038
ზუგდიდის „	72.726	62.000	26.345	33.481
ოზურგეთის „	44.341	42.100	15.692	31.755

ამნაირად, ზემოთმოყვანილი ცნობები სრულიად არ უდგებიან ერთმანეთს და ზოგიერთ შემთხვევაში 100% განსხვავებას გვიჩვენებენ. მაგ., ნათესების სივრცე ოზურგეთის მაზრაში სტატ. სამმართველოს ცნობებით 100 %-ზე მეტით აღემატება ფინსახკომის ცნობებს.

კომისიას მოუხდა რამდენიმე თემის ჩამოვლა და საკითხის უშუალოდ შესწავლა. სამაზრო აღმასკომებში წინასწარი თათბირის ჩატარების შემდეგ გამოსაკვლევად ამორჩეული იქნა ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით შემდეგი რაიონები: სენაკის მაზრაში: სოფლები ლეძაძამე (ამავე სახელწოდების თემი) და მაუწყინარი (მარან-ქოლოუბნის თემი); ზუგდიდის მაზრაში: სოფ. კახათი (ამავე სახელწოდების თემი). ოზურგეთის მაზრაში: სოფლები ქენაური (ნაგომარის თემი) და დვაბზუ (დვაბზუს თემი).

ვინაიდან გამოკვლევისათვის კომისიას მიცემული ჰქონდა მეტად განსაზღვრული დრო, მას მოუხდა აღნიშნულ რაიონებში მხოლოდ მცირე რაოდენობის მეურნეობათა გამოკვლევა, მით უმეტეს, რომ ცალკე მეურნეობათა მიწები შესდგებოდენ რამდენიმე (3-4) ნაჭრისაგან, რომლებიც ერთი მეორესაგან დიდი მანძილით არიან დაშორებული (4—5 კილომეტრით) და მათ ჩამოვლას საკმაო დიდი დრო დასჭირდა. თემ-აღმასკომებთან შეთანხმებით კომისიის მიერ ამორჩეულ იქნა თვითეულ რაიონში სოფლის სოციალური ჯგუფების დამახასიათებელი მეურნეობანი, სახელდობრ: ღარიბი, საშუალო და შეძლებული მეურნეობა. ამ შემთხვევაში კომისიის მიზანს შეადგენდა იმის გამორკვევა, თუ რომელი ჯგუფი უფრო მეტად ემალება გადასახადს. სულ გამოკვლეულ იქნა სამივე მაზრაში 16 მეურნეობა, აქედან 5 შეძლებული, 7 საშუალო და 4 ღარიბი მეურნეობა.

რომ ობიექტების გადამალვას ადგილი ჰქონდა მაზრებში, ამას არავინ არ უარყოფდა. ნათესების ადგილობრივ გაზომვამ გამოარკვია, რომ ღარიბები არა თუ არ მალავენ ნათესების რაოდენობას, ზოგიერთ შემთხვევაში მათ მეტიც უჩვენებიათ აღრიცხვის დროს, ვიდრე აღმოაჩნდათ გაზომვის დროს. შეძლებულებში კი აღმოჩნდა ნათესების დიდი რაოდენობით გადამალვის შემთხვევები.

თვით ადგილობრივი ხელისუფლება ამოწმებდა, რომ აღრიცხვა ბევრ ადგილას მოიკოჭლებდა, რის გამო ვერ მიიღეს სწორი სურათი დასაბეგრ ობიექტების შესახებ.

ამ შემთხვევაში საინტერესოა აღინიშნოს სენაკის სამფინგანის მიერ მარტვილის თემში ჩატარებული ხელმეორე აღრიცხვის შედეგები. ასე, მაგ. იყო აღრიცხული:

	სახნავი ნათესი	ვენახი	ბაღი	[illegible]	მსხვ. რქის საქონელი	ცხენი ჯორი	წვრილფეხა საქონ.
1-ლი აღრიცხვის დროს	1.856,4	1.123,6	67.27	958.90	958	197	433
2-რე აღრიცხვის დროს	2.014,5	1.238,9	70.22	1.014,90	1.079	217	571
	158.1 დეს.	115,3 დ.	2.95 დ.	56 —	121	20	138

ამნაირად, მეორე აღრიცხვამ მოგვცა გაცილებით მეტი ობიექტები, ვიდრე 1-ლმა აღრიცხვამ. ასეთივე გადამალვის შემთხვევები აღმოჩენილ იქნა ზუგდიდის მაზრის 19 თემში, სადაც სამფინგანმა ჩაატარა ხელმეორე აღრიცხვა მიწარობის გარეშე შემოსავლიანობისა და სხვა ობიექტებისა, რადგან 1-ლი აღრიცხვის დროს ადგილი ჰქონდა დაკლებას 7 %-ით წარსულ წელთან შედარებით.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს შემდეგი ფაქტი. მიუხედავათ იმისა, რომ 1927—28 წლის სუსხიანი ზამთრის გამო ზუგდიდის მაზრაში დაახლოვებით დაიღუპა მთელი საქონლის 30%, აღრიცხვის შემდეგ მიღებული ცნობები და აგრეთვე გლეხების განცხადებანი დაღუპული საქონლის რაოდენობის ანაზღაურების შესახებ, იძლევა საქონლის დაკლებას მხოლოდ 5% რაოდენობით, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე გასული წლების აღრიცხვის დროს საქონლის საგრძნობლად გადამალვის შემთხვევასთან, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადგილებს მიეღოთ ასეთივე ზომები დანარჩენ რაიონებშიაც, ადვილად შესაძლებელია, რომ აღმოჩენილი იქნებოდა უფრო მეტი გადამალვის შემთხვევები, რაც შეეხება თვით გლეხების დამოწმებას გადამალვის შესახებ, შეიძლება მითითებულ იქნეს ზუგდიდის მაზრის ზოგიერთ გლეხის ჩვენებაზე, რომლის მიხედვით გადამალვა უნდა შეადგენდეს ერთ ქცევას საშუალოდ თითო მეურნეობაზე. შესაძლებელია ეს საშუალო ციფრი გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თუ ჩავთვლით თითო მეურნეობაზე საშუალოდ 1/2 ქცევას მაინც, მთელი ზუგდიდის მაზრისათვის გადამალვა შეადგენს 14.000-მდე ქცევას. საერთოდ კი ნათესების გადამალვის გამომჟღავნებას არ ქონია მასიური ხასიათი.

შეძლებული გლეხები კომისიასაც უმალავდნენ ნათესების რაოდენობას. გაზომვა მიწის მზომელის საშუალებით კი სხვა სურათს ააშკარავებდა.

კომისიის მიერ გამოკვლეულ 16 მეურნეობაში ასეთი სურათი აღმოჩნდა:

	სენაკის მაზრა ნათესი	ზუგდ. მაზრა ნათესი	ოზურ. მაზრა ნათესი
აჩვენეს კომისიას დაკითხვის დროს	12,70	7,10	2,10
ფაქტიურად აღმოჩნდა გაზომვის შემდეგ	15,43	10,40	3,87
აღმოჩნდა მეტი გაზომვის შემდეგ	2,73	3,30	1,77

სულ ამ სამ მაზრაში გამოკვლეული 16 მეურნეობა იძლევა ასეთ სურათს:

	კომისიის დაკითხვ.	ფაქტიური გაზომვ.	აღმოჩნდა მეტი	
			აბს.	%-ით
ნათესი (დეს.	21,90	29,70	7,50	35,6

ამნაირად, გამოკვლეულ მეურნეობებში გადამალულ იქნა ნათესი 5,50 დეს., ე. ი. რაც შეადგენს ნათესების 35,6 %-ს. საშუალოთ თითო გამოკვლეულ მეურნეობაზე მოდის გადამალული ნათესი 0,49 დესეტინა.

ობიექტების შედარება საგადასახადო სიით და ფაქტიური გაზომვის მიხედვით იძლევა ასეთ სურათს (დეს.).

მაზრა / ობიექტი	სენაკის	ზუგდიდის	ოზურგეთის	ს უ ლ
	ნათესი	ნათესი	ნათესი	ნათესი
აღრიცხულია საგადასახადო სიით 1928—29 წ.	13,2	8,82	1,11	23,13
ფაქტიურად აღმოჩნდა გაზომვის შემდეგ.	15,43	10,40	3,87	29,70
აღმოჩნდა მეტი აბს.	2,23 დ.	1,58 დ.	2,76 დ.	6,57 დ.
გაზომვ. შემდეგ %	16,9 %	17,9 %	248.6 %	28,4 %

ამნაირად, ფაქტიურად გაზომვის შემდეგ აღმოჩნდა ამ 16 მეურნეობაში მეტი ნათესი: ზუგდიდის მაზრ.—1,58 დეს., სენაკის მაზ.—2,23 დ. და ოზურგეთის—2,76 დეს. სულ კი სამივე მაზრაში აღმოჩნდა მეტი ნათესი 6,57 დეს. ანუ 28,4 %. თითო გამოკვლეულ მეურნეობაზე საშუალოდ ნათესის გადამალვა უდრის 0,41 დეს.

გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტი, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში შემდეგი კამპანიის დროს:

1. აღრიცხვის დაწყების დრო არ იყო შეფარდებული თესვის კამპანიის დამთავრებასთან, რამაც ფინორგანოებს საშუალება არ მისცა უფრო სრული სურათი მიეღოთ ნათესების მთელი სივრცის შესახებ. თესვის კამპანია ზოგიერთ რაიონში სხვადასხვა მიზეზების გამო (უმთავრესათ კლიმატიური პირობებისა და სამუშაო ძალისა და სათესლე მასალის უქონლობის გამო) დამთავრდა ივლისის პირველ რიცხვებში, ხოლო აღრიცხვა დაიწყო ივნისის პირველ რიცხვებში, როცა თესვა არ იყო ყველგან მოთავებული, ამიტომ ადვილად შესაძლებელი იყო აღრიცხვის გარეშე დარჩენილიყო საგრძნობი რაოდენობა იმ ნათესებისა, რომლებიც არ იყო მოთავებული აღრიცხვის ჩატარების დროს.

დასავლეთ საქართველოში საღრიცხვო კამპანია უნდა დაწყებულ იქნეს თესვის კამპანიის დამთავრებასთან შეფარდებით.

2. აღრიცხვის ჩატარების დროს (ივნისში) ოჯახის უფროსების უმეტესი ნაწილი რამოდენიმე დღით (7—10 დღემდე) გასული იყო სამუშაოდ თავის მიწებზე, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში დაშორებულია საცხოვრებელ ადგილიდან დიდი მანძილით (20—25 კილომეტრამდე) და მათ არ ქონდათ საღრიცხვო კომისიაში გამოცხადების საშუალება. ამიტომ მათ მაგიერ კომისიას ცნობებს აწვდიდენ მათი ოჯახის წევრები (ქალები), რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში საერთოდ არა აქვთ ხოლმე სწორი წარმოდგენა თავის მეურნეობის სახნავი მიწებისა და ნათესების მდგომარეობაზე და, ამას გარდა, ერიდებიან სწორი ცნობების მიცემას ოჯახის უფროსის გარეშე, რის გამო ხშირად აქვს ადგილი სახნავებისა და ნათესების გადამალვას.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის გამოძახებით არ ცხადდება ამა თუ იმ მეურნეობის წარმომადგენელი, საგადასახადო სიაში ცნობები შეაქვს თვით საღრიცხვო კომისიას თავის ცნობების მიხედვით, რაც აგრეთვე არ იძლევა სწორ სურათს დასაბეგრ მეურნეობაზე.

3. დიდი მნიშვნელობა აქვს კომისიის წევრების, განსაკუთრებით ღარიბი გლეხობის წარმომადგენლების ჩვენებას მეზობლის მეურნეობაზე. ობიექტიური მიდგომის დროს შესაძლებელია დაახლოვებით მაინც სწორი ცნობების მიღება დასაბეგრი ობიექტების შესახებ. მაგრამ ამ მხრივ უმეტეს შემთხვევაში შემჩნეულია, რომ საღრიცხვო კომისიის წევრები ვერ იჩენენ სათანადო ობიექტივობას მეზობლის საგადასახადო ობიექტების სრული და უნაკლო აღრიცხვისათვის ხელის შეწყობის საქმეში. კომისიის წევრი ფორმალურად უდგება საგადასახადო სიის შედგენის საქმეს და ხშირად არ ამჟღავნებს თავის მეზობლის მიერ მიცემულ არა სწორ ცნობებს, რაც ხელს უწყობს ობიექტების გადამალვას.

4. კომისიის წევრების ასეთ მიდგომას და პასიურ დამოკიდებულებას საღრიცხვო კომისიის მუშაობისადმი ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ, მიუხედავათ ფინანსთა სახალხო კომისარიატის გარკვეული წინადადებისა, ზოგიერთ შემთხვევაში აღრიცხვის დაწყებამდე არ ყოფილა ჩატარებული უღარიბესი და საშუალო გლეხობის წარმომადგენელთა წინასწარი თათბირები (სენაკში სულ არ ჩატარებულა, ხოლო ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში ჩატარდა ნაწილობრივად), რომელთაც დანიშნულებას შეადგენდა სას. სამეურნეო გადასახადის უაღრესი მნიშვნელობის ახსნა-განმარტება და დასაბეგრ ობიექტების სწორი აღრიცხვის საჭიროების შესახებ მითითების მიცემა ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხებისათვის, რომ მათ თავის მხრივ გამოეჩინათ საჭირო ენერგია ობიექტების გადამალვის წინააღმდეგ, რასაც უმთავრესად ადგილი აქვს შეძლებულ და მსხვილ მეურნეობათა შორის.

5. მიუხედავათ იმისა, რომ სასოფლო საღრიცხვო კომისიას და განსაკუთრებით მის თავმჯდომარეს—თემაღმასკომის თავმჯდომარეს — დაკისრებული ქონდა მთელი პასუხის-მგებლობა საღრიცხვო კამპანიის სისწორით ჩატარებისათვის, კომისიის ზოგიერთ წევრებს არ მიუღიათ კომისიის მუშაობაში შესაფერი აქტიური მონაწილეობა, კერძოთ, თემაღმასკომის თავმჯდომარეებს, რაც, სხვათა შორის, აიხსნება იმით, რომ ისინი დატვირთული არიან სხვა სამუშაოებით და ვერ ეკიდებიან ამ საქმეს სათანადო ყურადღებით, რის გამო ყოფილა შემთხვევები თავმჯდომარის მოვალეობის კომისიის სხვა წევრზე გადაცემისა.

6. აღრიცხვის დროს არ ქონდა მიქცეული შესაფერი ყურადღება ნათესების შესახებ მაზრაში არსებულ სხვადასხვა საკონტროლო მასალას და ციფრებს (სტატ. განყოფილების, მიწადმოქმედების განყ.), თუმცა ამ მხრივ იყო სპეციალური მითითება ფინსახკომის ცირკულიარში 30 აპრილის თარიღით № 30/5583-ში.

7. ადგილებზე აგრეთვე არ იყო განხორციელებული საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის წერილში ნაჩვენები ღონისძიებანი, წერილის, რომელიც დაეგზავნა მათ ფინსახკომის მიერ, კერძოთ, არ არის გამოყენებული წერილში მოყვანილი მითითება მიწის მზომელებისა და სხვა ტექნიკური პერსონალის გამოყოფის შესახებ აღრიცხვის მასალების ფაქტიური შემოწმებისათვის და მიწის გაზომვისათვის. ამ უკანასკნელი წინადადების ნაწილობრივად მაინც განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა გადამალვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რამდენათაც კონტროლის მიზნით მიწის სანიმუშო გაზომვა ცალკე მეურნეობებში შესაფერ ფსიქოლოგიურ გავლენას იქონიებდა გლეხობაზე.

8. საგადასახადო მოსამზადებელი კამპანიისა და თვით აღრიცხვისათვის დაწესებული ვადა მეტად მცირეა, ვინაიდან ფინორგანოებს უხდებათ აღრიცხვის წარმოება ჩქარი ტემპით და არა აქვთ საშუალება სათანადო დაკვირვებით ჩატარონ: წინასწარი სიების შედგენა, ობიექტების გამოკვლევისათვის წინასწარი მასალების შეგროვება, სხვა უწყების საკონტროლო მასალების შეკრება, ფინმუშაკების საკმაო მომზადება და სხვა. ეს გარემოება ხაზგასმით იყო აღნიშნული თითქმის ყველა სამფინგანების მიერ, რომლებიც საჭიროდ სთვლიან დანიშნული ვადების გაგრძელებას და მოსამზადებელი მუშაობის უფრო ადრე დაწყებას.

9. კომისიამ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ცალკე მეურნეობანი, მაგ., ოზურგეთის მაზრაში, ჩვენების მიცემის დროს სრულებით არავითარ ცნობას არ იძლევიან იჯარით აღებულ და საფონდო მიწების დამუშავების შესახებ, რაც შეიძლება ახსნილ იქნეს იმით, რომ დაკითხული მეურნეობანი არა სთვლიან მათ თავის მიწებათ. ამ საკითხს არ ჰქონია მიქცეული შესაფერი ყურადღება და შეიძლება ითქვას, რომ ნათესებისათვის გამოყენებული დიდძალი მიწები (სახაზინო და საფონდო) დარჩა აღრიცხვის გარეშე.

10. ზოგიერთ რაიონებში საღრიცხვო კომისიებს მიცემული ჰქონდათ მეტად ფართე რაიონი. დიდი სოფელი არ ყოფილა დაყოფილი უბნებათ, რის გამო უბნის წარმომადგენელი ვერ ახერხებდა უბნის სწორ აღრიცხვას, რამდენათაც მას არ ქონდა საჭირო ცნობები მთელი უბნის შესახებ. ამიტომ აუცილებლად საჭიროა სოფლების ისეთ საღრიცხვო უბნებათ დაყოფა, რომ საღრიცხვო კომისიაში შეყვანილ სოფლის წარმომადგენლებს ჰქონდეთ სრული და სწორი წარმოდგენა გამოსაკვლევ ობიექტების შესახებ.

11. კომისიის მიერ შემჩნეულია, რომ სახნავების აღრიცხვის დროს საღრიცხვო ორგანოებს არ ჰქონდათ ერთნაირად გაგებული, თუ რა და რა მიწები შედის აღსარიცხავ სახნავ მიწებში. ამიტომ იყო შემთხვევები, რომ ზოგიერთ რაიონში სახნავ მიწებში ჩარიცხული ყოფილა ბუჩქნარი და აგრეთვე ისეთი მიწები, რომლებიც რამოდენიმე წლის განმავლობაში არ დამუშავებულან და შეიძლება გამოყენებულ იქნან მხოლოდ მთელი რიგი მელიორატიულ სამუშაოთა ჩატარების შემდეგ. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება მომავალი აღრიცხვების ჩატარების დროს.

12. რომ თავის დროზე მიღებული ყოფილიყო გადამჭრელი ზომები გადამალვის გამოსააშკარავებლად ხელმეორე აღრიცხვის ჩატარების საშუალებით, ჩვენ უდავოთ მივიღებდით უფრო სწორ სურათს ნათესების სივრცის შესახებ და ამით კი აცილებული იქნებოდა უკიდურესი ზომა გადასახადის გაწერისა სახნავების მიხედვით.

აღნიშნულ 3 მაზრაში, როგორც გამონაკლისი, სას.-სამ. გადასახადი გაწერილ იქნა არა ნათესებზე, არამედ სახნავ მიწებზე, ვინაიდან ნათესების ფართობი მიღებული იყო მეტათ მცირე—მისი გადამალვის გამო.

რომ ასეთ მოვლენებს მომავალში არ ექნეს ადგილი, საჭიროა საღრიცხვო კამპანიას მომავალში მოვკიდოთ ხელი უფრო სერიოზულად.

ა. რუხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობა

(წერილი ოზურგეთიდან)

ოზურგეთის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა დაარსდა 1924 წელს. ამ წლის განმავლობაში ამხანაგობას ყავდა 340 წევრი და ვერც მუშაობა იდგა სათანადო დონეზე, ამის დამამტკიცებელია შემდეგი ციფრები. საერთო ბრუნვა უდრიდა 140.000 მან. 90 კაპ. და გაცემული იყო სულ 23.535 მან. 8 კაპ. სესხი.

ამჟამად მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. ამხანაგობას ყავს 1882 წევრი. საერთო ბრუნვა უდრის 1.305.781 მან. 58 კაპ. მიმდინარე წლის განმავლობაში გაცემულ იქნა 42.298 მან. მოკლე ვადიანი სესხი. გრძელვადიანი სესხის სახით 1928 წლის განმავლობაში გაცემულ იქნა 89.840 მან. 36 კაპ. რაოდენობით.

ამხანაგობას აქვს 12 სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, რომლებშიაც გაერთიანებულია 840-მდე ულარიბესი და საშუალო გლეხობა. ისინი მისდევენ ჩაის კულტურის დამუშავებას, მეფუტკრეობას და სხვა. წელს მათ მიეცა სპეციალური სესხი 3.500 მან. და გრძელვადიანი დამატებითი სესხი 7.500 მან.

ამხანაგობას აქვს საკუთარი ციტრუსოვან მცენარეთა სანერგე, სადაც წელს დამყნილია ლუფის პლანტაცია, რომელსაც აქვს საჩვენებელი ხასიათი, მოწყობილია საგრილებელი პუნქტი.

ამხანაგობა აწარმოებს დამზადების ოპერაციებსაც. ამ მიზნით მოწყობილია არაყის დამამზადებელი ორი პუნქტი: სოფ. ლიხაურში და გაკრიულ ხიდზე, სადაც დღემდის დაგროვებულ იქნა 250.000 გრადუსი არაყი.

ამხანაგობა აწარმოებს აგრეთვე თხილის დამზადებას, რისთვისაც ხელშეკრულება აქვს დადებული „სოფლის კავშირთან". ჯერ ჯერობით თხილის დამზადებისათვის გაცემულია 6.000 მან. ავანსი. ამასთანავე ამზადებს შავ ვაშლსაც, რომელსაც დიდი მოთხოვნილება აქვს ბაზარზე.

მიმდინარე წლის განმავლობაში წევრთათვის პროდუქტების მიწოდების მიზნით შემოტანილი იქნა 12 ვაგონი თივა და 6 ვაგონი სიმინდი.

ამხანაგობამ შეიძინა 15-მდე გუთანი და სამარგელი მანქანა, რომელიც უკვე წარმოებაშია.

სამწუხაროდ გატანილი სესხი სავსებით ვერ ნაღდება თავის დროზე. ამრიგად დრო გასული დავალიანება წევრებზე უდრის 7.000 მან. ამის მიზეზია გასული წლის მოუსავლიანობა.

ძალიან მცირეა ანაბრების რაოდენობა. ამ მხრივ მომავალში მეტი მუშაობა საჭირო.

ამხანაგობის მუშაობას აფერხებს საკმაო კრედიტის უქონლობა. აუცილებლად საჭიროა კრედიტის გადიდება.

1927—28 წლის განმავლობაში ამხანაგობის მოგება უდრის 2.460 მანეთს.

ამხანაგობის საერთო მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

ტ. აცანელი.

—:—

26 კომუნართა სახელობის სამკითხველო

(წერილი თელავიდან)

26 კომუნარის ვერაგულად დახვრეტის 10 წლის თავზე თელავში მოხდა ბაქოს 26 კომუნართა სახელობის სამკითხველოს შენობის გახსნა.

შენობა აგებულია ქალაქის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე და შესდგება ოთხი ოთახისაგან. შენობის აგება დაჯდება 8.505 მანეთი.

ამ შენობის დამთავრებით თელავის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ამიერიდან ექნება საკუთარი და შესაფერი კერა, რომელსაც აქამდე მოკლებული იყო.

შენობის გახსნა მოხდა საზეიმო მიტინგზე 20 სექტემბერს, სწორედ ათი წლის თავზე ბაქოს 26 კომუნარების ვერაგულად დახვრეტის დღიდან.

ვან.—ლი.

—:—

ჩვენი კლუბის საზეიმო გახსნა

ს. დილიკაური, შორაპნის მაზრა

23 სექტემბერს, დილიკაურის კლუბის საზეიმო გახსნის გამო, ხსენებულ სოფელში უზომო ხალხმა მოიყარა თავი.

კლუბის აგება ითავა რკინის გზელთა ზესტაფონის ადგილკომმა. რომელსაც შეფობაზე ყავს აყვანილი სოფ. დილიკაური. მათივე ინიციატივით ხშირად იმართება წარმოდგენასაღამოები, შეფი დილიკაურის სკოლის ღარიბ ბავშვებს აწვდის სახელმძღვანელოებს, სკოლას ეხმარება სხვადასხვა ნივთებით, როგორც არის პარტები, დაფები, სურათები და მრავალი სხვა.

ყოველივე ეს ეცნობა საზეიმო სხდომას,— რითაც დამსწრენი დიდი კმაყოფილნი დარჩნენ. კლუბი გაიხსნა ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობაზე. ამავე სახელობაზე შეფის მიერ მოინათლა სამოქალაქო წესით ულარიბეს გლეხის იასონ ფერაძის შვილი, რომელიც გახადეს კავშირის წევრი და თვიური ჯამაგირი დაუნიშნეს.

ა. სალაძე.

—:—

ბაზრობის საკითხი უნდა მოგვარდეს

(წერილი ზუგდიდიდან)

ზუგდიდის მაზრაში თითქმის ყველა მოზრდილ თემში იმართება ბაზრობა ორ კვირაში ერთხელ, მაგრამ ყველა მათგანს როდი მოაქვს სარგებლობა. მაგალითისათვის დავასახელებ ლიის ბაზრობას. აქ ბაზრობაზე საქონლის გაცვლა-გამოცვლის ნაცვლად ხდება კარტის თამაში და ღვინის სმა. ასეთი ბაზრობა ჩვენთვის საჭირო არ არის. ბაზრობის რიცხვი უნდა შემცირდეს.

ამ გარემოებას სამაზრაკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს და ბაზრობა მოაწყოს მაზრის მხოლოდ 8—10 თემში, იმ რაიონებში, სადაც მას აქვს ეკონომიური ბაზა და მართლა თავის მიზანს მიაღწევს.

ენგურისპირელი.

მასწავლებელთა კონფერენცია

ხრესილი, ქუთაისის მაზრა

23 სექტემბერს ხრესილში გაიხსნა რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია, რომელმაც თავისი მუშაობა დაამთავრა 25 სექტემბერს.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა პედაგოგიურ საკითხებთან ერთად მოხსენება ინდ. მე-2 სესხის მნიშვნელობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელთან შედარებით მასწავლებლობა უფრო დიდი ინტერესით ეკიდებოდა ყოველგვარ საკითხებს, რაც ცხადჰყო კონფერენციის მუშაობამ.

კონფერენციაზე გარჩეული იქნა სანიმუშო საწარმოო გეგმა, რომელიც მთლიანად კონფერენციამ მოიწონა.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე. მოხსენების შემდეგ კონფერენციამ ერთხმად დაადგინა გადასდოს თითო თვის ხელფასი ობლიგაციების შესაძენად, რაც უდრის 3.818 მანეთს.

„გომიშე".

ვაშენებთ აგურ-კრამიტის ქარხანას

ნოსირის თემი, სენაკის მაზრა

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ნოსირის თემში საფუძველი ჩაეყარა აგურ-კრამიტის ქარხანას. ხსენებულ ქარხნის ასაგებად მუშაობა დაწყებულ იქნა ა. წ. მაისში. ქარხანა თავისი სიდიდით და ტეხნიკური მოწყობილობით პირველია დასავლეთ საქართველოში. ქარხნის აგება ჯდება რამოდენიმე ასი ათასი მანეთად, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს, როგორც სენაკის, ისე სხვა მაზრა—ქალაქების მოთხოვნილება აგურ-კრამიტით.

ამჟამად ქარხნის მშენებლობა სანახევროდ დამთავრებულია. ქარხნის აგებაზე მუშაობს 150 მუშა. აშენდა ორი დროებითი ქურა, რომელმაც ქარხნის მშენებლობის სხვადასხვა საჭიროებისათვის დაამზადა ნახევარი მილიონი ცალი აგური. შენდება ახალი ქურა კრამიტის საწვავად, 43 მეტრიანი ღუმელი, რომლის ქვესადგი ნაწილი მოთავსებულია, გამოყვანილია რკინის გზის მთავარ ლიანდაგიდან ხაზი ერთი კილომეტრის მანძილზე. გაშენებულია სამი ფარდული, თვითეული 60 საჟენი სიგრძით. გამოყვანილია აბაშის ელექტრო სადგურიდან ქარხნამდე ელექტრო ხაზი. შენდება ქვე-სადგური და მასთან მანქანების მოსათავსებელი აგურის შენობები.

ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება მარაგი თიხით, რამოდენიმე ასი წლის განმავლობაში.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერა და ამ მიზნით გადასდვეს თითო თვის ხელფასი, რომელთა ჯამი უდრის 2.820 მანეთს.

ქარხანა მექანიზაცია ქმნილი იქნება და ამუშავდება მომავალ წელში.

ზ. ბეხელია.

—:—

გავაერთიანოთ სარძევე ფერმები

ს. ციხისჯვარი, გორის მაზრა

ციხისჯვარში არსებობს ორი სარძეო ფერმა. ერთი მათგანი ეკუთვნის მიწად-მოქმედების კომისარიატს, მეორე ჯანმრთელობის კომისარიატს.

პირველი ფერმის ძროხები როგორც ჯიშით, ისე საწველათ უვარგისია და საზარალო. ფერმაში საქონლის საერთო რიცხვი უდრის 250-ს. აქ მუშაობენ გამგე, მისი თანაშემწე, მოანგარიშე და სხვა. ფერმის ძროხები რძეს დაახლოებით 20—25 ფუთს იძლევიან დღეში. ცხადია, ამ შემოსავლით როგორც თვით ძროხების საკვებს, ისე სხვა ხარჯებს ვერ დაფარავს.

ეხლა შევეხოთ ჯან. სახ. კომის. ფერმას. ამ ფერმის მიზანია დააკმაყოფილოს და კარგი თვისების რძე მიაწოდოს სანატორიუმებს ბორჯომში, წაღვერში, ცემში და სხვა. აგრეთვე იყოლიოს კარგი ჯიშის საქონელი. რძის ხარისხზე არას ვიტყვი, ვინაიდან ხსენებულ სანატორიუმში მყოფ ავადმყოფებმა უკვე იციან რა ღირსების რძესაც იღებენ, ვიტყვით მხოლოდ საქონელზე ორიოდე სიტყვას. ამ ფერმას ჰყავს ნემეცური, ჰოლანდიის და ხევსურის ჯიშის ძროხები საუკეთესო თვისების რძით განთქმული. აგრეთვე აქ ნახავთ ულამაზეს შვეიცარულ ჯიშის ბუღას და ძროხას.

შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ფერმა ზარალს არ იძლევა, რასაკვირველია, თუ დროზე შეიძინეს საქონლის საკვები.

ყოველ შემთხვევაში ორი ფერმის არსებობა ისეთ ადგილას, როგორიც ციხისჯვარია მიზანშეუწონელია. ჩემის აზრით საჭიროა ორივე ფერმის გაერთიანება. მაშინ გვექნება ერთი საუკეთესო ფერმა. გაერთიანება აუცილებლად უნდა მოხდეს მოკლე დროში. ამით ხარჯებიც შემცირდება. ეს საქმე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა უნდა იკისროს, ვინაიდან უპირატესობა მას ეკუთვნის.

გ. ტ—ძე.

—:—

წერილებიდან

სოფ. როზენფელდი (თბ. მაზრა). ორი წელია, რაც სოფ. როზენფელდში დაარსდა სამანქანო ამხანაგობა, მაგრამ ამ ამხანაგობას ბედი ოთხი-ხუთი შეძლებული გლეხის ხელშია და როგორც სურთ, ისე სარგებლობენ ტრაქტორით. ღარიბი გლეხობა სულ ჩამოშორებულია ამ ამხანაგობიდან. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

ხაშმელი.

სოფ. გალღოჯიანი. (კახეთის მაზრა). ჩვენ სოფელში ცხოვრობს სარდიონ თაბაგარი, რომელიც ღებულობს თვეში 31 მანეთს პენსიას. მას აქვს საკუთარი მეურნეობა— 4 დღ. პირველი ხარისხის მიწა, ჰყავს შინაური ცხოველები და სხვა, რომლის შემოსავლითაც შეუძლია თავი შეინახოს. საჭიროა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა მიაქციოს ყურადღება უკანონო პენსიონერებს.

მომჭირნე.

მუშათა ცხოვრება

მუშკორთა წრეების შესახებ

მუშგლეხკორთა მეოთხე საკავშირო თათბირის მოწვევასთან დაკავშირებით, მუშკორთა მოძრაობაში წამოიჭრა მთელი რიგი ორგანიზაციული და პრაქტიკული ხასიათის საკითხები, რომლის საბოლოოდ გადაჭრა საგრძნობლად გააუმჯობესებს მუშგლეხკორთა მოძრაობის ხელმძღვანელობას და ხელს შეუწყობს მუშკორთა მოძრაობის გაფართოებას.

ერთი ამ საკითხთაგანი არის მუშკორთა წრეების არსებობის საკითხი. „საჭიროა თუ არა მუშკორთა წრე?" ამ საკითხმა აახმაურა მთელი მუშკორთა და გლეხკორთა საუკეთესო ძალები. ბევრი მათგანი მომხრეა მუშკორთა წრეების არსებობისა, ბევრს მიზანშეუწონლად მიაჩნია ასეთი წრეების არსებობა და მოითხოვს მის დაშლას და გაზეთის კითხველთა კრებების მოწვევის სისტემაზე გადასვლას. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ფორმა მუშკორთა შორის მუშაობისა, რუსეთში ნაწილობრივ უკვე ტარდება ცხოვრებაში. გაზეთის მკითხველთა კრებების მოწვევამ მუშკორებთან ერთად, დიდი ნაყოფი მოიტანა. მუშაობის ასეთმა სისტემამ ნათელჰყო მუშკორთა წრეების კარჩაკეტილობა და დღის წესრიგში წამოაყენა საკითხი მისი გაუქმების შესახებ.

როგორ წარმოიშვა მუშკორთა წრე და როგორი მუშაობა სწარმოებს იქ? თუ თვალს გადავავლებთ მუშკორთა მოძრაობის ისტორიას, ვნახავთ, რომ მუშკორთა მოძრაობამ მრავალი პერიოდები განვლო და ამ პერიოდებში ყოველთვის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმა ჰქონდა მას. იყო დრო, როდესაც მუშკორი ინიშნებოდა, შემდეგ, დანიშვნიდან არჩევნებზე გადავედით, ბოლოს კი ეს არჩევნებიც მოისპო და მუშკორი ეწოდა ყველა მუშას, რომელიც კი დასწერს რამეს გაზეთში. აქედან ნათლად სჩანს, რომ მუშკორთა ორგანიზაციული ფორმები თანდათან მასიური შეიქნა, რამაც ხელი შეუწყო მუშგლეხკორთა მოძრაობის ზრდა-განვითარებას.

ასეთივე საფეხურები განვლო მუშკორთა შორის მუშაობამაც; პირველად მუშკორთა შორის კულტურულ და აღმზრდელობითი მუშაობას, მუშკორთა საქალაქო და სარაიონო ბიუროები აწარმოებდენ. ეს მუშაობა იმდენად ვიწრო ფარგლებში სწარმოებდა, რომ ამით დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. მუშკორთა მოძრაობის განვითარებისათვის საჭირო იყო ამ მუშაობის გაცხოველება, რისთვისაც კედლის გაზეთებთან და ზოგიერთ ყოველდღიურ გაზეთებთანაც დაარსებული იქნა მუშკორთა წრეები.

დღეს მუშკორთა წრეებმაც უკვე განვლეს თავისი ხანა. დღევანდელ პირობებში იგი ვეღარ აკმაყოფილებს მუშკორთა მოძრაობას. საჭიროა მუშკორთა შორის ისეთი მუშაობის წარმოება, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს მუშკორთა მოძრაობას სწორ და მიზანშეწონილ ხელმძღვანელობით. ასეთი მუშაობის წარმოების ერთი მთავარი საშუალება კი ეს არის ვიწრო მუშკორთა წრეებიდან, უფრო ფართო და მასიურ მუშაობაზე გადასვლა. მუშკორთა წრეების სხდომები, გაზეთის მკითხველთა კრებებით და კონფერენციებით უნდა შეიცვალოს. ამ კრებებზე უნდა ირჩეოდეს როგორც მუშკორთა მოძრაობის საკითხები, ისე სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებიც, როგორიც არის მაგალითად: წარმოების მდგომარეობა, საწარმოო თათბირების მუშაობა, წარმოების რაციონალიზაცია და საერთოდ ყველა ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან წარმოებასთან და მუშების ყოფა-ცხოვრებასთან.

ასეთი მუშაობით ჩვენ შევსძლებთ მუშათა ფართო მასის ჩაბმას მუშკორთა მოძრაობაში და ხელს შევუწყობთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აყვავება-გამაგრებას. საჭიროა მუშკორებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხზე.

მუშკორი.

—:—

ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება

(შავი ზღვის რკინის გზა)

შავი ზღვის რკინის გზაზე, 1925 წლის მეორე ნახევარში შესდგა ორთქლმავალთა გუნდი. ხელფასი ამ გუნდისა, 1925 წელს, სამუშაოთა უფროსმა კაციტაძემ თითონ დაუწესა. მემანქანეებს თვიური ხელფასი დაუნიშნა 108 მან. და 40 პროცენტი დატვირთვა. სულ 151 და 20 კაპ. მის თანაშემწეს 113—40 კაპ. პროცენტით. მიუხედავად იმისა, რომ ამიერ-კავკასიის რკ. გზები უკვე გადავიდენ ახალ სატარიფო განაკვეთებზე, რაც უსათუოდ აუმჯობესებს მუშების მდგომარეობას, შავი ზღვის რკინის გზის მემანქანეების და მათი თანაშემწეების ხელფასი მაინც უცვლელია.

გარდა ამისა, შავი ზღვის რკინის გზაზე არც ზედმეტ ნამუშევარს აძლევენ თავის დროზე. კარგა ხანია, რაც ორთქლმავალთა გუნდი 30 კაცის შემადგენლობით სადგ. სენაკიდან გადაიყვანეს ხობის ხიზში (15 კილომ. მანძილი), მივლინების ჯილდოს მიცემას კი ჯერ კიდევ არავინ ფიქრობს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნულმა გუნდმა კოლექტიური განცხადება მისცა საუბნო კომიტეტს, მაგრამ დღემდე არაფერი შედეგი არა ჩანს, რადგან კოლექტიურ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული აქვს აღმშენებელთა კავშირს შავი ზღვის რკინის გზის სამმართველოსთან, არავითარი ლაპარაკი არ არის ორთქლმავალთა გუნდის შესახებ. არ ვიცი რას ფიქრობდა აღმშენებელთა კავშირი ორთქლმავალთა გუნდის შესახებ, როდესაც ის შავი ზღვის რკინის გზის სამმართველოსთან ხელშეკრულებას სდებდა. ამასთანავე ორთქლმავალთა გუნდი არ სარგებლობს იმ უფლებებით, რომლითაც სარგებლობენ საერთოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ორთქლმავალთა გუნდები.

აღმშენებელთა კავშირმა, ორთქლმავალთა გუნდსაც უნდა მიაქციოს ყურადღება და მიიღოს ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ილ—ვა.

საყურადღებო თათბირი

(უქსი)

20 სექტემბერს, შესდგა უქსის ადგილკომთან არსებული ეკონომ კომისიის თათბირი, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალებიც. დღის წესრიგში იყო მოხსენება ახლად ჩამორთმეულ სახლების მდგომარეობის შესახებ. მოხსენება გააკეთა სამნეო ნაწილის გამგემ ამხ. ტოროშელიძემ, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ახლად ჩამორთმეულ სახლების რაოდენობა უდრის 2.126 სახლს ძველების გარდა. დანიშნულია სულ 119 კომენდანტი. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა სახლების მდგომარეობა სერიოზულია. ნაწილი სახლების ნგრევის პროცესშია. ყოფილა შემთხვევა, რომ სახლი ჩამორთმევამდე დანგრეულა.

ამხ. ტოროშელიძე ეხება აგრეთვე სახლების შემოსავალს და ამბობს, რომ შემოსავლის საქმე ვერ არის კარგად დაყენებული. სახლების შემოსავალს უნდა დაეკმაყოფილებინა ყოველგვარი ხარჯები, მაგრამ ეს ვერ გამართლდა. რაც შეეხება კომენდანტებს, ისინი ისე არიან დატვირთული, რომ ვერ ასწრებენ სახლების შემოვლასაც კი. ნორმის მიხედვით მათ უნდა ებაროთ 5—10 სახლი, ნამდვილად კი 15—20 სახლი აბარიათ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი კომენდანტი გულგრილად ასრულებს თავის მოვალეობას. ისინი ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სახლებში სისუფთავის დაცვას.

შემდეგ ილაპარაკა უქსის გამგემ ამხ. ბრეგაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სახლები რომელიც ამჟამად ეკუთვნის ალმასკომს, 2—3 თვის განმავლობაში უნდა გადავიდეს საბინაო ამხანაგობებზე. შეკითხვების და ცხარე კამათის შემდეგ თათბირმა ყველა ნაკლის გამოსასწორებლად აირჩია კომისია 5 კაცის შემადგენლობით, რომელიც შეიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს.

ვერელი მუშა.

—:—

საწარმოო თათბირი

26 სექტემბერს, ტყავ-ტრესტის № 3 ქარხნის საწარმოო თათბირმა, რომელსაც დაესწრო თითქმის ყველა მუშები, განიხილა დამუშავებულ ტყავეულობის თვითღირებულების დაწევის საკითხი.

მომხსენებლად ამ საკითხზე გამოვიდა ამხ. კინწურაშვილი, რომელმაც გააცნო თათბირს ტყავეულობის თვითღირებულების კალკულაცია და ხარჯები სველ საქონელზე. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ის ნაკლულოვანებანიც, რაც წინ უძღოდა ქარხნის საქმიანობას. მომხსენებელი შეეხო წარსული წლების თვითღირებულებას და აღნიშნა, რომ 1925—26 წ. ერთი კილო გამოსული ტყავი დაჯდა 2 მ. 64 კ. 1926—27 წ.—2 მან. 93 კაპ. 1927—28 წელს. პირველ ექვს თვეში 2 მან. 46 კაპ. ამგვარად წინად საქონელი შედარებით ძვირი ჯდებოდა, რადგან ნედლი მასალა უვარგისი იყო. დღეს კი ეს ნაკლი სავსებით გამოსწორებულია. დღეს № 3 ტყავის ქარხნის ნაწარმოების თვითღირებულება 17 პროც. დაწეულია. მუშის ხელფასი კი წარსულ წელთან შედარებით აწეულია.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო დამსწრეთა უმრავლესობამ. მათ აღნიშნეს რომ № 3 ქარხნის საქმიანობა საქონლის თავის დროზე მიუწოდებლობის გამო ფერხდება. საჭიროა ამ ნაკლის დროზე გამოსწორება.

დასასრულ თათბირმა შეიმუშავა შესაფერი ღონისძიებანი მომავალი მუშაობის გასაცხოველებლად.

ვ. გვარ—ძე.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

აუტანელია აქ მუშაობა. რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ქიმიურ მექანიკურ ლაბორატორიაში, სადაც სწარმოებს სხვადასხვა სითხეების ანალიზი იმდენად შეხუთულია ჰაერი, რომ ყოვლად შეუძლებელია აქ მუშაობა. შენობა სავსეა სხვადასხვა სიმჟავის ორთქლით, რომელიც ძალზე მოქმედობს ადამიანის ჯანმრთელობაზე. წინად აქ მომუშავეებს რძე ეძლეოდათ, მაგრამ უკანასკნელად ისიც მოუსპეს. შრომის ინსპექტორო, მოხედე.

თანამშრომელი.

—:—

უშეშოდ ნუ დაგვტოვებთ. მთავარ ფოსტის კანტორის თანამშრომლებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ ავანსი შეშის შესაძენად. ზამთარი კი კარზეა მომდგარი. მუშკომო, მიიღე ზომები თანამშრომლებზე ავანსის გასაცემად.

ლიზ—გო.

ნაზაროვამ აგვიკლო. მუხრანის ქუჩა სახ. № 28-ში ცხოვრობს ვინმე მარუსა ნაზაროვა, რომელსაც აკლებული ჰყავს მთელი ეზო. ეს ქალბატონი ძალიან ხშირად, სრულიად უმიზეზოდ აყენებს შეურაცყოფას მეზობლებს. მილიციავ, გამოასწორეთ უხეში ადამიანი.

მსმენელი.

—:—

თავხედი მილიციელი. სისხლის სამართლის მილიციის სტატისტიკოსი მოქ. ს. კვატაშიძე, ძალიან თავხედურად ეპყრობა მის გვერდით მცხოვრებლებს. ამ ვაჟბატონმა თავისი პირადი საჭიროების გამო შეავიწროვა და თითქმის გარეთ გამოაგდო კავშირის წევრი. ეს საქმე პროკურორამდე მივიდა. 23 სექტემბერს მეორე უბნის უფ. მილიციელი მივიდა მასთან პროკურორის განკარგულებით იმის შესახებ, რომ უკანონოთ გამოსახლებული კავშირის წევრი ჩაესახლებია უკან. მაგრამ მოქ. კვატაშიძემ პროკურორის ქაღალდი თავზე გადაახია ლალაიძეს. ასეთია თავხედი მილიციელის საქმიანობა.

—:—

რად ივიწყებს კედლის გაზეთი? უკვე მეორე სასწავლო წელია, რაც რკ. გზის მუშფაკში არ გამოდის სისტემატიურად კედლის გაზეთი. ალმასბიუროვ, მიიღე ზომები კედლის გაზეთის თავის დროზე გამოსაცემად.

მსმენელი.

საქ. პროფსაბჭოს მე-8 პლენუმი

მეორე დღე

საქართველოს პროფსაბჭოს მერვე პლენუმის მეორე სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ანთიძის მოხსენება პროფმუშაობის შესახებ კერძო წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა შორის.

პროფმუშაობა კერძო წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა შორის

(ამხ. ანთიძის მოხსენება)

მომხსენებელმა პლენუმს გააცნო კერძო წარმოებათა მუშა-მოსამსახურეებს შორის წარმოებული პროფმუშაობის გამოკვლევის შედეგები. მისი გადმოცემით გამოკვლევა შეეხო 27 ადგილკომს. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ პროფმუშაობა კერძო წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა შორის ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე: არ არის დაცული კავშირის წევრთა ინტერესები და არ არსებობს პირობები მათი კლასობრივი შეგნების გასაძლიერებლათ.

ზოგიერთი კავშირის ხაზით (მეღვინეები, სახალხო კვების, ხელოვნების, სურსათ-გემოვნების, მეტყევეთა და სხ.) ერთი ფაბქარხკომი ემსახურება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს, რის გამო სათანადო ყურადღება არ ექცევა კერძო წარმოებათა მუშა-მოსამსახურეებს ხშირათ ერთი ფაბქარხკომადგილკომი აერთიანებს მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებას, რომელნიც ერთიმეორისაგან დიდი მანძილით არიან დაშორებულნი. რაც ხელს უწყობს მუშა-მოსამსახურეების საკავშირო მასიდან ჩამოშორებას და ქსაქსავს კერძო წარმოებებში მომუშავეებს. მომხსენებელს აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია მსხვილ ადგილკომების წვრილ ერთეულებათ დანაწილება იმ ანგარიშით, რომ ერთი ადგილკომი აერთიანებდეს ერთგვარ წარმოება-დაწესებულებების 100—150 მუშა მოსამსახურეს. წარმოება-დაწესებულებების ერთი-მეორისაგან დიდი მანძილით დაშორებაა აგრეთვე იმ გარემოების მიზეზი, რომ კერძო წარმოებაში მომუშავე ადგილკომებს ვერ ჩაუტარებიათ სისწორით გადარჩევის კამპანია. ორი საარჩევნო კრების ნაცვლად მოწვეული ყოფილა ერთი კრება, რომელსაც დასწრებია წევრთა 50 პროცენტზე ნაკლები. ფაბქარხადგილკომის შემადგენლობა სისწორით ვერ გამოხატავს მათში გაერთიანებულ კავშირის წევრთა სოციალურ-ეროვნულ შემადგენლობას. ძალიან მცირეა აგრეთვე პროფმუშაობაში ჩაბმულ ქალებისა და ახალგაზრდების რიცხვი. ცუდად არის დაყენებული ახალ წევრთა კავშირში მიღების საქმე: ხშირია შემთხვევები, როცა კავშირში ღებულობენ არამშრომელ ელემენტს და კავშირის წევრობაზე უარს ეუბნებიან დაქირავებულ შრომაში წლობით ჩაბმულ მშრომელთ. კავშირის გარეშე დარჩენილია ხელოვნებისა და შინამრეწველების შეგირდების საგრძნობი რაოდენობა. კავშირში შესვლის შესახებ განცხადებების განხილვას და ფორმალურ მხარეების შესრულებას მთელი თვეობით აჭიანურებენ. კერძო წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა შორის აქტიურ პროფმუშაკთა რიცხვი მცირეა და მათი მუშაობა სუსტი. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმის, რომ მთავარი მასსა პროფმოძრაობის გარეშე დარჩენილი. საერთო კრებების მოწვევა ხდება არარეგულიარულად და უგეგმოდ. სათანადო მზადებას მათ მოსაწვევათ არა აქვს ადგილი, რის გამო კრებებს ესწრება მუშა-მოსამსახურეთა მცირე პროცენტი (არა უმეტეს 30—40 პროცენტისა). საერთო კრების დღის წესრიგში იწყება უმნიშვნელო საკითხები და კრების ყურადღების გარეშე რჩება შრომის, ყოფა-ცხოვრების, კულტურული მუშაობის საკითხები, საანგარიშო მოხსენებები და სხვა. სადელეგატო კრებების მუშაობაც სუსტია მათ ან სრულებით არ იწვევენ ან თუ იწვევენ, არარეგულიარულად. სადელეგატო კრების დღის წესრიგში ხშირად სდგას მხოლოდ საანგარიშო მოხსენებები და ყურადღება არ ექცევა მიმდინარე ყოველდღიურ საკითხებს.

კავშირის წევრების კოოპერატიულ შეკავშირების დარგში კერძო წარმოება-დაწესებულებების ფაბქარხადგილკომებს უმნიშვნელო მიღწევები აქვს. კოოპერაციის წევრთა რიცხვი 30 პროცენტს არ აღემატება. აქედან სრული პაი შეტანილი აქვს მხოლოდ 5 პროცენტს.

ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობაში ადგილი აქვს შემდეგ ნაკლოვანებას: არ იმართება საანგარიშო მოხსენებები, დიდია ვადაგადაცილებული დავალიანება, ნაკლებია სალაროს წევრთა რიცხვი.

რაც შეეხება სატარიფო მუშაობის დარგს, პირველყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ფაბქარხადგილკომების მიერ დადებული კოლხელშეკრულება ყველა მუშა-მოსამსახურეზე არ ვრცელდება. კოლხელშეკრულება განსაკუთრებით გვერდს უხვევს ახალგაზრდებს. ზოგიერთ კავშირში სატარიფო შეთანხმებას და კოლხელშეკრულებას არ იხილავს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. ამ გარემოებით ხშირად სარგებლობენ კერძო მწარმოებელნი, რომელთაც სხვადასხვა მოსაზრებებით შემოღებული აქვთ ხელფასის ფარული ფორმა. ბევრ წარმოებებში ადგილი აქვს ზედმეტ მუშაობას, ხელფასის დაგვიანებას, ანტისანიტარულ მდგომარეობას და აგრეთვე არ არსებობს სპეცფონდი დაზღვევისათვის.

ფაბქარხადგილკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შესწავლას, შრომის დაცვის მოთხოვნილებათა სისტემატიურ დარღვევის ალკვეთას და არ უთანხმებენ თავიანთ მუშაობას ამ დარგში შრომის დაცვის კომისიასა და შრომის ინსპექციას.

ძალზე სუსტია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კერძო წარმოებების მუშა მოსამსახურეთა შორის, რომელნიც ყველაზე მეტად საჭიროებენ მას, რადგანაც მათ ნაკლებათ აქვთ განვითარებული კლასობრივი თვითშეგნება. კერძო წარმოებათა მუშა-მოსამსახურეები სუსტად არიან ჩაბმული მუშათა კლუბებში, მოისუსტებს წითელ კუთხეების მუშაობა, ვერ სარგებლობენ სამკითხველოებით, არ იწერენ ჟურნალ-გაზეთებს, არ სცემენ კედლის გაზეთებს და თუ სცემენ მეტად შაბლონურ ხასიათისას.

კერძო წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა შორის წარმოებულ პროფმუშაობის დახასიათების შემდეგ მომხსენებელი ჩამოსთვლის ღონისძიებებს, რომელიც მიღებული უნდა იქნეს პროფმუშაობის გასაცხოველებლად.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს ორატორებმა გაიზიარეს მომხსენებლის მთავარი დებულებები და უფრო ვრცლად გაშუქეს კერძო წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა შორის პროფმუშაობის ცალკე დეტალები. დასასრულ,—მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ითვალისწინებს მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებების ცხოვრებაში გატარებას.

საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობის მოწვევის ვადა და დღის წესრიგი

ამხ. მაჩაიძის წინადადების თანახმად პლენუმმა საქართველოს პროფკავშირთა მეშვიდე ყრილობის მოწვევის ვადათ დაამტკიცა 17 ნოემბერი შემდეგი დღის წესრიგით: 1) საბჭოთა კავშირის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა, 2) საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, 3) საკავშირო პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენება, 4) შრომის სახ. კომისარიატის მოხსენება, 5) სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტის მოხსენება, 6) საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები და 7) პროფსაბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევა.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ახალი გამგის არჩევა

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგის თანამდებობიდან ამხ. ფირალიშვილის განთავისუფლების გამო, პროფსაბჭოს პლენუმმა ამ განყოფილების გამგეთ ერთხმად აირჩია ამხ. **არჩილ მიქაძე.**

ამით დამთავრდა პროფსაბჭოს მერვე პლენუმი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

თბილისის მაზრაში

თბილისის მაზრაში სულ ირიცხება 33.300 მეურნეობაზე მეტი. თბილისის ალმასკომის სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო ქვე-განყოფილების ცნობით წელს თბილისის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან განთავისუფლებულია 17.000 მეტი მეურნეობა (როგორც ულარიბესი მეურნეობანი). გადასახადით დაბეგრილია მხოლოდ 16.333 მეურნეობა. მთელს მაზრაში გადასახადი გაწერილია 416.000 მანეთის რაოდენობით.

გადასახადების შეტანის პირველ ვადათ დანიშნული იყო 1 ოქტომბერი. ამ დროისათვის გადასახადის სახით უნდა აკრეფილი ყოფილიყო გაწერილ გადასახადის მთელი რაოდენობის 20 პროცენტი. თემკომიდან და რაიონებიდან მიღებული ცნობებით ამ დროისათვის დაახლოებით უკვე შემოსულია 76.000 მანეთამდე, რაც შეადგენს მთელს გადასახადის 18 პროცენტს.

როგორც ადგილებიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, საგადასახადო ობიექტების დაბეგვრის დროს დაშვებულია შეცდომები. ზოგი მეურნეობა დაბეგრილია ზედმეტად, ხოლო ზოგიერთი კი მცირე რაოდენობით. ამიტომ ადგილებს ეცნობა, რომ გადასახადის შესახებ აღძრული საჩივრები სასწრაფოდ განიხილონ და დაშვებული შეცდომები დაუყოვნებლივ გამოასწორონ.

სად იქნება აგებული შაქრის ქარხანა

შაქრის ტრესტის სპეციალისტთა კომისიამ დაამთავრა წინასწარი მუშაობა

შაქრის ტრესტის სპეციალისტთა კომისიამ რომელიც გამგზავრებული იყო გორის მაზრის იმ ადგილების გამოსაკვლევად, სადაც სწარმოებს შაქრის ჭარხლის თესვა, უკვე დაამთავრა მუშაობა და დაბრუნდა თბილისში.

კომისიის მუშაობა გაგრძელდა ათ დღეს და ამ ხნის განმავლობაში დათვალიერებულ იქნა მთელი რაიონი რკ. გზის სადგურ ქვიშხეთიდან სად. ქხანამდე. ადგილების შემოვლის დროს კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ჰიდრო-ტეხნიკოსები, გეოლოგები და აგრონომები.

კომისიამ მუშაობის პროცესში გამოარკვია, რომ ქარხნის უზრუნველყოფა ნედლი მასალით უფრო ადვილი იქნება რკ. გზის სადგ. ავარას რაიონში, ამ მიზნით **კომისიამ გადაწყვიტა შაქრის ქარხანა აგებულ იქნეს მდ. მტვარის და მდ. სურამულას მახლობლად,** სადაც შესაძლებელი იქნება ჭარხლის მთესველთა კოლექტიური მეურნეობის მოწყობა.

1-ლ ოქტომბერს კომისიის მიერ შაქრის ქარხნის ასაგებად ამორჩეული ადგილი დაათვალიერეს—საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძემ,** სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ლ. ქართველიშვილმა,** ს. მ. უ. ს. თავმჯდომარემ ამხ. **გ. ურულუშვილმა,** მიწათმოქმედ. სახ. კომისარის მოადგილემ—ამხ. **ძამანაშვილმა** და სხ., რომლებმაც კომისიის მიერ არჩეული (სად. ავარასა და სოფ. ქვენატკოცას შორის) მოიწონეს.

გუშინ საღამოს შაქრის ტრესტის კომისია გაემგზავრა სომხეთში, ლენინაკანის რაიონში შაქრის ჭარხლის სათესი ადგილების დასათვალიერებლად. სომხეთიდან დაბრუნების შემდეგ კომისია შეუდგება ქარხნის სააღმშენებლო პროექტის დასამუშავებლად შეკრებილი მასალების შესწავლას.

ხე-ტყის სახერხი ქარხნების გამოკვლევა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ ახალშენობათა კომიტეტის და საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების დავალებით, აფხაზეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნების გამოსაკვლევად გაემგზავრა საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის ტეხნიკური ინსპექტორი ინჟ. მანევსკი.

პირველ რიგში ინჟ. მანევსკიმ მოახდინა ბზიბის ხე-ტყის სახერხი ქარხნისათვის შეძენილ ორთქლის ქვაბების გამოკვლევა. აღნიშნული ქარხნის პროექტი ახლო მომავალში დამტკიცდება და მთლიანად შევა „ბზიბშენი"-ს სამუშაო პროგრამაში.

ბზიბის ხე-ტყის ქარხნისათვის ორთქლის ქვაბები კარგა ხანია შეუძენიათ, მათი (ორი) საერთო ღირებულება 60.000 მანეთამდე აღწევს ქვაბები ინგლისური სისტემისაა (ბაბკოქისა და ვილკოქის სისტემა). გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ქვაბები ვარგისია ქარხნისათვის იმ პირობით, თუ გამოცვლიან წყლის მილებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ძვირფასი ორთქლის ქვაბები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეყარა წყალში ღია ცის ქვეშ, რის გამოც ქვაბის წყლის მილები დაიჟანგა და უვარგისი გახდა. რაც შეეხება მთავარ ნაწილებს, ისინი კარგათ შენახულა. ამ გვარათ აღნიშნულ მილების გამოცვლის შემდეგ ქვაბები შეიძლება დაიდგას ქარხანაში.

ამას გარდა გამოკვლეულ იქნა „აფხაზეთის ტყე"-ს ორი ქარხანა: ერთი კოლხიდაში და მეორე გაგრაში.

აღნიშნულ ქარხნებში არის მთელი რიგი დეფექტები ტეხნიკური უშიშროების დარგში რისთვისაც აფხაზეთის შრომის ინსპექციამ პასუხისგებაში მისცა ქარხნის ადმინისტრაცია.

„ბზიბშენი"-ს რაიონში სოფ. პეწუნდაში შენდება თამბაქოს შესანახი საწყობი. რომელიც დაიტევს 18.000 ფ. თამბაქოს.

აღნიშნულ სამუშაოების გამოკვლევის დროს აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი დეფექტები, სააღმშენებლო წესების დარღვევის სახით. მოისუსტებს ტეხნიკური უშიშროების საქმე. არახელსაყრელი კლიმატიური პირობები საშინლად აბრკოლებს მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაცია სისტემატიურად უწევს საექიმო დახმარებას მუშებს.

მუშა-ხელის ნაკლებობის გამო ყუბანის ოლქიდან გამოწვეულ იქნა ქვის მტეხავებისა და კალატოზების არტელი.

მიუხედავად მთელი რიგი დეფექტებისა, რომელიც აღმოჩენილ იქნა შრომის პირობების გამოკვლევის დროს „ბზიბშენი"-ს რაიონში სააღმშენებლო სამუშაოები სწრაფი ტემპით მიდის წინ.

მუშა-ხელის კვალიფიკაციის ასამაღლებლად

ამიერ-კავკ. რკინის გზების აღმოსავლეთ უბანი დღემდე არადამაკმაყოფილებლათ მუშაობს. გარდა იმისა, რომ აღნიშნულ უბანზე მომუშავე რკ. გზის აგენტების დაუდევრობის მთელი რიგი დაბრკოლებები იქმნებოდა მატარებლების მოძრაობაში, ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა მატარებლის გაწყვეტის შემთხვევები.

აღნიშნულ დეფექტების სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ გადასწყვიტა დაარსებია სათანადო კომისია, რომელიც შეამოწმებს მოძრაობის დარგში მომუშავე თანამშრომლების ცოდნას.

კომისიამ ამჟამად დაასრულა თავისი მუშაობა. მუშაობის პროცესში გამოცდილ იქნა—173 თანამშრომელი, ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალიდან, წევის, გზათა მოძრაობის და სხვა დარგებში.

კომისიის დასკვნა ასეთია: აღმოსავლეთის უბანზე, სამუშაოები ასეთი ხალხის ხელშია, რომელთაც არ აქვთ საკმაო გამოცდილება. ამათ შორის გვხვდებიან, როგორც უმცროსი აგენტები, ისე უმცროსი ადმინისტრატიული პერსონალიც.

აღნიშნულ დასკვნებთან დაკავშირებით, რკ. გზების გამგეობა იღებს მთელ რიგ გადამწყვეტ ზომებს, აღმოსავლეთ უბნის გამოსაჯანსაღებლად. იგზავნება საჭირო ინსტრუქციები და ბრძანებები, ამას გარდა რევიზორებსა და უფროს თანამშრომლებს დაევალათ ჩაატარონ საუბრები უშიშროების ტეხნიკის შესახებ.

ახლო მომავალში გაიხსნება გადასამზადებელი კურსები.

მოსამზადებლათ გამგეობამ განსაზღვრა 2 თვის ვადა, რის შემდეგაც უმცროსი თანამშრომლები ჩააბარებენ გამოცდებს.

ის აგენტები, რომლებიც გამოცდებს ვერ ჩააბარებენ სამუშაოზე არ იქნებიან დაშვებულნი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

რა დეფექტებია შემჩნეული სესხის რეალიზაციის კამპანიაში

(სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობი ამიერ-კავკ. ცენტრ. კომისიის სხდომა)

გუშინ ამხ. დ. ბუსლინოვის თავმჯდომარეობით შესდგა ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობი ამიერ.-კავკ. ცენტრ. კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცნობა სესხის კამპანიის მსვლელობის შესახებ ამიერ-კავკ. რესპუბლიკებში და გამომუშავებული იქნა ღონისძიებები სესხის რეალიზაციის კიდევ მეტის წარმატებით ჩასატარებლად.

დეფექტებს შორის სხდომაზე აღნიშნეს, რომ სესხის ხელისშემწყობი კომისიები ადგილებზე ვერ უწევენ შესაფერ ენერგიულ ხელმძღვანელობას კამპანიის მსვლელობას, განსაკუთრებით სასოფლო ადგილებში. სესხის გასაღებაში სუსტად არიან ჩაბმულნი შინამრეწველები და სხ. გარდა ამისა სესხის კამპანიის ჩატარებისას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სესხის გასაღებას კერძო ვაჭართა შორის და სხვ.

მთავარ დეფექტად სესხის რეალიზაციის კამპანიაში ის გარემოებაა მიჩნეული, რომ, სესხის რეალიზაცია სოფლად ჯერ კიდევ ვერ არის შესაფერად გაშლილი.

ამ დეფექტების თავიდან ასაცილებლად სხდომაზე გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლითაც საჭიროდაა აღიარებული—გაძლიერებულ და გამოცოცხლებულ იქნეს სესხის ხელისშემწყობი კომისიების მუშაობა, როგორც ცალკე რესპუბლიკებში, ისე მაზრებში; დაჩქარებულ იქნეს სესხის ობლიგაციებზე უკვე ჩატარებულ ხელისმოწერის ფორმალური ჩამოყალიბება; სოფლად კამპანიის გასაცხოველებლად წინადადება მიეცეს ფინ. სახ. კომისარიატის რწმუნებულებს გააძლიერონ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სესხის რეალიზაციის საქმეს საბინაო ამხანაგობებში.

იმ მიზნით, რომ მაზრებში გაცხოველებით ჩატარდეს კამპანია, საჭიროთაა ცნობილი შემოღებულ იქნეს ე. წ. პრემიალური სისტემა, იმ რაიონებს, სადაც გასაღებული იქნება ობლიგაციების მაქსიმუმი, მიეცემა პრემიები სპეციალური ფონდიდან, რომლის დასაარსებლადაც ამიერ-კავკ. ფინსახკომმა უკვე გამოითხოვა შესაფერი თანხები.

ზომები კამპანიის გასაცხოველებლად

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანიის მსვლელობასთან გასაცნობათ აჭარისტანში გაემგზავრა საქართველოს ფინსახკომის სავალიუტო განყოფილების უფროსი ნ. ქოიავა.

გარდა აჭარისტანისა ნ. ქოიავა გაემგზავრება აფხაზეთში და ფოთის რაიონში.

გარდა ამისა, სესხის ხელისშემწყობი ამიერ-კავკ. ცენტრ. კომისიის დადგენილების თანახმად, სესხის კამპანიის მსვლელობის გასაცხოველებლად მაზრებში დაგზავნილია საქართველოს ფინსახკომის ინსპექტორები.

მათ დავალებული აქვთ ყველა მაზრებში გააძლიერონ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

სესხის რეალიზაცია თბილისსა და მის მაზრაში

გუშინ, დილით თბილისის ალმასკომში ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ სამაზრო-საქალაქო კომისიის სხდომა.

სესხის რეალიზაცია გლეხებს შორის

თბილისის მაზრაში კამპანიის მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. მესხმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დღემდე თბილისის მაზრაში კოლექტიურად ხელის მოწერის საშუალებით გავრცელებულია 25.000 მანეთის ობლიგაცია, ხოლო ნაღდზე—3.010 მანეთის.

ობლიგაციები უმთავრესად ვრცელდება ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებს შორის. გლეხებს შორის სესხის გავრცელებას ხელი შეუშალა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დაწყებამ, რაც დამთავრდება 20 ოქტომბრისათვის და შემდეგ დაიწყება სესხზე კოლექტიურად ხელის მოწერა გლეხებში.

მაზრაში დღემდე ობლიგაციების გავრცელების საქმეში პირველი ადგილი უჭირავს მანგლისის რაიონს, სადაც გავრცელებული იქნა 12.325 მ. ობლიგაცია, საკონტროლო ციფრით კი ამ რაიონში უნდა გავრცელებულიყო 7.000 მანეთის ობლიგაცია. სესხზე ხელისმოწერა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე მცხეთაში.

მუშა-მოსამსახურეებს შორის

ქალაქში სესხის გავრცელების შესახებ მოხსენება გააკეთა ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. კალანდარაშვილმა. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ 28 სექტემბრამდე თბილისში სულ გავრცელებულია 8.528.000 მანეთის ობლიგაცია. ამრიგად საკონტროლო ციფრთან შედარებით გავრცელებულია — 800.000 მანეთით მეტი. სესხზე ხელისმოწერა გრძელდება.

კერძო ვაჭართა შორის

კერძო ვაჭართა შორის სესხის გავრცელების შესახებ მოხსენება გააკეთა საქონლისა და საფონდო ბირჟის წარმომადგენელმა ამხ. **კუხალეიშვილმა** და ამიერ-კავკ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს გამგემ ამხ. **საფარიანმა.** მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ კერძო ვაჭართა შორის სესხზე ხელისმოწერა სუსტად მიმდინარეობს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამჟამად მიმდინარეობს ადგილობრივი გადასახადის აკრეფის კამპანია. გარდა ამისა სესხზე ხელის მოწერა კერძო ვაჭართა შორის დაიწყო მოგვიანებით. სესხზე ხელის მოწერა წარმატებით სწარმოებს შინამრეწველ ხელოსანთა შორის.

მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების მდგმურებს შორის

ახლად მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში სესხზე ხელისმოწერის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ა. გაგუნაშვილმა.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟამად სწარმოებს წინასწარი მუშაობა ახლად მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში მცხოვრებთა შორის სესხის გასავრცელებლად. საბინაო კავშირის სახლებში მცხოვრებთა შორის დღემდე სულ გავრცელებულია 1.250 მანეთის ობლიგაცია.

სხდომამ დაადგინა დაავალოს უძრავ-ქონებათა სამმართველოს და საბინაო-კავშირს გააძლიეროს მუშაობა მდგმურებს შორის სესხის გასავრცელებლად.

სესხის ქრონიკა

სესხის ობლიგაციები

ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა მიიღო ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის 3 მილიონი მანეთის ობლიგაცია აქედან 1.500.000 მანეთის ობლიგაცია ეძლევა ბაქოს, 1.150.000 მანეთის თბილისს და 350.000 მან. ერევანს. სულ დღემდე ამიერ-კავკასიაში მიღებულია — 5.400.000 მანეთის ობლიგაცია. ამ დღეებში მიღებული იქნება—5 მილიონი მანეთის ობლიგაციები.

ჯილდო სესხის წარმატების რეალიზაციისათვის

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხისათვის ხელის შემწყობმა ამიერ-კავკ. ცენტრალურმა კომისიამ მიზანშეწონილად სცნო დააჯილდოვოს ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ცალკე რაიონები, და აგრეთვე თბილისის, ბაქოს და ერევნის ცალკე ორგანიზაციები სესხის წარმატებით რეალიზაციისათვის. ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა სპეციალური თანხების გადადების შესახებ ჯილდოს გასაცემად.

შემოდგომის თესვა

ხელშეკრულების დადება სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებთან

ამ დღეებში „სოფლის კავშირ"-მა დაასრულა საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადება სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებთან.

კახეთის მაზრაში ხელშეკრულება დადებულია 16 საკრედიტო ამხანაგობასთან, გორის მაზრაში—9 საკრედიტო ამხანაგობასთან, თბ. მაზრაში—13 ამხანაგობასთან და ბორჩალოს მაზრაში—4 ამხანაგობასთან.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების მიხედვით აღნიშნულმა ამხანაგობებმა უნდა დაამზადონ 4.736 ფუთი ხორბალი და 1.322 ფუთი ქერი.

1928—29 წელს შემოდგომის ნათესების კონტრაქტაცია გეგმის მიხედვით, კახეთის მაზრაში მწკრივზე დაითესება—791 ჰექტარი ჩვეულებრივად—2.323 ჰექტარი, თბილისის მაზრაში—მწკრივზე 403 ჰექტარი, ჩვეულებრივად—566 ჰექტ., გორის მაზრაში—404 ჰექტ., მწკრივზე და 6.522 ჩვეულებრივად. კონტრაქტაცია სულ ჩატარდება 5.183,2 ჰექტარზე.

შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის ჩასატარებლად სასოფლო-სამ. საკრედიტო ამხანაგობებს დაურიგდათ ავანსებათ: კახეთის მაზრის ამხანაგობებს (რომლებმაც ხელშეკრულება დასდეს „სოფლის კავშირ"-თან. მაზრას—22.146 მანეთი, გორის მაზრას—12.652 მანეთი, თბილისის მაზრას—9.346 მან. და ბორჩალოს მაზრას—1.294 მანეთი.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით დაიწყო ხელშეკრულებების დადება სასოფლო-სამ. საკრედიტო ამხანაგობებსა და მთესველებს (კოლმეურნეობები, გლეხთა ჯგუფური გაერთიანებები და სხვა...) შორის.

თავის მხრით საკრედიტო ამხანაგობები მთესველებს გაუწევენ აგრონომიულ დახმარებას, ამას გარდა მიღებულ იქნება ზომები, რათა თესვა სწარმოებდეს წმინდა და დახარისხებულ თესლით, თესლი უნდა იქნეს დაწამლული, მიწა უნდა დამუშავდეს გაუმჯობესებული წესით. მწკრივათ დათესვა უნდა იწარმოოს მანქანების საშუალებით. სასუქი შეტანილ იქნეს იქ, სადაც შესაძლებელია, სათესი მანქანები მოხმარებულ იქნეს წესიერად და სხვა...

ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება, სოფლის კავშირმა და მიწსახკომმა დაავალა სამაზრო აგრონომებს.

დაზგის მუშების პროცენტი უნდა ავსწიოთ

(თბილისი)

თავის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის უკანასკნელი პლენუმი გვაძლევს საჭირო მითითებებს ორგანიზაციის ზრდის ძირითადი საკითხების შესახებ. ამასთანავე დადგენილებაში გათვალისწინებულია ზრდის უახლოესი პერსპექტივები, რომ ამ გზით ორგანიზაცია წინდაწინვე იქნას მომზადებული საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას იმ გადაწყვეტილების [illegible] და სისწორით გასატარებლად, რომელიც შეეხება პარტიის ზრდას.

თბილისის ორგანიზაციამ, რომელსაც თავის რიგებში საქართველოს სხვა პარტორგანიზაციებთან შედარებით მუშების მეტი პროცენტი ჰყავს, კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მუშაობა პარტიაში დაზგის მუშების ჩასაბმელად, მით უმეტეს, რომ ზრდისათვის საჭირო რეზერვები მას საკმაოდ მოეპოვება.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას უკანასკნელ დადგენილებაში ყველა პარტიულ ორგანიზაციის წინაშე დასმულია ამოცანა დაზგის მუშათა რიცხვის 50 პროცენტამდე გადიდების შესახებ. თბილისის ორგანიზაციამ უკვე განახორციელა ეს დირექტივა, 1928 წლის 1 ივლისისათვის თბილისის ორგანიზაციაში დაზგის მუშათა რაოდენობა 50,9 პროცენტს შეადგენდა.

თუ ორგანიზაციის ზრდის ორიენტირად მომავალ ორი წლისათვის მივიღებთ დაზგის 3.000 მუშის ჩაბმას პარტიაში, (საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად) მაშინ ზემოდ ნაჩვენები პროცენტი თვალსაჩინოდ გაიზრდება.

როგორ სწარმოებს მუშათა მიღება? უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში მუშათა რიცხვის ზრდა თბილისის ორგანიზაციაში შენელდა. ოქტომბრის გაწვევის შემდეგ, რომელმაც ორგანიზაციის მუშათა თვალსაჩინო რიცხვი შემატა (935 დაზგის მუშა), ორგანიზაციაში მიღება ყოველთვიურად კლებულობს; თუ 1928 წლის პირველ კვარტალში მიღებულ იქნა 292 მუშა, მეორე კვარტალში—155 მუშა, აგვისტოში მიღებულ იქნა 39 მუშა, შვიდი თვის განმავლობაში კი (თებერვლიდან აგვისტომდე) ქალაქის ორგანიზაცია თვეში საშუალოდ 69 მუშით იზრდება.

თუ ორგანიზაციის მუშების ხარჯზე ზრდა მომავალში ასეთი ტემპით (როგორც, უნდა ითქვას, შემცირების ტენდენციას ამჟღავნებს) განვითარდა, მაშინ ვერ განხორციელდება პარტიის თბილისის კომიტეტის დირექტივა 3.000 დაზგის მუშის ჩაბმის შესახებ ორი წლის განმავლობაში, რადგანაც ამ დირექტივის მიხედვით დაზგის მუშათა რიცხვის საშუალო ზრდა თვეში 120 მუშაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

თბილისის 126 წარმოებაში მუშათა უპარტიო აქტივი 13 ათას კაცს აღწევს (ნებაყოფლობით საზოგადოებათა და კომკავშირელების გამოკლებით). ამნაირად, თბილისის კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება—3.000 მუშის ჩაბმა პარტიაში შეიძლება განხორციელდეს (და კიდევაც უნდა განხორციელებულ იქნას) მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენ გავაუმჯობესებთ მასიურ მუშაობას განსაკუთრებით დიდს წარმოებებში, სადაც პარტიული ფენა არ არის მაინც და მაინც მაღალი.

საერთოდ ჩვენი წარმოებები პარტიული ფენის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: პოლიგრაფიულ მრეწველობაში კომუნისტები შეადგენენ—36,7 პროც., რკინისგზელებში — 29,5 პროცენტს, თამბაქოს მრეწველობაში — 28,6 პროც., ლითონის დამუშავების მრეწველობაში—26,6 პროც., გემო-კვების კავშირში—24,5 პროც., აგურის ქარხნებში—5,7 პროცენტს, სპილენძის სტკეც ქარხანაში 15,2 პროცენტს.

თბილისის ყველა წარმოებაში კი კომუნისტ მუშათა რიცხვი 26,5 პროც. უდრის.

სოფლის ორგანიზაციაში სუსტი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მუშების, მოჯამაგირეებისა და ღარიბთა აქტივის ჩაბმა პარტიაში. ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ საჭიროა თვალსაჩინოდ გაძლიერდეს მუშაობა პარტიაში სასოფლო-სამ. მუშების, მოჯამაგირეებისა და ღარიბთა აქტივის ჩასაბმელად.

მიმდინარე პერიოდის სიძნელეები ავალებს თბილისის პარტორგანიზაციას განსაკუთრებულის სიბეჯითით დასვას საკითხი ჩვენი პარტიის რიგებში მოწინავე მუშების უფრო ფართოდ ჩაბმის საჭიროების შესახებ.

თბილისის განსაკუთრებულმა მდგომარეობამ, იმან, რომ აქ გამუდმებით მოდიან კომუნისტი-მოსწავლეები, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეაფერხოს თბილისის კომიტეტის პლენუმის დირექტივების განხორციელება. მოსამსახურეთა მიღების საკითხში მეტისმეტი სიფრთხილის დაცვით. და პარტიაში დაზგის მუშათა ჩასაბმელად ფართო მუშაობის წარმოების გზით ხსენებული დირექტივა უნდა განხორციელებულ იქნას ყოველივე მიზეზს გარეშე.

თბილისის ორგანიზაციის ყველა უჯრედებმა, განსაკუთრებით საწარმოო უჯრედებმა, ცენტრალური ამოცანა უნდა დაისახონ მასიური მუშაობის ყოველმხრივი გაუმჯობესება და ინტენსიური აგიტაცია-პროპაგანდა აწარმოონ პარტიაში მოწინავე მუშების ჩასაბმელად.

ამასთან ერთად უნდა გაძლიერებულ იქნას პარტიულების პოლიტიკური აღზრდა. მხოლოდ ამ პირობებში შეძლია ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციას, თავისი წარმოების, საამქროს პირობების მიხედვით, განახორციელოს მის წინაშე წამოყენებული ამოცანები.

ვ. პინსკი.

მევენახეობა კახეთში

მოახლოვდა რთველი. ზოგიერთ ადგილებში უკვე დაიწყო კიდევაც. ცნობილია, რომ კახელები შედარებით კარგი და გამოცდილი მევენახეები არიან, მაგრამ ისიც უდავოა, რომ, როგორც მეღვინენი, ისინი ძალზე მოისუსტებენ. ამის გამო მშვენიერი მასალა, რომლიდან საუცხოვო ღვინოების დაყენება შეიძლება, ხშირად გვიფუჭდება, ან მდარე საქონელს იძლევა და იაფად იყიდება.

ამავე დროს ის კახური ღვინოები, რომლებსაც საბჭოთა მამულებში ევროპიულ წესით აყენებენ, საუკეთესო ღვინოებათ ითვლებიან, არაფრით არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოში განთქმულ საფრანგეთის სუფრის ჯიშებს და ბაზარზედაც მაღალ ფასებში საღდებიან. მაგრამ იმ ორი მილიონ ვედრო მოსავლიდან, რომელსაც საშუალოდ კახეთი იძლევა ყოველწლიურად, ევროპიულად გადამუშავდება ხოლმე მხოლოდ 40-50.000 ვედრო, ე. ი. 2,25 პროცენტი. აქედან აშკარაა, თუ რა დიდ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენთვის მეღვინეობის თანამედროვე ტეხნიკის შეთვისება ფართე მასების მიერ, რასაც აუცილებლივ მოჰყვება პროდუქციის ღირებულების ერთი ორად აწევა. ეს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში და ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად აგრონომიულ დახმარების გატარების დროს.

აქ ჩვენ გვინდა მიუთითოთ მშრომელ მევენახეთ იმ შეცდომებზე, რომელთაც ისინი უშვებენ ღვინის დაყენებისას.

მეღვინეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს რთველის დაწყების დროს. კარგი და საღი ღვინის დასაყენებლად ყურძენი ზომიერად უნდა იყოს დამწიფებული, რის გაგება შეიძლება არეომეტრების საშუალებით, რომელნიც ხშირად მოიპოვებიან, როგორც აგრონომებთან, ისე საბჭოთა მამულებში. უკანასკნელ წლებში კახეთში სეტყვის, ქურდის და სხვა შიშით გლეხები არ აცლიან ყურძენს კარგად დამწიფებას. სახალხო მამულებში რთველი 25 სექტემბრიდან იწყება, გლეხებმა კი უკვე ათიდან დაიწყეს.

ღვინის ხარისხზე გავლენა აქვს იმასაც, თუ დღის რომელ საათებში და როგორ ამინდში იკრიფება ყურძენი.

დილით ადრე, ნამიან და გრილ ამინდში, ან როდესაც წინწკლავს, რთველი არ უნდა დაიწყოს. ჩვენში კი ხშირად წვიმაშიაც კი არ უფრთხილდებიან რთველის ჩატარებას.

იშვიათი მეურნე, რომელიც ყურძნის გადარჩევას აწარმოებდეს. საღი და მომწიფებულ მტევნებთან ერთად იკრიფება და შემდეგ იწურება დამპალი, ავადმყოფი, ჭუჭყიანი, მიწიანი მტევნები, ყურძნის ჭიის მიერ დაზიანებული მარცვლები, მკვახე ისრიმი და სხვა. გაფუჭებული და დაავადებულ მარცვლებს ღვინოში შეაქვთ მისი ავადმყოფობათა და ნაკლოვანებათა გამომწვევი ფაქტორები. ეს უნდა ახსოვდეთ მეღვინეთ.

საღი, გამძლე და ნაზი გემოს ღვინის დაყენებისათვის აუცილებელია საღი ყურძნის გადარჩევა სოფელში.

მეღვინეობაში სისუფთავე პირველი საქმეა და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. მარნის და სარდაფის ჰიგიენას დიდი მნიშვნელობა აქვს კარგი პროდუქციის მისაღებად და სწორედ ამაზე ძალიან ნაკლებ ფიქრობენ ჩვენში.

კახეთში გლეხის ვაზის მოსავალი წლის ბოლოსათვის 50 პროცენტით ავადმყოფია და უვარგისი. ძალიან ხშირად შეგხვდებათ ხოლმე კახურ ღვინოებში „ქვევრის გემო". ეს უკანასკნელი ლამის აუცილებელ ნაკლად შეიქნას გლეხურ ღვინოებისათვის. მიზეზი ამისა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ქვევრების უწესოდ შენახვა და გარეცხვაში უნდა ვეძიოთ. გოგირდის სიმჟავით, სოდით, ნაცრით, ცხელი წყლით კარგად გარეცხილი ქვევრი ღვინოს გემოს არ მისცემს. ისეთი ქვევრი, რომელიც კარგად დამუშავების შემდეგაც თავის „გემოს არ იშვის", უნდა გაუქმდეს, როგორც ღვინის ჭურჭელი, ასეთში ღვინო არასოდეს არ უნდა ჩაასხათ.

ღვინის ხარისხი დამოკიდებულია აგრეთვე წესიერ დუღილზე. საუკეთესო ტემპერატურად დუღილისათვის ითვლება 24-27 გრადუსი ცელსიისა, მხოლოდ სითბო არავითარ შემთხვევაში 35 გრადუსზე ზევით არ უნდა ავიდეს და 15-ზე დაბლა არ დაიწიოს.

ჩვენში მიღებულია მაჭრის დადუღება ღია ჭურჭელში („ღია დუღილი"), ამ შემთხვევაში აუცილებელია დღეში სამჯერ-ოთხჯერ „ქუდის ჩატეხვა", ე. ი. მაღლა ამოტივტივებულ ჭაჭის არევა, წინააღმდეგ შემთხვევაში ღვინო შეიძლება დასნეულდეს. თუ დუღილი ნორმალური არ არის: დაიგვიანა ანდა სულ გადააჭარბა (35 გრადუსზე მაღლა ავიდა ტემპერატურა), მაშინ მიღებულ უნდა იყოს ზომები ტკბილის გასაციებლად ან შესათბობად. თუ რა საშუალებები არსებობენ ამისათვის, მსურველი გაიგებს თავის უბნის ან საბჭოთა მამულების აგრონომებთან.

კახეთში როგორც წითელ, ისე თეთრ ღვინოს ჭაჭაზე აყენებენ და, სანამ გადაიღებენ, ღვინო ჭაჭაზე თვე და კიდევ მეტ ხანს იმყოფება. ჭაჭას აძლევენ მთელს და ზოგჯერ კი კიდევ მეტს, რადგან არ თვლიან იმ ტკბილის რაოდენობას, რომელიც სათათაროთ ან ჩურჩხელების გასავლებლად აიღება ხოლმე. ტკბილი დუღს თავისი ჭაჭაკლერტებიანათ, რადგან არც კლერტებს აცლიან. ამიტომ ღვინო გამოდის ძალიან შეღებილი, თეთრიც მიხაკის ფერისაა, გემოთი მწკლარტე, ტლანქი და ტანინიანი. სასიამოვნო კახურ ტიპის ღვინის მისაღებად კლერტები აუცილებლივ უნდა მოშორდეს მარცვლებს და სავსებით საკმარისია ნახევარი ჭაჭის მიცემა სადუღებლად, ე. ი. დაახლოებით თითო საპალნე ტკბილზე თითო გოდრის (კახური საპალნე 48 ვედროა). წითელი ღვინო უნდა გადაიღონ ჭაჭიდან 7-10 დღეში და არა უგვიანეს 12 დღისა დუღილის პირობების დამიხედვით, თეთრი კი—12-15 დღის განმავლობაში.

როგორც საერთო წესი, კახეთში ყურძნის დაწურვა მიღებულია ფეხით. ერთი რომ ეს ჰიგიენური არ არის, მეორეს მხრივ ბევრი მარცვალი დაუჭყლეტავი რჩება, რაც არ არის კარგი, განსაკუთრებით წითელი ღვინოებისათვის. ამ ბოლო წლებში შემოვიდა ხმარებაში ყურძნის საწურავები (საჭყლეტი, ფულოარი), მაგრამ კიდევ იშვიათია ეგრეპუარი-ფულოარები, რომელნიც მტევნებს კლერტსაც აცლიან და მარცვლებსაც ჭყლეტენ კიდევაც.

აქედან აშკარაა, რომ მეღვინეობაში მანქანიზაციას და მექანიზაციას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენში. ეს უფრო მოსახერხებელი იქნება მეღვინე-მევენახეთა გაერთიანებებისათვის: ამხანაგობების და კოლექტივებისათვის. ამ მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ მუშაობა და შევაკავშიროთ მევენახე მოსახლეობა მისი პროდუქციის გადამუშავების, საჭირო მანქანა-იარაღების შეძენის ირგვლივ და სხვა.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ძალიან ცოტა ღვინო მუშავდება ევროპიული წესით. დრო არის კახეთში თანდათანობით გლეხკაცობა შეეჩვიოს ღვინის რაციონალურად დაყენებას თანამედროვე მეღვინეობის ტეხნიკის და მეცნიერების მიხედვით.

ამ მხრივ სახელმწიფოს მიერ ნაბიჯები გადადგმულია: თელავში შენდება ევროპიული ღვინის სარდაფი 100.000 ვედროს ტევით და უახლოეს 5 წლის განმავლობაში აშენებული იქნება კიდევ რამოდენიმე.

მაგრამ, სანამ ეს სარდაფები ამოქმედდებიან, საჭიროა ხალხის მომზადება და სხვა პრაქტიკულ ზომების მიღება. მშრომელ მევენახე-მეღვინეთა მოსამზადებლად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გაფართოება მოკლევადიან მეღვინეობის კურსებისა, რომლებიც აქა-იქ ეწყობა და საბჭოთა მამულების მიერ გლეხის მოსავლის შესყიდვის გაძლიერება მისი ევროპიულად გადამუშავების მიზნით. ამისათვის საჭირო თანხები დროზე უნდა მიეცეთ მამულებს და ისეთი ფასები უნდა დაწესდეს, რომ ხელსაყრელი იყოს მევენახისთვის მოსავლის ყურძნად რეალიზაცია.

აგრონომი ე. კაკულია.

ქრონიკა

ახალგაზრდათა კომინტერნის დელეგაცია თბილისში

გუშინ დილით ახალგაზრდათა კომინტერნის დელეგატებმა დაათვალიერეს ზაჰესი, სადაც მათ დაჰყვეს 4 საათი. სადგურის აგების ისტორიის სადგურის დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ დელეგატებს განმარტებები მისცეს ადგილობრივმა მუშებმა.

დელეგატებმა თავისი შთაბეჭდილებები შეიტანეს სადგურის საისტორიო ჟურნალში.

შემდეგ დელეგატები გაემგზავრნენ მცხეთის სიძველეთა და ისტორიულ ნაშთთა დასათვალიერებლად.

გუშინ საღამოს დელეგაცია სრული შემადგენლობით დაესწრო კომკავშირის აქტივის საქალაქო კრებას.

დღეს დილით დელეგაცია გაემგზავრება ბათომში, სადაც ისინი დაჰყოფენ ორ დღეს, ხოლო შემდეგ ესტუმრებიან აფხაზეთს, საიდანაც დელეგატებს განზრახვა აქვთ კვლავ თბილისში დაბრუნდნენ.

ასი წლის თავი ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალებიდან

ალექსი ბახრუშინის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო თეატრალურმა მუზეუმმა, გრიბოედოვის გარდაცვალების შემდეგ ასი წლის შესრულების გამო, სთხოვა საქართველოს თეატრალურ მუზეუმს მიიღოს მონაწილეობა ა. ს. გრიბოედოვის ცხოვრებისა და შემოქმედების აღსანიშნავად მოსკოვში განზრახულ გამოფენაში იმ მასალით, რომელიც მოეპოვება საქართველოს თეატრალურ მუზეუმს გრიბოედოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ბრძოლა უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ

უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ტრამვაის დირექცია შეუდგა სპეციალური მოედნების მოწყობას მთავარ ქუჩებში, ტრამვაის ვაგონების გასაჩერებელ ადგილებზე. ამჟამად მოქალაქენი ტრამვაის ვაგონს ელოდებიან ან შუა ქუჩაში ან და ქუჩის ნაპირზე, რაც ხშირად იწვევს უბედურ შემთხვევას.

ტრამვაის გასაჩერებელ ადგილზე, ორივე მხრიდან, ტრამვაის დირექცია აწყობს ამაღლებულ მოედნებს თეთრი ქვით შემოვლებულს. ამ მოედნებზე მგზავრებს საშუალება ექნება დაუცადონ ვაგონებს. გარდა ამისა ამ მოედნების მოწყობის შემდეგ ავტომობილებისა და ეტლების მოძრაობა იწარმოებს შეუჩერებლად. დღემდე კი, სანამ ვაგონი იდგა, უნდა შეჩერებულიყო როგორც ეტლები, ფურგონები და სხ., ისე ავტომობილები, რაც იწვევდა მოძრაობის ერთგვარ შეფერხებას.

თბილისის აღმასკომში

◆ ცენტრალურ საქარხნო-საფაბრიკო სკოლის საჭიროებისათვის თბილისის აღმასკომმა გადასდო 5.185 მანეთი.

◆ ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება თბილისის აღმასკომის წარმოება-დაწესებულებებში ჩატარებული იქნება 1929 წლის 1 იანვრიდან.

◆ საჩივრის ყუთები. ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა ტრამვაის ვაგონებში დასდგას საჩივრის ყუთები, რომლებშიაც მოქალაქენი ჩაუშვებენ ცნობებს კონდუქტორის თუ ვატმანის უკანონო მოქმედების შესახებ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ მუშათა საზაფხულო კლუბები დაიხურა. ამ დღეებში გაიხსნება საზამთრო კლუბები.

◆ „ტამილა“ ამ დღეებში გამოვა ფ. დიუშენის რომანი „ტამილა“ თარგმანი—პოლიო აბრამიასი.

◆ განათლების მუშაკის სახლში დღეს საღამოს რვა საათზე მეცნიერების მუშაკთა სექცია გამართავს ლ. ტოლსტოის ხსოვნის საღამოს. მოხსენებებს წაიკითხავენ: პროფ. შ. ნუცუბიძე: „ტოლსტოის მსოფლმხედველობა“ (რუსულ ენაზე), და დოც. ს. დანელია: „ტოლსტოი“. შესვლა თავისუფალია.

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში

გრძელდება ასოციაციის წევრთა ხელ-ახალი აღრიცხვა. თბილისში მყოფი პროლეტარული მწერლები ტარდებიან სააღრიცხვო კამისიაში ამხ. სანდრო ეულთან (განათლების კომისარიატი) აღრიცხვის უკანასკნელი დრო 15 ოქტომბერია. ასოციაციის განყოფილებები გზავნიან ცენტრალურ გამგეობაში აღრიცხვის მასალებს არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

„პროლეტარული მწერლობა“

დაიბეჭდა და გამოვიდა „პროლეტარული მწერლობის“ მორიგი № 9 (სექტემბერი). ჟურნალში მოთავსებულია: 1) მოწინავე—„კიდევ სწავლისა, შემოქმედებისა და თვითკრიტიკის შესახებ“. კონსტანტინე ლორთქიფანიძე—„მუხის ტახტი“. ელიზბარ პოლუმორდვინოვი—„რკინის ძმები“. კალე ბობოხიძე—„ბოტანიკურ ბაღში“. ფრიდონ ნაროუშვილი—„ყოფა ცხოვრება საბჭოთა სოფელში“ (ლექსი მოერე.) ს. ჯავშანიძე—„ტრაქტორი“ შ. ნავთლუღელი—„ბაქოს მიდამო“. შ. მანაგაძე—„მუშათა ახალგაზრდობის თეატრის ამოცანები. შალვა რადიანი—„კ. ფეოდოსიშვილი“. ბიბლიოგრაფია: ვ. ლუარსამიძე—„პროლეტარული მწერლობა“. ა. სულავა—„ქართული მწერლობა“ № 6—7.

ახალი ქარხნების ამუშავება

(ახალშენებათა სამმართველოს ცნობები)

— 29 სექტემბერს ამუშავებული იქნა და ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს გადაეცა საექსპლოატაციოთ ზუგდიდში ახლად აგებული კაკლის სარჩევი ქარხანა. ქარხანა მოწყობილია უკანასკნელი კონსტრუქციის მანქანებით და მისი აგება დაჯდა 29.000 მანეთი. ქარხანაში ამჟამად მუშაობს 30 კაცი.

— ყოველწლიურად ქარხანამ უნდა გადაამუშავოს 100.000 ფუთი თხილი. ქარხანა გადაამუშავებს უმთავრესად საექსპორტო თხილს.

— მეორე, ხილის სახმობი ქარხანა ამუშავებულ იქნა სოფ. შინდისში (გორ. მ.) 1-ლ ოქტომბერს. ეს ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 10.000 ფუთ დამზადებულ ხმელ ხილს.

7 ნოემბერს ამუშავებული იქნება ქუთაისში ახლად აგებული აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, სადაც ამჟამად სწარმოებს 144 ძაფსახვევი გობის დადგმა.

— თბილისის მაუდის ფაბრიკის სამშენებლო სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გაზაფხულისათვის მუშაობას დაიწყებს ფაბრიკის მატყლის სარეცხი განყოფილება, სადაც იწარმოებს საქართველოში შეკრებილი მატყლის გარეცხვა-დახარისხება. ზაფხულზე ამუშავდება ძაფების ამომხვევი ცეხი, ხოლო შემოდგომისათვის მუშაობას დაიწყებს საქსოვი განყოფილება.

შემთხვევები

დაჭრა

ლარის ქუჩაზე უცნობმა პირმა, რომელსაც მეტ სახელად ეძახიან „კარპოშკა“-ს, დანით დასჭრა ალექსანდრე კუზმინი და მიიმალა. დაჭრილი გადაიყვანეს საავადმყოფოში;— ორ ოქტომბერს ნინა ჩიხლაძემ დანით დასჭრა ალათი მიხეილის ასული ქავჟაია, რომელიც გადაიყვანეს პირველ საავადმყოფოში. ჩიხლაძე შეიპყრეს.

ცეცხლი

2 ოქტომბერს მუშკოოპის სამმართველოს კიბის ქვეშ შენახულ ქაღალდებს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალების საშუალებით.

ჯიბგირობა

ეფემია კვიციანაძეს ცენტრალურ ამბულატორიაში მოპარეს 70 მანეთი;—იოსებ თუშიშვილს კოოპერაცია „მეომარში“ ამოართვეს 25 მ. და სხვადასხვა საბუთები;—რუსია ნასიბოვს საფეიქრო სინდიკატში რიგში დგომის დროს ამოაცალეს 50 მ. ჯიბგირი მცირეწლოვანი მიკირტიჩ არუთინიანი შეიპყრეს.

ქურდობა

2 ოქტომბერს მორგებულ გასაღების საშუალებით გაქურდეს შამილ მორსესოვის ბინა (დაღესტანის ქ. № 3);—მარტან შეტნიკოვას საათების სახელოსნოდან (კირკის ქ. № 32) უცნობმა პირმა მოიპარა საათი;—სოფიო სეგალის საათების მაღაზიიდან (ლენინის ქუჩა) მოიპარეს ოქროს საათი;—ბაგრატ მიკირტუმოვის ბინიდან (საბურთის შესახ. № 2) მოპარეს 200 მ. ნივთები.

სპეციალისტების აღრიცხვა

საქართველოს ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად შრომის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა ჩატარებული იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე კვალიფიციურ სპეცალისტების, (ინჟენრები, ტეხნიკოსები, აგრონომები, მიწათმომწყობნი და სხ.) პერსონალური აღრიცხვა.

სახალხო მეურნეობის კვალიფიციურ სპეციალისტების აღრიცხვა ჩატარებულ უნდა იქნეს შემდეგ ვადებში: 1) საამშენებლო მრეწველობის, ტრანსპორტის და სახალხო კავშირის (ფოსტა-ტელეგრაფი ტელეფონი-რადიო) სპეციალისტების აღრიცხვა მოხდება 10—15 ოქტომბრამდე. 2) ელექტრო-მექანიკურ და მექანიკურ წარმოებათა სპეციალისტების—16 და 17 ოქტომბერს. 3) სამთო-სალითონო დარგის სპეციალისტების—18, 19, 20 და 21 ოქტომბერს, 4) საფეიქრო მრეწველობის სპეციალისტების 22 და 23 ოქტომბერს, 5) ქიმიური მრეწველობის სპეციალისტების—24 და 25 ოქტომბერს, 6) სასოფლო მეურნეობის სპეციალისტების—26—31 ოქტომბრამდე. ყველა დანარჩენ სპეცალისტებისათვის და იმ პირთათვის, რომელთაც საშუალება არ ექნებათ აღრიცხვაზე გამოცხადდნენ საპატიო მიზეზის გამო (ავადმყოფობა, მივლინება და სხ.) აღრიცხვის ვადათ დაწესებულია 1-დან 10 ნოემბრამდე.

აღრიცხვაში უნდა გატარდეს ყველა მოქალაქე (როგორც მამაკაცები, ისე ქალები), რომელთაც დამთავრებული აქვთ მეფის დროინდელი ან უცხოეთის სატეხნიკო ან სასოფლო-სამეურნეო საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები და აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სასოფლო-სამეურნეო და ტეხნიკური ფაკულტეტები.

აღრიცხვიდან განთავისუფლებულნი არიან წითელ არმიაში, ან მის დაწესებულება-ორგანიზაციებში მყოფი მოქალაქენი. და ის მოქალაქენი, რომლებიც მოკლებულნი არიან შრომის უნარს. აღრიცხვა არ ეხება აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებს.

ის პირნი, რომელთაც ეხებათ აღრიცხვა, დაწესებულ ვადებში უნდა გამოცხადდენ საქ. შრომის სახალხო კომისარიატში საჭირო საბუთებით.

მაზრებში მცხოვრებმა პირებმა, რომელთაც არ ექნებათ საშუალება პირადათ გამოცხადდნენ აღრიცხვაზე; საჭირო საბუთები ან მათი ასლები უნდა გადმოგზავნონ შრომის კომისარიატში ფოსტით.

სააღრიცხვო ბარათები (ფ. № 1—ა) შევსებული უნდა იქნეს წინასწარ და წარმოდგენილი აღრიცხვის დროს. სააღრიცხვო ბარათების მიღება შეიძლება თბილისში, შრომის სახ. კომისარიატში, ან რაიონულ შრომის ინსპექციებში, აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში—შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებში. სამაზრო და დანარჩენ ქალაქებში—შრომის ინსპექციის კამერებში, ხოლო სადაც ასეთები არ არსებობს, ადგილობრივ დამზღვევ ორგანოებში.

აღრიცხვაზე ასაყვანი მოქალაქენი აღნიშნულ ვადებში განთავისუფლებულნი უნდა იქნენ სამსახურიდან.

აღრიცხვაზე აყვანილთ მიეცემათ სააღრიცხვო ბარათები რომლებიც უნდა წარუდგინონ წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციას.

სასამართლო

ხულიგნების გასამართლება

თბილისის სამაზრო სასამართლომ დაამთავრა სამი ხულიგანის: ვახტანგ გელაძის (17 წ.), ავეტიკ ავდოევის (16 წ.), და შალვა გოგოშვილის (17 წლის) საქმის გარჩევა.

საქმის შინაარსი ასეთია.

ამა წლის 25 ივნისს ღამით მეცხრე სამილიციო რაიონის ფარგლებში რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა ზემოდ დასახელებულმა პირებმა დაინახეს ერთად მსხდომი ქალი და კაცი.

ხულიგნები, რომლებიც მთვრალი იყვნენ, გარს შემოერტყენ ქალ-ვაჟს.

ერთმა თავდამსხმელთაგანმა გაიყვანა მოშორებით ქალთან მოსაუბრე მოქ. მიხ. ახალაძე და ხანჯლით დაადგა თავზე.

დანარჩენები, რომლებიც აგრეთვე დანებით იყვნენ შეიარაღებულნი, მისცვივდნენ ქალს და ძალდატანებით უნდოდათ მისი გაუპატიურება.

ქალის სასტიკი წინააღმდეგობის გამო თავდამსხმელებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ მოქ. ახალაძე ცოტა ხნის შემდეგ ხელიდან გაუსხლტა თავზე დაყენებულ „მცველს“ და გაიქცა მილიციის დასაძახებლად.

ხულიგნებმა იგრძნეს საფრთხის მოახლოება და გაიქცნენ.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა შეიპყრეს თუმანოვის ქუჩაზე.

ერთი მათგანი, სახელდობრ ვახტანგ გელაძე „სტაჟიანი“ ხულიგანია. ორჯერ არის გასამართლებული ხულიგნობისათვის.

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავედ და განაცხადეს, რომ მათ არც კი უფიქრიათ ქალის გაუპატიურება.

სასამართლომ სამივე ბრალდებულს მიუსაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—პ. ბურკაძე, სახალხო მსაჯულები: ბუჯიაშვილი, რუსიშვილი, არჩილ ჩუბინაშვილი. მდივანი თ. მერკვილაძე.

—:—

მოქ. მამედაშვილის საქმე

მოქ. მამედ მამედის ძე მამედაშვილი ა. წ. 29 აპრილს თავის სახლში ბრუნდებოდა და როცა მიუახლოვდა ვლადიმირის ქუჩას (ნაძალადევში) დაინახა ასეთი სურათი:

მის წინ მიმავალ მოქალაქეს წინ გადაუდგა ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. ერთმა მათგანმა მოქალაქეს გამოსდო ფეხი და ქუჩაზე გაშხლართა. ახალგაზრდები სიცილ-ხარხარით დაცურებდნენ წაქცეულ მოქალაქეს, რომელსაც ადგომის საშუალებას არ აძლევდნენ.

ამ დროს მოქალაქე მამედაშვილი მიუახლოვდა მათ და გაჰკიცხა მათი ხულიგნური საქციელი. ხულიგნებმა არ დაზოგეს არც მამედაშვილი, მასაც გამოჰკრეს ფეხი და ცხვირით გაუშვეს მიწაზე. წაქცეულ მამედაშვილს ხულიგნებმა დაუწყეს ცემა.

გამვლელმა მოქალაქეებმა შენიშნეს ეს ამბავი, მივარდნენ საშველად და ფეხზე წამოაყენეს ნაცემი მოქ. მამედაშვილი.

აღელვებულმა მამედაშვილმა, როგორც კი ფეხი დაიდგა, იძრო ხანჯალი და ერთ-ერთ თავდამსხმელს კონსტანტინე პანჩენკოს მუცელში ჩაარტყა. მძიმედ დაჭრილი პანჩენკო წაიყვანეს საავადმყოფოში. მამედაშვილი დაპატიმრებულ იქმა.

მიუხედავად ჭრილობის სირთულისა პანჩენკო სიკვდილს გადარჩა.

მამედ მამედაშვილის საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით.

მამედაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბოროტმოქმედებას არ მოჰყოლია მძიმე შედეგი, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაული ჩადენილი არის პირველად, რომ მისი თავისუფლად დატოვება არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის და სასჯელი შეუცვალა პირობით ორი წლის ვადით.

—:—

სასტუმრო „ევროპა“-ს ადმინისტრაცია პასუხისგებაშია მიცემული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის საგამომძიებლო ორგანოებს გადაეცა საქმე, რომელიც აღძრულია სასტუმრო „ევროპა“-ს ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

პასუხისგებაში არიან მიცემული სასტუმროს გამგე პოპოვი, ბუღალტერი ნიკოლოზ ვართანოვი და სხვა თანამშრომლები.

სასტუმროში ადგილი ჰქონდა საგრძნობ თანხის გაფლანგვას და მთელ რიგ სხვა ბოროტმოქმედებას.

სასტუმროს გამგე პოპოვი და ბუღალტერი ვართანოვი დაპატიმრებული არიან.

სწარმოებს საქმის გამოძიება.

—:—

პავლე რუსაძის საქმე უზენაეს სასამართლოში

უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულომ განიხილა პავლე ლუკასძე რუსაძის საჩივარი თბილისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე.

პავლე რუსაძეს თბილისის აღმასკომის ადმინგანში სამსახურის დროს 1391 მანეთის გაფლანგვისათვის თბილისის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ ა. წ. 16 ივლისს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ექვსი თვით.

უზენაესმა სასამართლომ კანონიერად სცნო მეორე უბნის სასამართლოს განაჩენი და რუსაძის საჩივარი დასტოვა უშედეგოდ.

ვერ.

ნარევი

საჰაერო სადგური

ტრავემიუდეში (გერმანია) გაიხსნა დიდი საჰაერო სადგური იმ აეროპლანებისათვის, რომლებიც ევროპიდან ამერიკაში მიფრინავენ ან ამერიკიდან ევროპაში ბრუნდებიან.

ფოტოგრამები

ნიუ-იორკის საფოსტო-სატელეგრაფო კანტორა შეუდგა სხვადასხვა სურათების გადაცემას შორ მანძილზე. სურათების გადაცემის ფასი ცოტათი სჭარბობს დეპეშების გადაცემის ფასს.

ბარონ დომელას გადადგომა

გერმანიაში მიმდევარი აღმოუჩნდა ბარონ დომელას, რომელიც თავის თავს ყოფ. კრონპრინცის უფროს შვილად ასაღებდა. ასე მაგალითად, ერთმა სავცლებით მოვაჭრემ ბრემენში, ვინმე ბერენსმა, თავისი თავი ყოფ. იმპერატორის ადიუტანტად გამოაცხადა, შესაფერად მორთო, გაიკეთა ჩინ-მენდლები და ფოგტლანდელ მრეწველებისაგან ვითომდა ვილჰელმის საჭიროებისათვის „შეიძინა“ ერთ მილიონამდე სავცლები. დიდი ტიტულით და ჩინ-ორდენებით დაბრმავებულმა მრეწველებმა საქონელი ნისიად მისცეს „ვილჰელმის ადიუტანტს“. როგორი იყო მათი გაოცება, როცა მრეწველებმა გაიგეს, რომ „ვილჰელმისათვის გაგზავნილი“ სავცლები ბერლინში იყიდება, ბერენსი დააპატიმრეს.

ჰაერში გამოცემული პირველი გაზეთი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჰენრი ფორდმა მოახდინა მის ქარხნებში დამზადებულ ათ ადგილიანი აეროპლანის გამოცდა. აეროპლანი დიდი ზომისაა და გამოსადეგია ხანგრძლივი მოგზაურობისათვის. აეროპლანზე არის სამზარეულო, რადიო-სადგური, სასადილო, სამკითხველო დას ხვ. ამ აეროპლანის გამოცდის დროს მოახდინეს ავიაციის ისტორიაში პირველი ცდა გაზეთის გამოშვებისა ჰაერში. გაზეთის ტექსტი მგზავრებმა შეადგინეს ჰაერში, დაბეჭდეს მანქანაზე და გაამრავლეს მიმეოგრაფზე. „საჰაერო გაზეთში“, სხვათა შორის, მოთავსებული იყო უკანასკნელ წუთში რადიოთი მიღებული ცნობები.

რადიო-გადაცემა

დღეს, 4 ოქტომბერს, თბილისის ოთხ კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემულ იქნება შემდეგი:

ახალი ამბები მეცნიერებასა და ტეხნიკაში (ქართულ ენაზე), მოხსენება „ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ“ (ქართულ ენაზე), მოხსენება „კონტრაქტაციის მნიშვნელობა“ (ქართულ ენაზე), პოლიტიკური მიმოხილვა, (თათრულ ენაზე), მუსიკალური ანტრაქტი, რადიო-გაზეთი (თათრულ ენაზე), რადიო-გაზეთი (რუსულ ენაზე), რადიოს მეგობართა საზოგადოების ტეხნიკური კონსულტაცია, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა (ქართულ და რუსულ ენებზე), ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია (ქართულ და რუსულ ენებზე), კონცერტი სტუდიიდან.

რკინის გზებზე

ნავთის პროდუქტების გადაქაჩვა

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, მიმდინარე წლისათვის ამიერ-კავკ. რკინის გზებს დაუკვეთა გადასაზიდათ 56 მილიონი ფუთი ნავთი.

სტუდენტი - პრაქტიკანტები

მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობას სტუდენტ-პრაქტიკანტებისათვის მიუცია 29.000 მანეთი.

ახალი ორთქლმავლები

გზათა სახალხო კომისარიატის ამიერ-კავკ. რკინის გზები, სამხრეთის რკინის გზებიდან ახლო მომავალში მიიღებენ 12 მძლავრ („ე“ სერიის) ორთქლმავლებს.

თბილისის მომარაგება რძით

„სოფლის კავშირ“-მა რძის შემოზიდვა თბილისში დაიწყო ამიერ-კავკ. რკ. გზების აღმოსავლეთ უბნის სადგ. კარიიზიდან.

„სოფლის კავშირი“-ს თხოვნით რძის გადმოზიდვა იწარმოებს სამგზავრო მატარებლებით.

ჭაობების დაშრობა

ევლახის რაიონში ჭაობების დასაშრობათ ამიერ-კავკ. გზების გამგეობამ გაიღო 20.000 მან.

მატარებელი იგვიანებს

ორთქლმავლის გაფუჭების გამო სამგზ. მატ. № 4 იგვიანებს გზაში 1 საათითა და 25 წუთით.

იურიდიული დახმარება

არჩილ ლომიძეს

კითხვა

სახლის პატრონმა უჩივლა ერთ-ერთ მდგმურს და დამასახელა მოწმეთ. ამ დავამ მომაცდინა სამუშაოდან სრული 9 დღე. გაცდენილი დღეების ხელფასი ჩემი სამსახურის ადმინისტრაციამ დამიქვითა ჯამაგირიდან.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას მეკუთვნის თუ არა გაცდენილი დღეებში ხელფასი და თუ მეკუთვნის ვისგან, ადმინისტრაციისაგან თუ სახლის პატრონისაგან.

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსის მე-38 მუხ. თანახმად თქვენი სამსახურის ადმინისტრაციამ უნდა მოგცესთ ხელფასი მთელი იმ დროის, რაც თქვენ გააცდინეთ სასამართლოს დაბარებით მოწმის მოვალეობის შესასრულებლად.

ისაკი სტეფანეს ძე ცანავას (ზუგდიდი)

კითხვა:

3 გლეხს, სოფ. მეურნეს; გვაქვს თვითეულს ცალ-ცალკე, მიწა-ადგილი სხვადასხვა ადგილას: ერთს—ს. ზუგდიდში, მეორეს —წალენჯიხაში, ხოლო მესამეს—ს. ობუჯში, (ზუგდიდის მაზრა) ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გვინდა გადაუცვალოთ ერთი მეორეს ჩვენი მიწა ადგილები.

გთხოვთ გვიპასუხოთ გვაქვს თუ არა ამის უფლება და, თუ გვაქვს, როგორ მოვიქცეთ?

პასუხი:

მიწის გაცვლა-გამოცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მიწის კოდექსის მე-118 მუხლის 1 შენიშვნით გათვალისწინებულ პირობებში, ამიტომ თქვენ პირადად არ შეგიძლიათ მოახდინოთ მიწების გაცვლა-გამოცვლა. შეგიძლიათ მხოლოდ მიმართოთ მიწათმოქმედების კომისარიატის სათანადო ორგანოს თხოვნით, რათა მიწათმოწყობის წესით, ასეთი გაცვლა-გამოცვლა გატარებულ იქნეს ცხოვრებაში.

ა. გუგუშიშვილს

კითხვა:

ვმუშაობდი მაზრის მილიციის ს. სამ. თანაშემწედ. ვიყავი პასუხისგებაში მიცემული და მოხსნილი სამსახურიდან. ამ საქმეზე სავსებით გავმართლდი. გაცდენილი მაქვს 7 ნახ. თვე. მაქვს თუ არა უფლება თანამდებობაზე დაბრუნებისა და მეკუთვნის თუ არა განაცდენი 7 ნახ. თვის ხელფასი, და თუ მაქვს, როგორ მოვიქცე?

პასუხი:

თუ თქვენ იყავით დათხოვნილი სამსახურიდან თანახმად „მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის“ დებულების მე-59 მუხლისა, თქვენ არ შეგიძლიათ აღდგენილ იქნეთ სამსახურში და მიიღოთ დათხოვნის შემდეგ განაცდენი დროის ხელფასი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 4 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ალეკო ჯანგაძე, პავლე ელბაქიძე, მარიამ არაქელოვა, ალექსანდრე ნონიაშვილი, ერასტი ბოლქვაძე, ალექსი ბულანოვი, გრიგოლ სირაძე, კალინა პროლეტარსკაია.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ილია გოციევი, დავით გიგაური, ვალიკო მამულაძე, იაკობ ომეხიანი, ივანე ხუნცი, გიორგი ათაბეგოვი, ელენე კორგანოვა, ლიუბა დანდუროვა, ელენე დუმბაძე, ანნა ბახჩიევა, ბარბალე ბეგიაშვილი, გიორგი ბიბილაშვილი, ვლადიმერ ღოლიძე, სერგო მჭედლიშვილი, ალექსანდრე ჯუჯუნაძე, მიხეილ სოსიანი.

შავ მუშათა სექციიდან: ვასილ მეგრელიშვილი, სტეფანე აირაპეტოვი, ილია ნატრაძე, ლუკასი გიორგაძე, სოლომონ ხუბუევი, რაჟდენ ზედგენიშვილი.

ახალგაზრდათა სექციიდან: სარგის სოლოლაშვილი, მიხეილ ბაშკოვი, ბიქტორ გავაშელი, გიორგი რობაქიძე, მიხეილ ზაქარაძე, გიორგი ელიზბარიანცი.

მედსექციიდან: გალაქტიონ ხუჭუა.

რკ. გზელთა სექციიდან: დავით გეგია, ბიქტორ აბაზაძე, აბდია ფერაძე, ალექსი ბაბილოვი, გიორგი ფუხაევი, თეოფილე კაკაბაძე, მარიამ მარჯანიშვილი, ნიკოლოზ გეტმანი, ივანე ჭელიძე, სერგო მერაბიშვილი, სპირიდონ ბერიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 4 ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე აგიტპროპმუშაობის ცენტრ. კაბინეტში (შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან) შესდგება **საინსტრუქციო თათბირი** იმ ამხანაგების, რომლებიც რაიკომების მიერ გაწვეულნი არიან უჯრედებში ამხ. ბუხარინის მოხსენების —**„საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნის ამოცანები“** — დასამუშავებლად. მომხსენებელი ამხ. ბედია.

—:—

საქართველოს კომპარტიის ცეკას ქალთა შორის მომუშავე განყოფილება სთხოვს ამხ. ვ. იმედაძეს და თამარა დავთიანს, დღეს 4 ოქტომბერს, დილის ათ საათზე გამოცხადდნენ ზემოხსენებულ განყოფილებაში.

—:—

დღეს, 4 ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში დანიშნულია თათბირი, რომელზედაც მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: მიქაძე, გოგინეიშვილი (სახკინმრეწვი), მეგრელიძე, დიასამიძე, ბედია, ბუჯიაშვილი; თოხაძე და რატიანი.

—:—

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს დილის ათ საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილებაში შესდგება თათბირი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და მომხმარებელ კოოპერაციის სოციალურ შემადგენლობის გამოკვლევის საკითხის გარშემო.

ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ნაფეტვარიძე (სოფლის კავშირი), რუხაძე (ც. ს. სამმართველო), მაისურაძე (ცეკავშირის საორგ. განყ.), კალატოზოვი, (საქ. სას. სამ. ბანკი), შაგირაძე (ს. კ. პ. (ბ) ტ. კ.) საქ. მუშგლეხინის წარმომადგენელი.

—:—

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნართა სახელობის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 4 ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე, რაიკომის ბინაზე (მეორე სართული) მოწვეულია 26 კომუნართა სახელობის რაიკომის **უჯრედთა ბიუროების კონფერენცია**. დღის წესრიგში სდგას საკითხი უჯრედთა ბიუროების გადარჩევის შესახებ. კონფერენციაზე მოწვეულია აგრეთვე რაიკომის ყველა წევრები და კანდიდატები, უჯრედთა კომისიების თავმჯდომარეები უჯრედების სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეები და ჯარის ნაწილებზე მიმაგრებულთა წარმომადგენლები. დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ლენ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 4 ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება აქტივის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც დასწრება ევალება: რაიკომის და სარევიზიო კომისიის ყველა წევრებს, უჯრედების მდივნებს და ბიუროს წევრებს.

—:—

დღეს, საღამოს ხუთ საათზე შესდგება სახ. უნივ. პოლიტ. ფაკულტ. კომკავშირის უჯრედის დახურული სხდომა.

—:—

სახ. უნივ. პარტბიუროკოლექტივი დღეს, საღამოს ხუთ საათზე ბიუროკოლექტივში იწვევს კოლექტივის სარევიზიო კომისიის წევრებს: ამხ. მაკარი ჯაშს, გალაქტიონ ცინცაძეს, გიორგი გვარჯალაძეს; და ეკატერინე გოგუაძეს.

—:—

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება განმეორებით წინადადებას აძლევს ამხ. ზამთარაძეს და თუმანოვს (ამ.-კავკ. ხორცით ვაჭრობა), დღეს, 4 ოქტომბერს, დილის ათ საათზე გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. თარხანოვთან.

—:—

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება განმეორებით სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. თარხანოვთან. ვასილ გიორგის ძე ფირცხალაიშვილი; ანნა სერგოს ასული სკიბინი, ზაქრო ივანეს ძე სიხარულიძე; ნიკოლოზ სტეფანეს ძე სევერიუხინი, მარიამ ივანეს ასული სივიცკაია, ვართან ალექსანდრეს ძე სარქისიანცი, მიხეილ სარქისის ძე ოგანეზოვი, სათენიკ სტეფანეს ასული ოკოუჟიანი, ვარლამ თომას ძე ოსიძე, ირაკლი გიორგის ძე ოგანეზოვი, ბაგრატ მიხეილის ძე ოსეპიანი, მიხეილ გიორგის ძე ინასარიძე; სურანა სარქისის ასული ისაევა, მისაკ ავეტისის ძე ისკანდარიანი, ტიმოთე ივანეს ძე იგნატოვი, ანდრო იესეს ძე თიკანაძე. გრიგორი სოლომონის ძე თათარიშვილი; არტო ივანეს ძე ტაპორკიანი, სიმონ არეფის ძე ტატარკინი, ვასილ სარქისის ძე თანდილოვი; ბარსეგ ანდრონის ძე ნაშიანცი, როსტომ ივანეს ძე ფიცხელაური, არუთინ მირზას ძე პოლოსოვი; მოსე ივანეს ძე რეხვიაშვილი, არამ მიკირტიჩის ძე გრიგორიანი; მიხეილ ნიკოლოზის ძე რაზმაძე, ივანე ნიკოლოზის ძე როგოჟნიკოვი; ალექსანდრე ივანეს ძე როდიმოვი; კონსტანტინე კარპეზის ძე ნოჟენკო, ალექსანდრე დავითის ძე ნარიმანაშვილი; ევდოკია ანტონის ასული ნიკიფოროვა, ლეონ ივანეს ძე ნაბიევი, კარაპეტ მელკონის ძე ნაზაროვი, ბარბალე გიორგის ასული მაღრაძე, გიორგი ვასილის ძე ნაცვალოვი, გრიგორი ნიკოლოზის ძე სილანტიევი, გეგეურ კარაპეტის ძე სარქისოვი გრიგოლ ანტონის ძე კოლხიდაშვილი; ანნა ივანეს ასული კვაშლაძე, ვლადიმერ ივანეს ძე იუნანოვა; ბარბალე სიმონის ასული იაჩინკოვა, ვასილ კონსტანტინეს ძე ერემიანცი, ლიუბა ნიკიფორეს ასული შევჩენკო, იონა ბათლომის ძე შურღაია; ნიკოლოზ ივანეს ძე შაპოშნიკოვი, მარო გიორგის ასული შიოშვილი, ივანე ფილიპეს ძე პეტროვი; პეტრე ადამის ძე პუცე კონსტანტინე ივანეს ძე კრაპიშვილი, ვასილ იაგორის ძე კერვალიშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კეციევი, ივანე ილიას ძე კოლუაშვილი; შალვა გიორგის ძე კოტორაშვილი, გიორგი პავლეს ძე კაზახაშვილი, გიორგი დიმიტრის ძე კიხანაშვილი; ნიკოლოზ მიხეილის ძე კოკოშვილი; ეკატერინე ათანასეს ასული კვარნიკოვა, რუბენ კირილეს ძე კბილაძე; გიორგი ალექსანდრეს ძე კოტოიანი, ივანე ბალდასარის ძე კარაპეტოვი, კარაპეტ მარტინის ძე კარაგოზიანი, ვართან არაქელის ძე კოჩანოვი, ლუბა ივანეს ასული კოსუპოვა, ემელიანე ივანეს ძე კლიშენკო, ნიკოლოზ ვასილის ძე კოზლოვი, პროკოფი სილბისტროსძე კოპლატაძე; ნინა მოსეს ასული კალანდაძე, გრიგოლ ივანეს ძე კრავჩენკო, ფლორა ივანეს ასული კოვალევა; ვასილ მოსეს ძე კუდინოვი, გრიგორ გიორგის ძე კუპრაძე, ფრანჩესკა მათეს ასული კვაპიში, მარტიროს აბრამის ძე კახრამანოვი, ვასილ პავლეს ძე კაზაკიშვილი; ალექსანდრე ივანეს ძე კაზუმოვა, ალექსანდრე ვლასისძე კრავჩენკო; ოგან არუთინის ძე სარქისოვი; გიორგი იოსების ძე სამარდაშვილი, გრიგოლ ვასილს ძე საბონაშვილი, მარკოზ გეურქის ძე სარქისოვი, დანიელა ნანოს ძე სერშენკო, კარაპეტ სტეფანეს ძე საფარიანცი, ანასტასია თედორეს ასული კაპილოვა.

ის ამხანაგები, რომლებიც თბილისში არ იმყოფებიან, არ უნდა ჩამოვიდნენ. სამუშაოს და საცხოვრებელი ადგილის მისამართი წერილობით აცნობონ თბილისის კომიტეტს სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებას.

ღრმათ დამწუხრებული შვილები—შალვა, კონდრატი, კოლია, საშა, მიშა, მართა და ლუბა, რძლები—ნადია და ლიდა, შვილიშვილები—შიო, ვაჟა და თალიკო გოგუები, სიძეები—კრისტეფორე დობორჯგინიძე და კოწია გოგიჩაიშვილი, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 3 ოქტომბერს მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ელისე ვახუშტის ძე გოგუა

დასაფლავება 5 ოქტომბერს, დღის 4 საათზე სოფ. ჯუმათში (გურია)

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი	რიჩარდ ტოლმეჯი სურათში მე დეტექტივი ვარ
არფასტოლ სოლეი პალასი	მხატვრული საუკეთესო სურათი „მეჟრაბპომ-რუს“-ისა ადამიანი იშვა დადგმა რეჟ. ჟელიაბუჟსკის მთავარ როლებში: მოსკვინი, მასალიტინოვა, ტიხომიროვა
მინიონი	კარმენ ბონი საუკეთესო სურათში ნამდვილი მამაკაცი
აპოლო	მეღი ხრისტიანსი მხატვრულ სურათში ლურჯი სისხლი
დარბაზი	მეი მურეი მხატვრულ სურათში სენატორის კარიერა
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელად თბილისში პოეტი და მეფე

ანონსი: მალე კაზაკები ლ. ნ. ტოლსტოის მოთხ. მიხედ. 0—4

მალე

განსაკუთრებული ფილმი

2 დღე

ნ 1660

საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს ფინსახკომი, დამატებით განცხადებისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „კომუნისტ“-ის 224 №-ში, აცხადებს ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ, რომლებიც იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთთა № 3 განრიგების მიხედვით, რომ თანახმად სსრკ სახკომსაბჭოს ა. წ. 13 სექტემბრის დადგენილებისა 1928—29 წელში ისინი იხდიან გადასახადს შემდეგ ვადებში: ა) 1928 წ. 15 ოქტომბერს და 15 დეკემბერს უნდა შეტანილი იქნეს თანაბარ ნაწილებათ ავანსები 1928—29 წლის გადასახადის განაკვეთის ანგარიშში 1927—28 წლის განაკვეთის 50 პროცენტის რაოდენობით; 1929 წლის 15 აპრილს და 15 მაისს უნდა შეტანილი იქნეს თანაბარ ნაწილებათ განსხვავება 1928—29 წლის გამოანგარიშებულ გადასახადის განაკვეთის და გადახდილ ავანსების რაოდენობის შორის. 1929 წლის 15 აგვისტოს უნდა შეტანილ იქნეს ავანსი 1929—30 წლის გადასახადის განაკვეთის ანგარიშში 1928—29 წლის გადასახადის განაკვეთის 25 პროც. რაოდენობით.

ყველა ის პირები, რომელთაც დახურეს წარმოებები, აგრეთვე შესწყვიტეს საქმიანობა და რეწვა 1927—28 წლის განმავლობაში, ამ რიცხვში ისინიც, რომელთაც არ განუახლებიათ წარმოებები 1928 წლის პირველ ოქტომბრიდან, მოვალენი არიან პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის მოთხოვნილებისთანავე შეიტანონ დეკლარაციები წარმოების დახურვამდე ან საქმიანობის და რეწვის შეწყვეტის დღემდე ამა წელში მიღებულ შემოსავლის შესახებ ერთი კვირის ვადაში დღიდან ხსენებულ მოთხოვნის მიღებისა, ამასთანავე გამოანგარიშებულ გადასახადის მთელი განაკვეთი უნდა შეტანილი იქნეს მათ მიერ ერთდროულად ორი კვირის განმავლობაში დღიდან უწყების ჩაბარებისა.

ის პირები, კი, რომელთაც გაუხსნიათ წარმოებანი 1927—28 წელში, მოვალენი არიან ინსპექტორის მოთხოვნილებისთანავე შეიტანონ დეკლარაციები 1927—28 წელში მათ განკარგულებაში მყოფ ყველა წყაროებიდან მიღებულ შემოსავლის შესახებ ინსპექტორის მიერ დანიშნულ ვადაში, ამასთანავე გამოანგარიშებული ავანსი უნდა შეტანილი იქნეს მათ მიერ: ავანსის პირველი ნახევარი ორი კვირის ვადაში დღიდან უწყების ჩაბარებისა და მეორე ნახევარი არა უგვიანეს 1928 წლის 15 დეკემბრისა, საბოლოო ანგარიში კი იქნება გასწორებული სხვა გადამხდელებთან საერთო ვადებში.

საქართველოს ფინსახკომი მგალობლიშვილი.

გადასახ. სამმართ. უფროსის მაგიერ ჩიქოვანი.

ნ. 1658

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის უწყებაში მყოფი ადმინისტრატიულ ტეხნიკის სახელმწიფო კურსები

საბუღალტრო სექტორი

ქართული და რუსული განყოფილებები

ქართული განყოფილება

2 წლიანი კურსი: 1-ლი წელი ანგარიშწარ. დარგთა ზოგადი კურსი; 2-რე „ უმაღლეს ხასიათის სპეციალური კურსი

ანგარიშწარმოების ცალკე დარგების (სავაჭრო კოოპერატიულ, საწარმოო და სხვ.), ანგარიშწარმოების საბარათო სისტემები, საანგარიშო მუშაობის ორგანიზაციის პრინციპები.

დაწვრილებით ცნობების მიღება ტ აგრეთვე მსმენელთა ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურად საღ. 7—9 საათამდე „ა. კ. ორგმშენის“ შენობაში. აღმას,ომის ქუჩა № 2 (ყ. სოლოლაკის ქ.) ნ. 1611 6—5

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ტელ. 14—23.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო საწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი

კ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 10

სასწავლო სეზონისათვის

თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტი

მზათ არის მოაწყოს ფიზიკისა, ბუნებისმეტყველებისა და სხვ. კაბინეტები და ლაბორატორიები. არის ყოველნაირი ლაბორატორიული და ქიმ. ჭურჭელი, აპარატურა და რეაქტივები

ფასები დაკლებულია

თბილისი, ავჭალის მოედანი, № 10, გერმანულ სასაფლაოს პირდაპირ. ტელეფონი 16—49. 10—3 ნ. 1620

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული

კოლექტივი

„ზის დამმუშავებელი“

ღებულობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან დაკვეთებს

1. ყოველგვარი სიდიდისა და სახის ყუთებისა და
2. საღვინე კასრების დასამზადებლად და სხვა ასეთ სამუშაოთა შესასრულებლად

შესრულება კეთილსინდისიერია და ფასები ზომიერი

დაკვეთები ყუთებისა და კასრების დიდი პარტიების დასამზადებლად მიიღება ხელშეკრულებებით. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება კოლექტივების გაერთიანების სამმართველოში, ვოლოდარსკის ქ., № 3 (შრომის ბირჟის შენობა). ტელ. 5—34. 0—2 ნ. 1649

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ შაბათს 6 და კვირას 7 ოქტომბერს, დილის 11 საათზე სასახლის ქ. № 3 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად, გაიყიდება ახალი სარკიანი შიფონერკები, ბუფეტები, კამოდები, ხალიჩები, სკამები, რკინეულობა, საღებავები, მაგიდები, სარკეები, შუშეულობა, მანუფაქტურა და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1659

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 8 ოქტომბერს 1928 წელს მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ნიკოლოზ ივანეს-ძე როსტომაშვილის უფლებას მელიქოვის და ნინოშვილის ქუჩების კუთხეში № 7/10 მდებარე ერთ სართულიანი სახლის ნახევარზე, რომელსაც აქვს ოთხი ოთახი, ფიცრის აივანი, სამზარეულო, დერეფანი და შესავალი მთავარი კარი. ეს სახლი გაიყიდება შემოძლეული ფასებიდან მოქ. გრიგორ გაჩეჩილაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-5 სახელმწიფო სანოტარო კანტორისაგან 16 იანვარს 1928 წ. თარიღით გაცემულ აღსრულებითი წარწერისა № 114. პირველ საჯარო ვაჭრობისათვის ნაჩვენები სახლის ნაწილი გასასყიდათ შეფასებული იყო 2000 მანეთად. ვაჭრობა იწარმოებს სამოქ. საპროც. კოდექსის 301, 311, 313, 314 და 316 მუხლებში გათვალისწინებულ წესების დაცვით. ნ. 1657

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი ივ. გველესიანი

პარაზიტოლოგიური კაბინეტი

იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38 ელსმ. 6—22 4364 25—1

ა. გ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ქუთაისში ექიმი

დ. ა. ჩიჩელაშვილი

დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს სპეციალ. ფილტვების ექიმობა.

ჭავჭავაძის ქ., № 4, ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

ექიმი

ანასტასი ლევის ძე

ორლოვსკი

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) კამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიას ქუჩა), 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ექიმი

გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

დაბრუნდა და განაახლაავადმყოფების მიღება

დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ლოგოპედი

ა. ა. პაიჭაძე

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმი

თოდაძე

დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). (ცისტოსკოპია, დიატერმია.

თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ექიმმა

ს. ი. ვოლოხმა

განაახლა ავადმყოფთა მიღება (ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

ექიმი

გიორგი ნიკოლოზის-ძე

ონანოვი

სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—19

ექიმმა

ი. ვ. ხანდამოვმა

განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით და ვადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ძნელაძის ქ., № 35, (ყოფ. საპიორის ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან. (25—1)

ექიმი

ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმენი —11—78. 25—1.

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. ❦ საღ. 6—8 საათ.

კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—8 საათამდე

საღამოს 6—8 კაცებს; 5—6 ქალებს.

25—1

დაჰკარგე: კომკავშირის წიგნაკი 70760 ამბროსი ბალავაძის სახელზე. ჩ. გ. 4393

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 64200, ჩ. გ. 4399

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 31891, ალექსანდრე მალხაზის ძე ბერიანიძეს სახელზე. ჩ. გ. 4390

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 22587 ქეთევან ელენტის სახელზე, ჩ. გ. 4396

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 35144 ევგენი თომას ძე შერაზადიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4391

დავკარგე: სააღრიცხვო ბარათი ნესტორ კორშიას სახელზე, ჩ. გ. 4392

დავკარგე განათლების პროფკავშირის წიგნაკი № 11703 მოცემული სიღნაღის მაზრის განათლების კავშირის განყოფილებიდან კოტე როსტოშვილის სახელზე ჩ. გ. 4397

დავკარგე: სამხედრო წიგნაკი შალიკო გოგიავას სახელზე, ჩ. გ. 4397

დავკარგე: ზურგის მოლაშქრის წიგნაკი № 1134 ნიკოლოზ ოქროპირის-ძე რუხაძეს სახელზე, ჩ. გ. 4397

დავკარგე: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირების საწევრო წიგნაკი № 2605 კრისტე ფირცხელაურის სახელზე, ჩ. გ. 4391

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.